საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი

Georgian National Museum.
Shalva Amiranashvili Museum of Art

წიგნის დაფინანსებისთვის მადლობას მოვახსენებთ
საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“

Special thanks are due to the International charitable
fund ”KARTU“ for the finansial support of the book.

GEORGE MAXARADZE
MANANA TSERETELI

# SAIRKHE

TBILISI
2007

გიორგი მახარაძე
მანანა წერეთელი

# საირხე

თბილისი
2007

**სამეცნიერო რედაქტორი**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი იულონ გაგოშიძე

SCIENTIFIC EDITOR
PH Doctor - Julon Gagoshidze

**რედაქტორი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ნინო ნადარაია

Editor
PH Doctor - Nino Nadaraia

**ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრები**
არქეოლოგები: ჯურხა ნადირაძე, ამირან დავითაშვილი, თამარ სიხარულიძე, ირინე ბაქრაძე, მანანა წერეთელი, გოჩა ლომთაძე, გიორგი მახარაძე, ზურაბ ბრაგვაძე, ნანა დარახველიძე, მარიამ ნოზაძე, თათია ქემერტელიძე, ლაშა ლაშხი, დავით კაპანაძე, ნანა კაპანაძე, მარინე იტრიაშვილი, მარიამ ჩხეიძე, პაატა მოდებაძე, შალვა ნადირაძე

The members of „Sairkhe" archaelogical expedition: Jurkha Nadiradze, Amiran Davitashvili, Tamar Sikharulidze, Irene Bakradze, Manana Tsereteli, Gocha Lomtadze, George Makharadze, Zurab Bragvadze, Nana Darakhvelidze, Mariam Nozadze, Tatia Kemertelidze, Lasha Lashkhi, David Kapanadze, Nana Kapanadze, Marina Itriashvili, Mariam Ckheidze, Paata Modebadze, Salva Nadiradze

არქიტექტორი - ლერი ფავლენიშვილი
Architect - Leri Pavlenishvili
ფოტოგრაფები - რევაზ სანიშვილი, მურმან ჩიჩუა, გიორგი ბაქანიძე, გიორგი მაჭავარიანი, დავით ცხადაძე
Photographers - Revaz Sanishvili, Murman Chichua, George Bakanidze, George Machavariani, David Tskhadadze
რესტავრატორი - ნანა გოგინაშვილი
Restorer - Nana Goginashvili

© გ. მახარაძე 2007
© მ. წერეთელი 2007

ISBN 978-99928-829-7-9

# რედაქტორისაგან

არ მიყვარს, როცა იტყვიან ხოლმე: მაგან არქეოლოგს ბედი წყალობს, კარგი აღმოჩენები რომ აქვსო. ასეთი რამ მხოლოდ არქეოლოგიისაგან შორს მდგომმა და საქმეში ჩაუხედავმა კაცმა შეიძლება თქვას, რადგან სიმართლეს არ შეეფერება. სინამდვილეში მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ყველა არქეოლოგიური აღმოჩენა, რომელიც ახლებურად აშუქებს ქვეყნის წარსულს, ხანგრძლივი ფიქრის, კვლევა-ძიებისა და მძიმე შრომის შედეგია. ამგვარი აღმოჩენის სიხარული იმდენად დიდია, რომ მთელი სიმძიმე იმ შრომა-გარჯისა, რაც აღმოჩენას უძღოდა, მყისიერად დავიწყებას ეძლევა და შემდგომ მას, ჩვეულებრივ, აღარც იხსენებენ.

ჯურხა ნადირაძეს, რომლის ნათელ ხსოვნას ეძღვნება წინამდებარე წიგნი, როგორც არქეოლოგს არაერთგზის განუცდია ასეთი სიხარული. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ჯურხა ნადირაძე ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ მოდინახეს, საირხისა და ჯიეთის არქეოლოგიური კვლევით უთუოდ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა საქართველოს არქეოლოგიაში. მისი ხელმძღვანელობით გათხრილი ამ სამი ძეგლისგან ერთიც კი საკმარისი იქნებოდა ნებისმიერი არქეოლოგის სახელის უკვდავსაყოფად.

მე წილად მხვდა ბედნიერება მეთანამშრომლა საირხეში ჯურხა ნადირაძესთან 1966 წელსვე, როცა იქ მისი ინიციატივით წამოწყებულ იქნა არქეოლოგიური გათხრები იმ ადგილას (ლომინაური), საიდანაც თავის დროზე ტოპოგრაფმა და არქეოლოგმა ნიკოლოზ ღამბაშიძემ და პროფ. ბორის კუფტინმა ანტიკური ხანის ხუროთ-მოძღვრული დეკორის თვალსაჩინო ნიმუშები ჩამოიტანეს ჩვენს მუზეუმში. გათხრების პირველივე სეზონი საკმაოდ შედეგიანი გამოდგა: გაიწმინდა ქვის კაპიტალური ნაგებობა, რომელთანაც ქვით მოგებული გზა მიდიოდა, აღმოჩნდა კლასიკური ხანის ბერძნული იმპორტი, კირქვისგან გამოთლილი ნატიფი დეკორის ფრაგმენტები... მაგრამ ნამდვილად დიდი წარმატების დრო ჯერ კიდევ შორს იყო.

ჭეშმარიტი დიდება საირხეს ეწვია მხოლოდ 16 წლის შემდეგ, როცა გასული საუკუნის 80-იან წლებში იქ, საბადურის გორაზე, ზედიზედ გაითხარა ქრისტეს შობამდე მეხუთე და მეოთხე საუკუნეების კოლხეთის წარჩინებულ პირთა უმდიდრესი სამარხები.

„ოქროს საწმისის ქვეყანას", „ოქრომრავალ კოლხეთს" ვანის სახელგანთქმული ნაქალაქარის შემდეგ მეორე და კიდევ ერთი, მრავლისმეტყველი მოწმე წარმოუჩნდა საირხის სახით.

დღეს უკვე შეუძლებელია ძველი კოლხეთის ისტორიისა და არქეოლოგიის სფეროებში რაიმე მასშტაბური კვლევის წარმოება საირხის ნაქალაქარისა და სამაროვნების მონაცემთა გათვალისწინების გარეშე. სწორედ ამიტომ დროული და ყოველმხრივ მისასალმებელია საბადურის გორის სამაროვანზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის კატალოგის პირველი სრული პუბლიკაცია. კატალოგს უძღვის ნარკვევები საბადურის გორის სტრატიგრაფიისა და კოლხეთის სამეფოს ქრონოლოგიის შესახებ. სწორედ საირხის ნამოსახლარისა და სამაროვნების არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე რამდენადმე დაზუსტდა კოლხეთის ისტორიის საეტაპო თარიღები.

ვფიქრობ, რომ წიგნი კარგ სამსახურს გაუწევს ყველას, ვინც საქართველოს ისტორიითა და არქეოლოგიით არის დაინტერესებული.

იულონ გაგოშიძე

24. 02.2007

# ს ა რ ჩ ე ვ ი

I. საბადურის გორის სტრატიგრაფია - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - გვ. 7
The stratification of Sabadura Hill
II. საირხის ნაქალაქარი და კოლხეთის სამეფოს ქრონოლოგია- - - - - - გვ. 23
Sairkhe city site and chronology of Colchis Kingdom
III. საბადურის გორის სამაროვანი (კატალოგი) - - - - - - - - - - - - - - - გვ. 34
Sairkhe Sabaduri hill Cemetery
1. სამარხი №1 - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - გვ. 32
Tomb N1
2. სამარხი №2 - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - გვ. 43
Tomb N2
3. კომპლექსი №3 - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - გვ. 45
Complex N3
4. სამარხი №4 - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - გვ. 47
Tomb N4
5. სამარხი №5 - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - გვ. 50
Tomb N5
6. სამარხი №6 - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - გვ. 59
Tomb N6
7. სამარხი №7- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - გვ. 61
Tomb N7
8. სამარხი №8 - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - გვ. 61
Tomb N8
9. სამარხი №9 - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - გვ. 72
Tomb N9
10. სამარხი №10 - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - გვ. 73
Tomb N10
11. სამარხები №№ 11-12 - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - გვ. 80
Tombs N11 and 12
12. სამარხი №13- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - გვ. 83
Tomb N13
13. სამარხი №14 - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - გვ. 101
Tomb N14
14. საკულტო მოედანი - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - გვ. 109
Ritual square
15. საკულტო ორმო - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - გვ. 111
Ritual pit

# თავი I
# საბადურის გორის სტრატიგრაფია

სოფელ საირხის ტერიტორიაზე მდებარე საბადურის გორამ საყოველთაო ყურადღება მას შემდეგ მიიპყრო, რაც XX საუკუნის 80-იან წლებში მის დასავლეთ ფერდობზე აღმოჩნდა ძვ. წ. V-IV სს-ის მდიდრული აკლდამები. სტაციონარული არქეოლოგიური გათხრების პროცესში აქვე გამოვლინდა სტერილური შრეებით მკვეთრად გამიჯნული სამი კულტურული ფენა, რომელთა დათარიღებამ ჯ. ნადირაძეს საშუალება მისცა გამოეყო საირხის ნაქალაქარის ისტორიის ძირითადი ეტაპები: I – ქალაქობის წინა პერიოდი – ძვ. წ. VIII-VII სს., II- ქალაქობის პირველი პერიოდი – ძვ. წ. VI-IV სს., III – ქალაქობის მეორე პერიოდი – ძვ.წ. III-I სს.[1] მკვლევარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა კოლხეთის სამეფოს ორი მსხვილი პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური ცენტრის – ვანისა და საირხის ისტორიის ქრონოლოგიური ეტაპების სრული თანხვედრის ფაქტს.[2] ამიტომ ვანში ახალი, კიდევ უფრო დიფერენცირებული, ქრონოლოგიური შკალის შემუშავების შემდეგ გადაწყდა ამ მიმართულებით საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების წარმართვა საირხის ნაქალაქარის ტერიტორიაზე, უპირველეს ყოვლისა, საბადურის გორაზე.

საბადურის გორა ყველაზე უფრო დიდი და მაღალია სოფ. ქორეთისა და საირხის მიჯნაზე განლაგებული 15 ბორცვთაგან. მისი სიმაღლე 27 მ-ს, ხოლო ფართობი 7 ჰა-ს აღწევს. გორა გარშემორტყმულია გავაკებული ფართობებით: სამხრეთ-აღმოსავლეთიდან–„ნაზდალაქის ტბებით", ჩრდილოეთიდან - ადგილ „კოდის წყლით", დასავლეთიდან კანიონის ტიპის ვიწრო ხევითაა გამიჯნული წყაროსთავისა და ღელიპირა გორებისაგან (სურ. 1,2). საბადურის გორის დასავლეთ ფერდობზე სტრატიგრაფიული ჭრილები გავლებულ იქნა №№5,8,10,11,12,13 სამარხების აღმოჩენის ადგილზე, რის შედეგად დადგინდა, რომ პირველი დასახლების გაჩენის მომენტისათვის გორის დასავლეთი მხარე 18 მ სიმაღლის გაშიშვლებული, შვეულად დაშვებული კალთა იყო, რომელიც დროთა განმავლობაში დაიფარა სხვადასხვა პერიოდის კულტურული დანაშრევით, ცალკეულ მონაკვეთებში თითქმის მთლიანად (ფოტო 1).

სტრატიგრაფიულმა ჭრილმა მოგვცა შემდეგი სურათი:

1. ჰუმუსის სისქე საბადურის გორის დასავლეთ, შვეულად დაშვებულ, კალთასთან (შემდგომ მას კლდედ მოვიხსენიებთ) 2 მ-ს აღწევდა. იგი გადმორეცხილია გორის თხემიდან. ამიტომ კლდიდან დაცილებით მისი სისქე მკვეთრად კლებულობდა (სურ. 3, 4).

2. შავი ფერის ნაცარნარევი კულტურული ფენა. მისი სიმძლავრე კლდის გასწვრივ 2-3 მ-ს შორის მერყეობდა. ჰუმუსოვანი შრის მსგავსად ამ ფენის სისქე მკვეთრად კლებულობდა კლდიდან დაცილებით. იგი არ ერცელდებოდა მისგან 10-18 მ-ზე უფრო შორს. გათხრების პროცესში ნაგებობების ნაშთები აქ არ დადასტურდა. კულტურული ფენა დიდი რაოდენობით შეიცავდა არქეოლოგიურსა (ძირითადად, თიხის ჭურჭელს) და ოსტეოლოგიურ მასალას (შინაური ცხოველების ძვლები, გარეული ტახის ეშვები. სურ. 3,4).

3. ნახანძრალი კულტურული ფენა შეიცავდა დანახშირებული ძელების ფრაგმენტებსა და მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების შედეგად შეწითლებული ბათქაშის გროვებს. იმ ადგილებში, სადაც მოხერხდა ნაგებობათა ნაშთების პრეპარირება, მისი სიმძლავრე 0,8-1,2 მ-ს აღწევდა, ზოგან კი 30 სმ-ს არ აღემატებოდა (სურ. 3,4).

4. მოყვითალო ფერის ღორღნარევი სტერილური შრე. იგი ყურადღებას იპყრობდა ფლეთილი ქვის მშრალი წყობის ნაშთებით, რომლებიც გარკვევით მოჩანდა სტრატიგრაფიულ ჭრილში. ისინი მთლიანად „თავსდებოდა" ყვითელ ღორღნარში ისე, რომ შუალედური ადგილი ეკავა III და II კულტურულ ფენებს შორის (№№ 3 და 5 ჰორიზონტები). შრის სისქე კლდის

---

[1] ჯ. ნადირაძე. საირხე – საქართველოს უძველესი ქალაქი. თბ., 1990. გვ. 18.

[2] ო. ლორთქიფანიძე. ვანის ნაქალაქარი. ვანი I. თბ., 1972. გვ. 7-11 და 28.



სურ. 1

გასწვრივ 3-4 მ-ს შორის მერყეობდა. ჰუმუსოვანი და IV კულტურული (№2 ჰორიზონტი) ფენების მსგავსად მისი სისქე დამოკიდებული იყო კლდიდან დაცილებაზე (სურ. 3,4).

5. ნახანძრალი, ნაცრისა და ცეცხლით შეწითლებული ბათქაშის გროვების შემცველი კულტურული ფენა. თიხის ჭურჭელი ცეცხლის ზემოქმედებით შეწითლებული იყო, ზოგ შემთხვევაში — დეფორმირებული. იმ ადგილებში, სადაც მოხერხდა ნაგებობების ნაშთების პრეპარი-




სურ. 2

რება, მისი სისქე 0,8-1,3 მ-ს აღწევდა (ფოტო 2). აღნიშნული კულტურული ფენის ქვეშ ორ სექტორში გამოვლინდა ქვედა ჰორიზონტი. მისი მაქსიმალური სისქე 1 მ-ს აღწევდა. ისიც შეიცავდა ნაცრისა და შეწითლებული ბათქაშის ფრაგმენტებს. თიხის ჭურჭელს არ ემჩნეოდა ცეცხლის ზემოქმედების კვალი (სურ. 3,4,5,6).

6. ყვითელი ქვიშისა და ალალო მიწისაგან შედგენილი სტერილური შრე. მისი სისქე კლდის გასწრივ 3-4 მ-ს აღწევდა. ჰუმუსოვანი ფენის, IV (ზედა) კულტურული ფენისა და №4 სტერილური შრის მსგავსად მისი სიმძლავრეც დამოკიდებული იყო კლდიდან დაცილებაზე (სურ. 3,4,5, ფოტო 3).

7. 1,2-1,8 მ სისქის შავი ფერის კულტურული ფენა. ყველა ჰორიზონტისაგან განსხვავებით იგი ჰორიზონტალურად იყო განფენილი და არ ებჯინებოდა კლდეს. რამდენიმე სექტორში მას ჰკვეთდა II კულტურული ფენა (სურ. 3,4,5,9).

აღწერილი კულტურული ფენის ქვემოთ მდებარეობდა სტერილური ქვიშნარი, რომელიც თავის მხრივ იდო კლდოვან დედაქანზე (სურ. 2).

ამრიგად, საბადურის გორის დასავლეთ ფერდობზე გამოიყო ოთხი კულტურული ფენა. IV და III ფენები (№№2 და 3 ჰორიზონტები) ერთმანეთზე იყო განფენილი (სურ. 3,4). ქვის მშრალი წყობის ნაშთების შემცველი №4 სტერილური ჰორიზონტი მკაფიოდ მიჯნავდა ერთმანეთისაგან III და II კულტურულ ფენებს (სურ. 3,4). თავის მხრივ, II კულტურული ფენა სტერილური შრით (№6 ჰორიზონტი) იყო გამიჯნული I (ქვედა) კულტურული ფენისაგან.

ნამოსახლარი ფენები არ ვრცელდება საბადურისა და წყაროსთავის გორებს შორის არსებული მშრალი ხევის ტერიტორიაზე. ამის გამომწვევი მიზეზის დასადგენად აქ გაიჭრა საძიებო შურფი (13X14 მ), საველე დოკუმენტაციით, „ნავენახარის" თხრილი. იგი მთლიანად „ამოვსებული" აღმოჩნდა სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური მასალით, ძირითადად, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებით. ერთ დონეზე გვხვდება ადრეანტიკური და ელინისტური ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. თხრილის დაღრმავებასთან ერთად იმატა გვიანელინისტური ხანის ნაწარმმა, ხოლო 7 მ ნიშნულზე, ფაქტობრივად გრუნტის წყლების დონეზე, უმრავლესობა შეადგინა ახ. წ. პირველი საუკუნეებისთვის ტიპობრივმა კერამიკის ნატეხებმა. გეომორფოლოგების განმარტებით, ერთი მხრივ, საბადურის, მეორე მხრივ, წყაროსთავისა და ღელიპირა გორების ზედაპირული ფენების გადარეცხვის შედეგად მოხდა მათ შორის არსებული ხევის ამოვსება, რომლის ფსკერზეც თავის დროზე მიედინებოდა ღელე,[3] მაგრამ ყოველივე ამას ადგილი უნდა ჰქონოდა მას შემდეგ, რაც საირხემ ახ.წ. I ს-ის მიწურულს თუ II ს-ის დასაწყისში შეწყვიტა არსებობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ პერიოდის არქეოლოგიური მასალა ვერ მოხვდებოდა „ნავენახარის" თხრილის ფსკერზე. ეს გარემოება გვაძლევს საშუალებას თვალი გავადევნოთ საბადურის გორის დასავლეთი ფერდობის ტრანსფორმაციას სამოსახლოს არსებობის მანძილზე.

ძვ.წ. VIII ს-ში, პირველი დასახლების გაჩენის

[3] საბადურის გორაზე მიმდინარე გეომორფოლოგიურ პროცესებში გარკვევაში დახმარება გაგვიწიეს მ. თვალჭრელიძემ და დ. ლორთქიფანიძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.




სურ. 3

მომენტისათვის, საბადურის გორის დასავლეთი ციცაბო კალთა გაშიშვლებული იყო თითქმის მთელ სიმაღლეზე. იგი აღმოსავლეთიდან ებჯინებოდა ბუნებრივ ტერასაზე განლაგებულ დასახლებას, რომელსაც დასავლეთიდან ღელის მიერ გაჭრილი კანიონი საზღვრავდა (სურ. 2). ტერასა „ნავენახარის" თხრილის ფსკერიდან, ე.ი. ღელის დონიდან, 7-8 მ-ით მაღლა მდებარეობდა. მისი ზედაპირი თავიდანვე კლდის პერპენდიკულარული უნდა ყოფილიყო[4]. ფაქტია, რომ I კულტურული ფენა ჰორიზონტალურადაა განფენილი (სურ. 3,4,5,6,8, ფოტო 4). როცა გარკვეულ ეტაპზე ცხოვრება საბადურის გორის დასავლეთ ფერდობზე შეწყდა, გორის თხემისა და კლდის ეროზიის შედეგად I კულტურული ფენა დაიფარა სტერილური შრით (№6 ჰორიზონტი). დალექვის პროცესი კლდის ძირში ინტენსიურად მიმდინარეობდა და, პირიქით, ტერასის დასავლეთი, ღელისპირა მხარე ირეცხებოდა, რამაც გამოიწვია ფერდობის დაქანება დასავლეთისაკენ (სურ. 3,4,5,6). ღელის ნაპირზე მდებარე ტერასის ზოგიერთი მონაკვეთი დაიმეწყრა და ხევში ჩაიქცა. ასეთ ადგილებში II კულტურულმა ფენამ გადაკვეთა I ფენა სწორედ მისი ნგრევის ხაზზე (სურ. 3,4). გადარჩა I კულტურული ფენის ის ნაწილი, რომელიც კლდოვანმა დედაქანმა ნგრევისაგან დაიცვა და დააკონსერვა გორის ჩამონაყარმა. ანალოგიური პროცესები ვითარდება II კულტურული ფენის განადგურების შემდეგ. მძლავრმა სტერილურმა შრემ (№4 ჰორიზონტი), რომელიც დაახლოებით ორი საუკუნე ილექებოდა, გამოიწვია ფერდობის კიდევ უფრო მეტად დაქანება და ეს სიტუაცია „დააფიქსირა" III კულტურულმა ფენამ (სურ. 3,4). მას შემდეგ, რაც ჰუმუსმა მთლიანად დაფარა ერთ დროს გაშიშვლებული კლდე, განვითარდა უკუპროცესი – საბადურის გორის ფერდობი ინტენსიურად ირეცხებოდა ღელეში.

ამრიგად, საბადურის გორის თხემისა და კლდის ეროზია განაპირობებდა ტერასაზე განლაგებული კულტურული ფენების კონსერვაციასა და ერთმანეთისაგან გამიჯვნას, ხოლო კლდოვანი დედაქანი იცავდა მათ ნგრევისაგან. გეომორფოლოგიური პროცესების მიმდინარეობა გასაგებს ხდის, თუ რატომ არის ჰუმუსოვანი ფენის, №№4 და 6 სტერილური შრეების სიმძლავრე დამოკიდებული კლდიდან დაცილებაზე. ნამოსახლარი ფენებისაგან განსხვავებით მათი წარმოქმნა პირდაპირ უკავშირდება საბადურის გორის თხემისა და

[4] ან მოახალშენეებმა თავად მოახდინეს მისი ნიველირება. ეს არ იქნებოდა დაკავშირებული დიდ სირთულეებთან, რადგან I კულტურული ფენა ქვიშაზეა განფენილი.

მისი დასავლეთი, ციცაბო კალთის ეროზიას. კლდის ძირში სტერილური შრეების დალექვა სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. მისგან დაშორებით ამ პროცესის ინტენსიურობა მკვეთრად კლებულობდა, ხოლო ტერასის დასავლეთი მონაკვეთი ირეცხებოდა. აღწერილ კანონზომიერებას კულტურული ფენათაგან ექვემდებარება მხოლოდ №2 ჰორიზონტი, რაც გვაფიქრებინებს, რომ IV კულტურული ფენა წარმოქმნილია გორის თხემზე არსებული ნამოსახლარი ფენების გადარეცხვის შედეგად. ამიტომ არ აღმოჩნდა აქ ნაგებობების ნაშთები.

IV კულტურული ფენის (საველე დოკუმენტაციით, III კულტურული ფენის ზედა ჰორიზონტი) არქეოლოგიური მასალა გამოქვეყნებულია და დათარიღებული[5]. თიხის ჭურჭელში გამოიყოფა სამი ქრონოლოგიური ჯგუფი:

I — ქვევრები, დერგები, ქოთნები დაკუთხული პირის გვირგვინით, სამტუჩა დოქები ყურზე ცერისებრი შვერილით და ყელწიბოიანი დოქები საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება ახ. წ. I ს-დან და მომდევნო პერიოდშიც განაგრძობს არსებობს. თიხის ჭურჭელს შენარჩუნებული აქვს გვიანელინისტური ხანის ტრადიციები — ფაქიზი ნახელავია, ნაწილი წითლად შეღებილია ან მოხატული. ამიტომ მთლიანად კერამიკის ამ ჯგუფის ზედა ქრონოლოგიური მიჯნა არ უნდა სცილდებოდეს ახ. წ. I ს.[6] (ფოტო 6,7).

II — გვიანელინისტური ხანისთვის დამახასიათებელი სადა თუ ხაოიან ზედაპირზე წითლად მოხატული დოქები, კოჭობები, ქოთნები, ქუსლიანი, პირმოყრილი ჯამები, აგრეთვე შავპრიალა კერამიკის ჯგუფი ზოგადად ძვ. წ. I — ახ. წ. I სს-ით თარიღდება. IV კულტურულ ფენაში ეს ნაწარმი სამჯერ აღემატება დანარჩენ ორ ქრონოლოგიურ ჯგუფში გაერთიანებულ თიხის ჭურჭელს (ფოტო 8,9,10).

III — ადრეელინისტური ხანის მხოლოდ ტიპური ნიმუშების გამოყოფა მოხერხდა. თავისებურ ფორმებთან ერთად მათთვის დამახასიათებელია კრემისფერ ფონზე წერნაქით მოხატვა, ზედაპირის საღებავის სქელი ფენით დაფარვა, გაპრიალება და სხვ. ცხადია, IV



სურ. 4

კულტურულ ფენაში წარმოდგენილი იყო ადრეელინისტური ხანის თიხის სადა ჭურჭელიც, მაგრამ მათი ფრაგმენტულობის გამო ზუსტი თარილის დადგენა რთულია.

არქეოლოგიური მასალის ანალიზიდან გამომდინარე IV კულტურული ფენის თარილი



სურ. 5

[5] გ. მახარაძე, ლ. ლაშხი. სირხის ელინისტური ხანის კერამიკა. ნარკვევები. III. თბ., 1997. გვ. 39 და შმდგ.

[6] იქვე. გვ. 59, სურ 3,8,12,23,31. საირხეში, ადგილ კარახტინში, ახ.წ. I ს-ის სამაროვანის შესწავლამ გაამყარა ეს თარიღი. იხ. გ. მახარაძე, ზ. ბრაგვაძე. არქეოლოგიური გათხრები კარახტინში. ჟ. „ძეგლის მეგობარი“. თბ., 1999. №1. გვ. 36.



სურ. 6

ძვ. წ. III — ახ.წ. I სს-ით განისაზღვრა. ამავე ქრონოლოგიური ჩარჩოთი შემოიფარგლა საირხის ქალაქობის მეორე პერიოდი.

III კულტურული ფენისათვის დადგენილია terminus ante quem non – იგი არ შეიძლება იყოს ძვ.წ. III ს-ზე ადრეული[7]. სტრატიგრაფიულ ჭრილში მას გადაფარული აქვს საბადურის გორის სამაროვანი, მათ შორის, № 1 აკლდამა, რომელიც ძვ. წ. III ს-ის დასაწყისით თარიღდება[8]. ელინისტური ხანის ნაგებობებს არა აქვთ დაზიანებული სამაროვანი.

III კულტურული ფენა ძლიერი ხანძრით არის



სურ. 7

განადგურებული. მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების შედეგად კერამიკის ნაწილი დეფორმირებულია. №5 აკლდამის გათხრის პროცესში მეწყერმა გაანადგურა აღნიშნული ფენის ნაგებობები $D_2$, $C_3$, $B_4$ სექტორებში.

$D_2$7 კვადრატში გადარჩა №1 ნაგებობის ხის ძელებით შეკრული უკიდურესი ჩრდილო - აღმოსავლეთი კუთხე, რომელიც 110 სმ-ით იყო ჩაჭრილი ნიადაგში, ე.ი. სათავსოს აღმოსავლეთი, კლდისკენ მიმართული მხარე, ნახევრად მიწური იყო (სურ. 10,13). დანახშირებული ძელები გამოვლინდა in situ მდგომარეობაში, მათ შორის, ვერტიკალურად აღმართული სვეტის ფრაგმენტი. იგი გამაგრებული აღმოჩნდა ქვებით, რომლებიც გაიწმინდა მისთვის გაჭრილ 40-45 სმ დიამეტრის ორმოში. სვეტის პრეპარაციის დროს ჰორიზონტალური ძელების დონეზე აღმოჩნდა რკინის ლურსმნისა თუ ლურსმნების ფრაგმენტები (დაზიანების გამო მათი „აღება" ვერ მოხერხდა). როგორც ჩანს, ლურსმნით სვეტზე მიჭედებული იყო ჰორიზონტალურად განლაგებული ძელები, რაც სრულიად უცხო მოვლენაა საირხისთვის და ელინისტურ ხანაში დანერგილი სიახლე უნდა იყოს.

III კულტურული ფენის დაქანება $D_2$ სექტორში იმდენად დიდია, რომ ხის ნაგებობის აქ დადგმა შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ იგი დასავლეთიდან „დაეყრდნობოდა" სვეტებს. სამწუხაროდ, საბადურის გორის სწორედ ეს მონაკვეთი გაანადგურა მეწყერმა (სურ. 13). საყრდენი ბოძებისთვის გაჭრილი ორმოების გამოვლენა მოხერხდა $F_1$ სექტორში №4 ნაგებობის გათხრის პროცესში (სურ. 7,6).

№1 ნაგებობის მიმდებარე ტერიტორია მოფენილი იყო წითლად გამომწვარი და მოვარდისფროზედაპირიანი ქვევრებისა და ანალოგიური ფორმის ჰორიზონტალურყურებიანი დერგების ნამტვრევებით. ეს არის ყველაზე მასობრივად წარმოდგენილი ნაწარმი, რომლის კონცენტრაცია III კულტურული ფენის ცალკეულ მონაკვეთებში კრამიტყრილის შთაბეჭდილებას ტოვებდა. შემთხვევითი არ არის საირხის მკვიდრის, 82 წლის ლადო ქველაძის, განცხადება: „გორის ამ ნაწილს მარნიგორასაც ვეძახდით". აღსანიშნავია, რომ ქვევრებისა და დერგების გვერდით არ აღმოჩნდა სხვა დანიშნულების ჭურჭელი. №1 ნაგებობის გაწმენდის დროს ბათქაშოვან ფენაში დეფორმირებულ კერამიკასთან ერთად აღმოჩნდა წითლად ანგობირებული, ზედაპირნაპრიალები ქოთნისა თუ კოჭობის წითლად შეღებილი ნატეხი (ფოტო 11). 90 სმ ბათქაშოვანი ფენის აღების შემდეგ იატაკის დონეზე აღმოჩნდა პირქვე დამხობილი მთელი სასმისი. მას გააჩნდა სალებავის სქელი ფენით დაფარული წითელი ზედაპირი, შიგნით

[7] გ. მახარაძე. საბადურის გორის სტრატიგრაფია და საირხის ნაქალაქარის ისტორიის ძირითადი ეტაპები. თბ., 1991. გვ. 3-5, სურ. 2.

[8] ჯ. ნადირაძე. საირხე — საქართველოს... გვ. 61.

გადახრილი პირი და მაღალი, ღრუ ქუსლი (ფოტო 11). მიუხედავად იმისა, რომ ზედა, IV, კულტურულ ფენაში ქუსლიანი ჯამები ჭურჭლის ყველაზე ფართოდ გავრცელებულ სახეობას ქმნის, მსგავსი ნიმუში მათ შორის გამოვლენილი არ არის. ანალოგიური სიტუაციაა კავთისხევში. საყარაულო სერის ძვ. წ. I – ახ. წ. I სს-ის სამარხებში დაბალქუსლიანი ჯამებია, ხოლო „დაჭრილების“ ადრეელინისტური ხანის სამაროვანზე აღმოჩნდა მაღალფეხიანი სასმისი, ისიც მხოლოდ ძვ. წ. IV ს-ის მიწურულით დათარიღებულ ერთ, № 4 ქვევრსამარხში.[9] საირხული ნიმუში სწორედ მასთან ამჟღავნებს ყველაზე მეტ სიახლოვეს.

№2 ნაგებობა გაითხარა $C_3$ სექტორში (სურ. 10). მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხეები მეწყერმა გაანადგურა. გადარჩა ნაგებობის მცირე მონაკვეთი, რომელიც



სურ. 8

60 სმ-ით იყო ჩაჭრილი ნიადაგში. მიწურის მთელ გაყოლებაზე, იატაკის დონეზე, გაიწმინდა 28 სმ დიამეტრისა და 6 მ სიგრძის ძელი (სურ. 10), რაც გვაფიქრებინებს, რომ № 2 ნაგებობა ზომით ბევრად აღემატებოდა პირველს.

$C_3$ სექტორი საბადურის გორის შედარებით გავაკებული მონაკვეთია და რელიეფი აქ ყველაზე დიდი ნაგებობის ჩადგმის საშუალებას იძლეოდა. აღნიშნული ტერიტორია მოფენილი იყო ქვევრებისა და ჰორიზონტალურყურიანი



სურ. 9

დერგების ფრაგმენტებით, რომელთა ძირებზე არსებული ნახვრეტები იმაზე მეტყველებს, რომ მათი დიდი ნაწილი მარცვლეულის შესანახად იყო გამიზნული. იქვე გამოვლენილი ნავისებური მოყვანილობის ორი ათეული ხელსაფქვავი გვაფიქრებინებს, რომ №2 ნაგებობას შესაძლოა საზოგადოებრივი დანიშნულება გააჩნდა. მეწყრის ჩამოწოლამდე აქ მოხერხდა კედლის გასწვრივ მდგარი სამი სარქველდახურული დერგის გაწმენდა, რომლებიც მარცვლეულით იყო გავსებული.

$C_3$ სექტორში გამოვლენილ დერგებში გვხვდება წითლად შეღებილი, ზედაპირნაპრიალები და მოხატული ნიმუშები. ერთ-ერთი მათგანი შემკულია ღია ფერის ფონზე ერთმანეთში ჩასმული სამკუთხედებით (სურ. 14, ფოტო 12). ამავე სექტორში აღმოჩნდა განლექილი თიხისაგან დამზადებული, ცარცისებური კეცის მქონე, ღია, მბზინავ ზედაპირზე წითელი საღებავით მოხატული კოჭობის ნატეხი. ამგვარი კერამიკა დამახასიათებელია შედარებით ადრეული – ძვ. წ. IV-III სს-ის კომპლექსებისთვის. ცალკე გამოვყოფთ ღია ტიპის,როგორც გარედან, ასევე შიგნიდან ანგობირებულ, დიდი ზომის ჭურჭელს. მას გააჩნია ნაპრიალები ზედაპირი, სწორი, ზემოდან დაბრტყელებული პირი და მის ქვემოთ მიძერწილი ჰორიზონტალური ყური (სურ. 14, ფოტო 13). შემორჩენილია ჭურჭლის მცირე ფრაგმენტი, მაგრამ პარალელის გავლება მაინც შეიძლება სამადლოს ნაქალაქარის ზარისებურ კრატერებთან[10]. უფლისციხისა და სამადლოს პიქსიდებს მოგვაგონებს აქვე

[9] ნ. ჯინჯიხაშვილი. ძვ. წ. I – ახ. წ. I სს-ის ქვევრსამარხები საყარაულო სერის სამაროვნიდან. თბ., 1980. გვ. 46-52, ტაბ. IV; ე. თოლორდავა. დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. თბ., 1986. გვ. 45, ტაბ. XXXVI, 4.



10

11

12

სურ. 10, 11, 12.

აღმოჩენილი პირმოყრილი ჭურჭელი, რომელსაც აქვს საღებავის სქელი ფენით დაფარული ზედაპირი[11]. (სურ. 14, ფოტო 14). კერამიკის ეს ჯგუფი მოგვიანო პერიოდით – ძვ. წ. III-II სს-ით თარიღდება.

კერამიკული ტარა კოლხური ყავისფერკეციანი ამფორებით არის წარმოდგენილი. გრაფიკულად აღდგენილი ნიმუშის მიხედვით მათ აქვთ დაბალი ყელი და ყელის წიბოზე მიძერწილი წყვილი ყური (სურ. 15). ერთ-ერთი მათგანის კორპუსი წელში ოდნავ გამოყვანილია. ქუსლი ორი ცალია აღმოჩენილი. ორივე ცილინდრული ფორმისაა, ღრუ, შიგნიდან სპირალური ხვიით.

№3 ნაგებობა მდებარეობდა $D_4$ სექტორში (სურ. 10). გაიწმინდა 4კვ. მ ფართობი, რომელიც იყო გამლღვალი კერამიკისა და ბათქაშის გადადუღებული მასა. ამ კონგლომერატის კიდეში, მეწყრით ჩამოშლილ ფლატესთან, გაიწმინდა წითელკეციანი, მოვარდისფროზედაპირიანი, მიწაში ნახევრად ჩაფლული ქვევრი (სურ. 6).

№4 ნაგებობის ნაშთები გაითხარა F და $F_1$ სექტორებში. მისი აღმოსავლეთი, კლდისაკენ მიქცეული, ნაწილი ნახევრად მიწური იყო და 80 სმ-ით ჩაჭრილი ნიადაგში. იატაკის დონეზე აქაც გაიწმინდა დანახშირებული ძელის ფრაგმენტები. კუთხეების გამოვლენა ვერ მოხერხდა.

№4 ნაგებობა დადგმული აღმოჩნდა №№11,12 სამარხების შემცველ კომპლექსზე (სურ. 6,7,4,8). შენობის აღმოსავლეთი ნაწილი ეყრდნობა მის ზედა იარუსს, ხოლო კომპლექსის დასაკრძალავი კამერების თავზე მოწყობილია 2,5 მ სიგანისა და 8, 9 მ სიგრძის ტერასა, სადაც $F_6$ და $F_1$ 12 კვადრატებში აღმოჩნდა 40-60 სმ დიამეტრის, ერთმანეთისაგან 2 მ-ით დაცილებული, ორი ორმო (სურ. 7). ორივეში გაიწმინდა სვეტების გასამაგრებლად და საყრდენ ბალიშებად გამოყენებული ქვები დანახშირებული ძელების ნაშთებით (სურ. 7, 6). ორმოები გაჭრილია საყრდენი ბოძებისთვის, რომელთა გარეშე ხის ნაგებობის ამ სექტორში დადგმა შეუძლებელი იქნებოდა. იარუსებს შორის არსებულ სიმაღლეთა ვარდნის გათვალისწინებით სვეტების სიმაღლე 2 მ-ს აღწევდა. მანძილი ორმოებსა და ზედა


სურ. 13

იარუსზე გამოვლენილ ძელებს შორის 6, 8 მ-ს, ხოლო ტერასის სიგრძე 8,9 მ-ს უდრიდა, ე.ი. №4 ნაგებობის ფართობი დაახლოებით 60 კვ. მ უნდა ყოფილიყო.

შენობით გადაფარულ ტერასას სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა. აქ გაითხარა მიწაში ნახევრად ჩაფლული ქვევრი. უშუალოდ ბათქაშოვან ფენაში აღმოჩნდა ჰორიზონტალურყურებიანი ორი დერგი. ერთი მათგანი ხაოიანზედაპირიანია, სადა, მეორე დაფარულია საღებავის სქელი ფენით და ზედაპირზე ემჩნევა წვრილი, ბადისებრი ბზარები (სურ. 16,17, ფოტო 15). სამეურნეო დანიშნულება უნდა ჰქონოდა №4 ნაგებობის ჩრდილოეთით, ზედა იარუსის დონეზე, გათხრილ სათავსოს. იგი უშუალოდ კლდეზე იყო მიშენებული, რომლის გასწვრივ ჩალაგებული აღმოჩნდა პირგადაშლილი დერგები (სურ. 18, ფოტო 18). მათგან ორს კორპუსზე მიძერწილი ჰქონდა ჰორიზონტალური ყურები (ფოტო 16). კერამიკის დიდი ნაწილი გამლღვალი და დეფორმირებული იყო მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით (ფოტო 20). გამოვყოფდით წითელკეციან, სადა დერგებს გახვრეტილი ძირებით (ფოტო 21), ფართოპირიან, ქვაბისებურ, შვეულგვერდებიან ჭურჭელს დაკუთხული პირით. მათი შიდა სივრცე დაფარულია ფართო ღარებით შედგენილი ბადით (სურ. 19, ფოტო 17). $F_{11}$ კვადრატში მდებარეობდა ორი კერამიკული ფილისაგან შედგენილი თონე. მისი სიმაღლე 70 სმ-ს, დიამეტრი – 95 სმ-ს, ხოლო ფილების სისქე 8 სმ-ს უდრიდა. თონესთან დახვავებული იყო სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭელი:

---

[10] Гагошидзе Ю. М. Самадло. I. Тб., 1979. с. 88. рис. 223, 227.

[11] დ. ხახუტაიშვილი. უფლისციხე. II. თბ., 1970. ტაბ. XI. იხ. იქვე ზარისებრი კრატერების მაგვარი ჭურჭელი, ტაბ. $XXIV_{12}$; Гагошидзе Ю. М. Самадло I. с. 89. рис. 118, 317.

წითელკეციანი, სადა, მსხლისებრკორპუსიანი ხელადა (ფოტო 22), დიდი ზომის დოქი პირზე მიძერწილი ოვალურგანივკვეთიანი ყურით (სურ. 20, ფოტო 23), კოლხური, ყავისფერკეციანი, წელში ოდნავ შეზნექილი ამფორები (ფოტო 25), მათ შორის, მინიატიურული ნიმუში დაბალ ყელზე არსებულ წიბოზე მიძერწილი ყურებით, კვერცხისებური მოყვანილობის კორპუსითა და ცილინდრული ქუსლით (ფოტო 24). გამოირჩეოდა მარცვლოვანი თიხისაგან დამზადებული ორი მოზრდილი ჭურჭლის ძირი მაღალი, ზარისებური ფორმის ქუსლითა და ჰორიზონტალური ფსკერით (სურ. 19, ფოტო 19). ერთი შეხედვით, ისინი ჯამების ძირების შთაბეჭდილებას ტოვებენ, მაგრამ შიდა პირი დამუშავებული არა აქვთ და საერთოდ არ უნდა იყოს ღია ტიპის ჭურჭელი. ანალოგები მათ არ ეძებნება.

ამრიგად, III კულტურულ ფენაში გამოვლენილი თიხის ჭურჭელი ახლოს დგას ადრეელინისტური ხანის ნაწარმთან და ზოგადად ძვ.წ. III-II სს-ით შეიძლება დათარიღდეს. ნამოსახლარი გადამწვარი უნდა იყოს ძვ.წ. II ს-ში, რადგან აქ არ აღმოჩნდა ძვ. წ. I – ახ. წ. I ს-სთვის ტიპური კერამიკის არც ერთი ნატეხი, ხოლო სტრატიგრაფიულ ჭრილში იგი გადაფარულია ამგვარი ნაწარმის შემცველი IV კულტურული ფენით. ეს უკანასკნელი, როგორც აღინიშნა, გორის თხემიდან გადმორეცხილი ფენაა, რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ: ძვ.წ. III-II სს-ში მოსახლეობის მიერ ათვისებული იყო როგორც საბადურის გორის თხემი, ასევე მისი ფერდობები. ადრეელინისტური ნამოსახლარის განადგურების შემდეგ ცხოვრება განახლდა მხოლოდ გორის თხემზე.

საბადურის გორაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგინდა, რომ III კულტურული ფენის ნაგებობები სტერილური შრის არსებობის მიუხედავად „დადგმული“ იყო ადრეანტიკური ხანის სამარხებზე. №1 ნაგებობა – №10 აკლდამის (სურ. 13,3), №2 ნაგებობა – №5 აკლდამის, №3 ნაგებობა – ე.წ. საკულტო მოედნის, №4 ნაგებობა კი – №11-12 სამარხების შემცველი კომპლექსის თავზე (სურ. 4,7,6). ბუნებრივია, შევეცადეთ დაგვედგინა ამ კანონზომიერების მიზეზი და გაგვერკვია, არსებობდა თუ არა რაიმე კავშირი ადრეელინისტური ხანის ნამოსახლარ ფენასა და ძვ.წ. V-IV სს-ის სამარხებს შორის. ამ მხრივ საყურადღებო ინფორმაცია მოგვცა №8 აკლდამის არქეოლოგიურმა გათხრებმა.

III კულტურული ფენის აღებისა და ყვითელ



სურ. 14

სტერილურ შრეში დაღრმავების შემდეგ №8 აკლდამის მატურით შემოფარგლული ფართობის ცენტრში (სტერილური შრის სისქე ფერდობის დაქანების გამო აქ შედარებით მცირე იყო) $F_1$ 22 კვადრატში აღმოჩნდა კლდოვან ქანზე ჰორიზონტალურად დაწვენილი დერგი (სურ. 5), რომელიც ორიენტირებული იყო პირით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ (საველე დოკუმენტაციით, სამარხი №7). სამარხად გამოყენებული ჭურჭელი ზოგადად ელინისტურ ხანას შეიძლება მიეკუთვნოს. იგი მოწითალოდაა გამომწვარი, გააჩნია გარეთ გადახრილი პირი, კვერცხისებური კორპუსი და ბრტყელი ძირი. დერგს თავი დაცული ჰქონდა მოვარდისფროდ გამომწვარი, პირგადაშლილი, მუცელმომრგვალებული, ბრტყელძირა ქოთნით. მოკრუნჩხულად დაკრძალული ჩვილი ბავშვის ინვენტარი ძლიერ დაშლილი ბრინჯაოს მავთულისაგან დამზადებული, წრიული მოყვანილობის ორი საყურით შემოიფარგლებოდა. დერგსამარხი გადაფარულია III კულტურული ფენით და მისი თანადროულია. სტერილური



სურ. 15



სურ. 16

შრის სისქე მათ შორის 40-50 სმ არ აღემატება. იმდროინდელი მიწის ზედაპირიდან მიცვალებულის ასე ახლოს დაკრძალვა განპირობებული იყო იმით, რომ სამარხის გამთხრელებმა ლოდი, რომელზეც დაასვენეს დერგი, მიიჩნიეს კლდოვან დედაქანად. მხოლოდ ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგინდა, რომ იგი სინამდვილეში იყო საბადურის გორის დასავლეთ კალთას მოწყვეტილი უზარმაზარი კლდოვანი მასა, რომელიც დაემხო № 10 აკლდამის ტერასას, №8 აკლდამის მატურსა და ქვაყრილს (სურ. 5). ცხადია, რომ გადმონგრევის მომენტისათვის მითითებული ობიექტები ისევე, როგორც გორის დასავლეთი კალთა, არ იყო დაფარული სტერილური შრით. უეჭველია ისიც, რომ №8 აკლდამა გაიძარცვა კლდის ჩამოშლამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მძარცველები ვერ შეაღწევდნენ ლოდით გადაფარულ დასაკრძალავ კამერაში (№8 აკლდამის გათხრა მოხერხდა ლოდის უროებით დაშლის შემდეგ).

ამდენად, მოვლენები შეიძლება აღდგეს შემდეგი თანმიმდევრობით. №8 აკლდამა ძვ. წ. IV ს-ის შუა ხანებით თარიღდება. ძვ. წ. IV ს-ის ბოლოს მის მატურში ჩააშენეს №9 სამარხი. ძვ.წ. III ს-ის დასაწყისში საბადურის გორის სამაროვანმა შეწყვიტა ფუნქციონირება. ამის შემდეგ სამარხები გაიძარცვა, ე.ი. სამაროვანი აღარ იყო უზრუნველყოფილი სათანადო დაცვით, რაც მიუთითებს, რომ საირხის მმართველმა არისტოკრატიამ დაკარგა ძალაუფლება. მიუხედავად ამისა, მძარცველები ჩქარობდნენ. მათ შეაღწიეს №№1,5,8,14 აკლდამების მხოლოდ მთავარი მიცვალებულის დასაკრძალავ კამერებში და გამორჩათ არანაკლებ მდიდრული №№10 და 13 აკლდამები. თანმხლები პირებისთვის განკუთვნილი ყველა კამერა ხელუხლებელი დარჩა. გათხრების პროცესში აქ აღმოჩნდა ოქროსა და ვერცხლის ასეულობით ნივთი. უთუოდ მოკლე ხანში მოხდა საბადურის გორის დასავლეთი კალთის გადმონგრევა. უზარმაზარი ლოდი უშუალოდ დაეცა სტერილური შრით ჯერ კიდევ დაუფარავ №8 აკლდამის ქვაყრილსა და №10 აკლდამის ყორეებით გამაგრებულ ტერასას. შემდგომ, III კულტურული ფენის გაჩენამდე, ლოდზე დაილექა 40-50 სმ სისქის სტერილური შრე. ამიტომ III კულტურული ფენის წარმოქმნას ვერ დავათარიღებთ ძვ.წ. III ს-ის მეორე მეოთხედზე ადრეული პერიოდით. ამ დასახლების მცხოვრებთ ალბათ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ მდიდრული



სურ. 17



სურ. 18

აკლდამების არსებობის შესახებ, რომელთა გაძარცვა მოხდა ალბათ ძვ.წ. III ს-ის პირველი მეოთხედის დასასრულს.

III კულტურული ფენის ხანძრით განადგურების შემდეგ ცხოვრება განახლდა მხოლოდ საბადურის გორის თხემზე. კატასტროფის შემდეგ გორის ფერდობე-ბი იმდენად დამრეცი გახდა, რომ ნაგებობის აქ დადგმა შეუძლებელი გახდებოდა. მაგრამ მათი ნაშთები არ გამოვლინდა $D_3$, $D_4$, $C_3$ სექტორებშიც, სადაც მშენებლობის საშუალება ნამდვილად იყო. ამდენად, ის ფაქტი, რომ გვიანელინისტურ ხანაში საბადურის გორის ფერდობები დაუსახლებელი დარჩა, არ იყო განპირობებული მხოლოდ გეომორფოლოგიური ცვლილებებით.

ამრიგად, საბადურის გორის სტრატიგრაფიული მონაცემებიდან გამომდინარე საირხის ქალაქობის მეორე პერიოდში გამოიყო ორი ეტაპი: ძვ.წ. III-II სს., როცა ათვისებულია გორის თხემი და ფერდობები და ძვ.წ. I — ახ. წ. I სს., როცა ცხოვრება გრძელდება მხოლოდ გორის თხემზე.

საბადურის გორაზე წარმოებული კვლევაძიების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იყო ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარი ფენისა და მდიდრული აკლდამების ურთიერთმიმართების დადგენა. ვანში ახვლედიანების გორა იყო არა მარტო ადგილობრივი არისტოკრატიის საცხოვრისი, არამედ მისი საძვალე[12]. ანალოგიური ვითარების არსებობა ივარაუდებოდა საირხეშიც, თუმცა, საბადურის გორაზე სამარხების კომპაქტური განლაგება ეჭვის საფუძველს იძლეოდა[13].

1986 წელს III კულტურული ფენის „ალების" და №4 სტერილურ შრეში 90-150 სმ-ზე ჩაღრმავების შემდეგ მოიხაზა ქვის მშრალი წყობით ნაშენი პრიმიტიული ნაგებობების კონტურები. $F_2$ და $D_2$ სექტორებში ეს იყო ერთმანეთის მიმართ პარალელურად განლაგებული ორი ყორე (სურ. 3). სტრატიგრაფიულ ჭრილში ისინი მთლიანად „თავსდებოდნენ" №4 სტერილურ შრეში ისე, რომ შუალედური ადგილი ეკავათ III და II კულტურულ ფენებს შორის. ყორეებით გამაგრებულ ტერასაზე გაითხარა აკლდამა №10, რომლის სამარხ ორმოს ჩაჭრილი ჰქონდა II კულტურული ფენა, №6 სტერილური შრე და ნაწილობრივ I (ქვედა) კულტურული ფენა (სურ. 3).

№4 სტერილურ შრეში იყო მოქცეული $E_1$ სექტორში გათხრილი №8 აკლდამის მატური. მის ორივე დასაკრძალავ კამერას ჩაჭრილი ჰქონდა II და I კულტურული ფენები (სურ. 5).

$F_1$ სექტორში გათხრილი, №№11 და 12 სამარხების შემცველი კომპლექსის მატური და დასაკრძალავი კამერები მთლიანად თავსდებოდა №4 სტერილურ შრეში (სურ. 4).

$G_1$ სექტორში გაიწმინდა ბრტყელი ფილებით

[12] ო. ლორთქიფანიძე. ვანის ნაქალაქარი. ვანი. I. გვ. 25.

[13] ჯ. ნადირაძე. საირხე — საქართველოს... გვ. 18. II კულტურული ფენა ძვ.წ. VI-IV სს-ით, ხოლო მდიდრული აკლდამები ძვ.წ. V-IV სს-ით თარიღდებოდა.

ნაგები, კვადრატული მოყვანილობის საკურთხეველი თუ ნიში, მისგან აღმოსავლეთით მდებარე სარიტუალო მოედანი, სადაც აღმოჩნდა რამდენიმე ათეული კოლხური სასმისი და მოზრდილი, პირგადაშლილი დერგი (სურ. 8). ნიში და სასმისებიანი მოედანი მთლიანად „თავსდებოდა“ №4 შრეში (სურ. 8). შემდგომი გათხრების პროცესში გაირკვა, რომ ნიში მასზე აღმართული ფალოსით მოწყობილი იყო №13 აკლდამის თავზე, რომლის დასაკრძალავ კამერას ჩაჭრილი ჰქონდა II და I კულტურული ფენები (სურ. 8). იგივე სიტუაცია დადასტურდა №14 აკლდამის გათხრის შემდეგ (იხ. № 14 სამარხი). მართალია, ეს სამარხი გაძარცული აღმოჩნდა, მაგრამ აქ გამოვლენილი ადგილობრივი კერამიკული ნაწარმის იდენტურობა №13 აკლდამის ინვენტართან მიუთითებს ამ ორი კომპლექსის ქრონოლოგიურ სიახლოვეზე. №13 სამარხის თარიღი კი ძვ. წ. V ს-ის პირველი ნახევრით



სურ. 19

არის განსაზღვრული[14].

ამრიგად, II კულტურული ფენა №№8 და 10 აკლდამების დასაკრძალავი კამერებით ჩაჭრილია ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებსა და მის პირველ ნახევარში, №14 სამარხით – ძვ.წ. V ს-ში და №13 სამარხით – ამავე საუკუნის პირველ ნახევარში. აქვე აღვნიშნავთ, რომ II კულტურული ფენის ერთ-ერთი ნაგებობის საძირკველში ჩაშვებული იყო №6 სამარხი, რომელიც ძვ.წ. IV ს-ის დასასრულით თარიღდება[15] ცხადია, რომ ძვ.წ. V-IV სს-ში საბადურის გორის დასავლეთ ფერდობზე ფუნქციონირებდა საირხის საგვარეულო არისტოკრატიის სამაროვანი. ეს გარემოება გვაძლევს საშუალებას გამოვყოთ ნაქალაქარის განვითარების მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელიც მოიცავს პერიოდს ძვ. წ. VI ს-ის დასასრულიდან ძვ.წ. III ს-ის დასაწყისის ჩათვლით (იხ. ქვემოთ).

II (შუა) კულტურული ფენისათვის დადგენილია terminus ante quem - ძვ. წ. V ს-ის პირველი ნახევარი, რომელსაც გვაძლევს ნამოსახლარ ფენაში ჩაშვებული ყველაზე ადრეული №13 სამარხი. მისი გამართვის მომენტისათვის II კულტურული ფენა უკვე დაფარული იყო სტერილური შრით, რომლის სიმძლავრე 0,5-1 მ-ს შორის მერყეობდა. სტერილური შრის არსებობა სამაროვანსა და II კულტურულ ფენას შორის მიუთითებს გარკვეული ქრონოლოგიური წყვეტილის არსებობაზე. გასათვალისწინებელია, რომ მდიდრული აკლდამებისთვის საბადურის გორის დასავლეთი ფერდობი საგანგებოდ არის დატერასებული, ტერასები ყორეებითაა გამაგრებული და ნიველირებული. ამ საკმაოდ მასშტაბური სამუშაოების წარმოებისას არც ერთ შემთხვევაში არ არის დაზიანებული II კულტურული ფენა. იგი მხოლოდ დასაკრძალავი კამერებითაა ჩაჭრილი. მიუხედავად ამისა, ქრონოლოგიური წყვეტილი არ შეიძლება ყოფილიყო ხანგრძლივი, რადგან II და I (ქვედა) კულტურული ფენების არსებობის პერიოდში საბადურის გორის დასავლეთი კალთა გაშიშვლებული იყო მაქსიმალურ სიმაღლეზე და სტერილური შრის ფორმირება ინტენსიურად მიმდინარეობდა. გამომდინარე აქედან, II კულტურული ფენის განადგურებას ვვარაუდობთ ძვ.წ. VI ს-ის დასასრულს. მთლიანად II კულტურული ფენის შემადგენელი ორივე ჰორიზონტის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს ძვ.წ. VI ს–ით შემოვფარგლავთ. აქ გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის განხილვას ამჯერად არ შევუდგებით, რადგან მისი დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია[16],

[14] ჯ. ნადირაძე. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის 1988 წლის მუშაობის ანგარიში. სხსმსს(XII)-მთ. თბ., 1989. გვ. 21.

[15] ჯ. ნადირაძე. საირხე – საქართველოს... გვ. 11, 66-99.



სურ. 20

ხოლო ფენის თარიღი რამდენიმე სტატიაშია არგუმენტირებული[17]. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ საბადურის გორის II ფენა იმ ძეგლების რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც ქრონოლოგიურად უშუალოდ მისდევენ „დიუნურ სადგომებს". ისინი კი არსებობას წყვეტენ შავი ზღვის სანაპიროზე ბერძნული ახალშენების გაჩენის წინა პერიოდში — ძვ. წ. VII ს-ის ბოლოს — VI ს-ის დასაწყისში[18]. სწორედ ამ ეტაპზე სრულდება შუაკოლხური ხანის კერამიკული კომპლექსის ფორმირება, რომელიც ძვ.წ. VI-IV ს-ის პირველი ნახევრის განმავლობაში არ განიცდის არსებითს ცვლილებებს. შესაბამისად, ვერ ხერხდება აღნიშნული პერიოდის არქეოლოგიური მასალის დიფერენცირება საუკუნეების მიხედვით. საბადურის გორის II კულტურული ფენა იშვიათი გამონაკლისია და ძვ.წ. VI ს-ის „დახურული კომპლექსია".

საბადურის გორის I (ქვედა) კულტურული ფენის სისქე 1,2-1,8 მ-ს შორის მერყეობს, რაც მიუთითებს, რომ ცხოვრება ამ ეტაპზე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა და საკმაოდ ინტენსიურადაც. I და II კულტურულ ფენებს შორის არსებული 2-4 მ სიმძლავრის სტერილური შრე მიუთითებს გარკვეულ ქრონოლოგიურ წყვეტილზე, მაგრამ საბადურისა და ვეშაპიძის გორების თხემზე, აგრეთვე ნაქალაქარის გავაკებულ მონაკვეთებზე, კოდის წყალზე, სახოველში, კარახტინში წინარე და ადრეანტიკური ხანის კულტურული ფენები ერთმანეთზეა განფენილი. ის ფაქტი, რომ სტერილური შრეების აღმოჩენა მოხერხდა მხოლოდ საბადურისა და წყაროსთავის გორების ძირში, სადაც მათი დალექვის პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობდა, გვაფიქრებინებს, რომ ქრონოლოგიური წყვეტილი ხანმოკლე უნდა ყოფილიყო. შესაძლოა, დროის ამ მონაკვეთში ცხოვრება მხოლოდ გორის თხემზე გრძელდებოდა.

საბადურის გორების I კულტურულ ფენაში შუაკოლხური პერიოდის კერამიკის არსებობაც[19] იმას სასარგებლოდ მეტყველებს, რომ I და II კულტურული ფენები ქრონოლოგიურად დიდად არ უნდა იყოს ერთმანეთისაგან დაცილებული. დღეისათვის დადგენილია, რომ კოლხური



სურ. 21

[16] ჯ. ნადირაძე. საირხე — საქართველოს... გვ. 21, ტაბ. $XV_{3-4}$, ტაბ. XVI-XIX, ტაბ. $XX_{1,2,3,4}$; გ. მახარაძე. საბადურის გორის... გვ. 12, სურ. 19-25; გ. მახარაძე. საირხის ნაქალაქარის ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპი. I. თბ., 2000. გვ. 50-51, სურ. 3-12.

[17] გ. მახარაძე. საბადურის გორის... გვ 11-13; მისივე: საირხის ნაქალაქარის... გვ. 43 და შმდგ.

[18] ალ. რამიშვილი. ფიჭვნარის ზღვისპირა სადგომების თარიღისათვის. „მაცნე" ისტორიის ...სერია. №2. 1974. გვ. 104-111; ო. ლორთქიფანიძე, ე. გიგოლაშვილი, დ. კაჭარავა, ვ. ლიჩელი, მ. ფირცხალავა, ა. ჭყონია, ძვ. წ. VI-IV სს-ის კოლხური კერამიკა ვანიდან. ვანი V. თბ., 1991. გვ. 35, 39.

[19] გ. მახარაძე. საირხის ნაქალაქარის... გვ. 51, სურ. 15,16,18.

ქვევრების, სასმისების, ჯამების, ყურმილიანი დოქების წარმოება კოლხეთში წინარეანტიკურ ხანაში იწყება.[20] ამიტომ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრის შუაკოლხური ხანისადმი მიკუთვნების შესახებ[21]. მიუხედავად ამისა, ეს ნაწარმი ხელს შეუშლის I კულტურული ფენის ზედა ქრონოლოგიური მიჯნის ძვ.წ. VII ს-ის სიღრმეში გადაწევას და ძვ.წ. VII ს-ის ბოლო ალბათ ყველაზე მისაღები თარიღი იქნება. გამომდინარე აქედან, საირხის ნაქალაქარის ტერიტორიაზე ძვ.წ. VII-VI სს-ის მიჯნაზე კრიზისია. იგი, როგორც ჩანს, მოკლე ხანში იქნა დაძლეული, რაზეც მიუთითებს II კულტურული ფენის გაჩენა საბადურის გორის დასავლეთ ფერდობზე.

I პირველი კულტურული ფენის თიხის ჭურჭლის ძირითადი ნაწილი (ღარქედებით დაფარული ქილები მაღალი, ცილინდრული ყელით; პირგადაშლილი ქოთნები; ე.წ. სწორბორტიანი ჯამები დაბალი, მასიური ქუსლით; ზოომორფული ყურები და სახელურები და სხვ.) და ბრინჯაოს ნაკეთობანი ზოგადად ძვ.წ. VIII-VII სს-ით თარიღდება. ამ მასალის ერთი ნაწილი დღეისათვის გამოქვეყნებულია, ხოლო თვით ფენის თარიღი რამდენიმე სტატიაშია არგუმენტირებული[22]. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ საირხის უძველეს ნამოსახლარს ყვირილის ხეობის იმ ძეგლების რიცხვს მივაკუთვნებთ, რომელთა წარმოქმნასაც ვვარაუდობთ ძვ.წ. VIII ს-ის პირველი ნახევრის განმავლობაში (მოდინახე, რგანი და სხვ.). ქრონოლოგიურად ისინი უშუალოდ მოსდევენ ჯიეთისა და ითხვისის კანელურებიანი კერამიკის შემცველ ფენებს, რომლებიც, თავის მხრივ, სინქრონულია ნამჭედურის IV-III, ფიჩორის II, ნოსირის ტეხურისპირა ნამოსახლარის ქვედა და ცენტრალური ბორცვის IV ფენებისა. კოლხეთის დაბლობზე მდებარე ამ ეტალონურად მიჩნეულ მრავალფენიან ნამოსახლარებზე აღნიშნულ ფენებს ძვ.წ. XI-IX სს-ს მიაკუთვნებენ[23]. მათ შორის თ. მიქელაძის მიერ შემოთავაზებული ყველაზე გვიანდელი თარიღი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედის ფარგლებში ექცევა[24]

ამრიგად, საბადურის გორის სტრატიგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით შემუშავდა ახალი, შედარებით დიფერენცირებული, ქრონოლოგიური შკალა, რამაც საშუალება მოგვცა გამოგვეყო საირხის ნაქალაქარის ისტორიის რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპი.

I (ქვედა) კულტურული ფენა – ძვ.წ. VIII-VII სს.

II კულტურული ფენა – ძვ.წ. VI ს.

მდიდრული აკლდამების შემცველი ფენა – ძვ.წ. V-III სს-ის დასაწყისი.

III კულტურული ფენა – ძვ. წ. III-II სს-ის პირველი ნახევარი.

IV კულტურული ფენა – ძვ. წ. III – ახ. წ. I სს.

---

[20] ო. ლორთქიფანიძე, ე. გიგოლაშვილი, დ. კაჭარავა, ვ. ლიჩელი, მ. ფირცხალავა, ა. ჭყონია. ძვ.წ. VI-IV სს-ის კოლხური კერამიკა ვანიდან. ვანი V. გვ. 42,43, 57.

[21] ვ. თოლორდავა. ვანის ძვ.წ. VIII-VII სს-ის საკულტო კომპლექსი (ქრონოლოგიისათვის). ანტიკური ხანის კოლხური არქეოლოგიის საკითხები. თბ., 2001. გვ. 41.

[22] გ. მახარაძე. საბადურის გორის... გვ. 5-7, სურ. 11-14; მისივე: საირხის ნაქალაქარის... გვ. 51, სურ. 14-26; მისივე: ყვირილის ხეობის ნამოსახლარების ქრონოლოგია (ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი). ნარკვევები. VI. თბ., 2000. გვ. 17 და შმდ.

[23] Микеладзе Т.К., Хахутаишвили Д.А. Древнеколхидское поселение Намчедури. Тб., 1985. таб. 24,26,27,31,32,34; Барамидзе М.Б. Пичорское поселение. ММСДИП-V . Тб. 1990 . с. 238; Гогадзе Э. М. К вопросу о хронологии и периодизации памятников колхидской культуры, ГМГ. XXXVII –В. Тб., 1984 . с. 52-53.

[24] Микеладзе Т.К. К археологии колхиды. Тб., 1990. с. 36-37.

George Makharadze

# The stratification of Sabadura Hill

Sabadura hill, which is situated near vil. Sairkhe, attrected attention in the eighties of the last century. On its western slope were discovered burial mounds, which date back to V-IV centuries B.C. Sabadura is the highest and the biggest among 15 hills, which are located between vil. Koreti and Sairkhe. Its height is 27 metres and the area reaches 7 hectars (17. 2977 acres). As the result of the archaeological excavations it was ascertained that by the time when the settlement appeared there the western side of the hill was a bare slope, which, in the course of time, was settled with the cultural layer of different period.

The stratification gave us the following:

1. Thickness of humus on the western slope of the hill reached 2 metres. It was washed down from the top of the hill. That's why its thickness reduced gradually from the top to the foot.

2. Ashy cultural stratum. Its thickness reached 2-3 metres near the rock. Like the humus stratum, its thicknes was washed down from the top of the hill. There were no building remainders.

3. Charred cultural stratum. The capacity of the place, where we could prepare the remainders of the buildings, reached 1,2 m.

4. Sterile yellow stratum, like humus layer, reduced little by little. There could be fixed some reminders of „holy buildings" of the antuque period cemiteries.

5. Cultural layer of charred ruins reached 1,3 m. near the buildings. In some places we could fix the lower horizon. No sings of fire.

6. Yellowish clayey soil - a sterile layer. Its thickness near the hill was 3-4 m, but at some distance from the hill it became thinner.

7. The black cultural layer; thickness - 1,2-1,8 m. In contrast to the other layers it was situated horizontally and didn't reach the hill.

Thus, we could distinguish four settlements and one layer with cemeteries. So, in the IV (upper) layer of the arcaeological material we can mark out three chronological groups:

I - Pitchers, jurs, four-edged pots were spread in Georgia from the Ic. A.D. The clay vessels preserve traditions of lateantique period. A delicate work. Most of them had ornaments on grind surfice. That's why we date it back to the first century A.D.

II - Redpainted on grind surfice and blackpolished ceramics with the characteristic feathers of lateantique period date back to the Ic. B.C - Ic. A.D. In the IV layer these specimen are three times much as in two others.

III - The clay vessels of earlyantique period date back to the III-II cc. B.C. So the fourth (upper) layer of Sabadura hill dates back to the III c B.C - Ic. A.D.

Only clay vessels are represented in the III layer of Sabadura hill. They are united in the third chronological group. Proceed from the assumption that the third layer is stratigraphically beneath the tomb, where the latest one dates back to the late IV c. B.C - early III c. B.C, we can date back this layer to the midde III c. B.C-I half of the II c. B.C.

Thus, the life was in full swing as on the top of the hill, as on its slopes. The I (lower) layer of Sabadura hill dates back to the VIII-VII c. B.C.

# თავი II
# საირხის ნაქალაქარი და კოლხეთის სამეფოს ქრონოლოგია

მდ. ყვირილა „საჩხერის ქვეყანაში“ ფართოდ გაშლილი ხოდაბუნების ტერიტორიაზე მიედინება. მხოლოდ სოფელ კალვათასთან იღებს იგი კლდეებით დახშული ვიწრო კანიონის სახეს. სწორედ ამ მონაკვეთზე, მდინარის მარცხენა ნაპირზე, სოფ. საირხისა და ქორეთის მიჯნაზე ამოზიდულია 15 გორა. ისინი იმერეთის პლატოს ბუნებრივი დაბოლოებაა და გარშემორტყმულია ხეობის ყველაზე ნაყოფიერი სახნავ-სათესი მიწებით. შეიძლება ითქვას, რომ აქ არსებობდა ყველა პირობა მსხვილი დასახლების აღმოსაცენებლად. გორები დამრეცი ფერდობებით ბუნებრივი „სიმაგრეების“ სისტემას ქმნის. სამი ღელე და უამრავი წყარო დღესაც უზრუნველყოფს საირხის მოსახლეობას სასმელი და „ტექნიკური“ წყლით. არქეოლოგიურმა გათხრებმა მოიცვა თითქმის მთელი ეს ტერიტორია, დაახლოებით 70 ჰა ფართობი.

ნაქალაქარის უძველესი კულტურული ფენები გამოვლინდა საბადურის, სკომიეთის, წყაროსთავის (კოკილაშვილების), ვეშაპიძის, ღელეპირა გორებზე, აგრეთვე გორებს შორის მოქცეულ გავაკებულ მონაკვეთებზე – სახოველში, კარახტინში, კოდისწყალსა და ბიჭიაშვილების ღელის ფლატესთან. XX ს-ის 60-იან წლებში წყაროსთავის გორის აღმოსავლეთით მდებარე საკარმიდამო ნაკვეთში შემთხვევით აღმოჩნდა წინარეანტიკური ხანის კოლექტიური სამარხი ორმოები[1]. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ საირხე თავისი არსებობის პირველივე ეტაპზე – ძვ. წ. VIII-VII სს-ში იყო დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე უფრო მსხვილი დასახლება. მანძილი კოდისწყლიდან სკომიეთის გორამდე 1 კმ-ს აღწევს. მხოლოდ ლითონის საწარმოო უბნები – კოდისწყალი და სახოველი-კარახტინი ფართობით აღემატება დასავლეთ საქართველოს ბარში გამოვლენილ არაერთ ცნობილ ნამოსახლარს.

სამშენებლო ტექნიკა მთელი ნაქალაქარის ტერიტორიაზე ერთგვაროვანია – ფლეთილი ქვის 35-40 სმ სიგანის საძირკველზე დაფუძნებული იყო ხის კონსტრუქციები, რომლებიც თიხით ილესებოდა. ამის სასარგებლოდ მეტყველებს გათხრების პროცესში აღმოჩენილი ბათქაშის ფრაგმენტები ხის ძელების (მათ შორის, წვრილი ტოტებისა და ფოთლების) ანაბეჭდებით. შენობები რამდენიმე სათავსოსგან შედგებოდა, რისი გამოვლენაც მოხერხდა კარახტინში. აქ გაიწმინდა მოზრდილი ნაგებობა ოთხი დიდი თუ მცირე სათავსოთი. სახოველი-კარახტინის როგორც ქვედა, ასევე ზედა სამშენებლო ჰორიზონტების ნაგებობები თავიდანვე ლითონის წარმოებას დაუკავშირდა. გათხრების პროცესში იატაკების დონეზე და ეზოში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ბრინჯაოს წიდები, ტიგელები, საქშენი მილების ფრაგმენტები.[2] ლითონის წარმოებასთან დაკავშირებული სახელოსნო გაითხარა კოდისწყალზეც. წინარეანტიკური ხანის კერამიკასთან ერთად აქ აღმოჩნდა საქშენი მილის მოზრდილი ფრაგმენტი და რკინის წიდები, ხოლო ნაგებობიდან 10-15 მ-ის დაცილებით გაიწმინდა რკინის შლაკის დიდი გროვა.[3] როგორც ჩანს, ძვ.წ. VIII–VII სს-ში კოდისწყლის ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა რკინის სადნობი ქურები.

ნაქალაქარის სხვა უბნებში შესწავლილი ნაგებობები ფრაგმენტულად იყო შემორჩენილი. მათი გათხრების პროცესში ძირითადად გამოვლინდა სუფრის, სამზარეულო და სამეურნეო დანიშნულების თიხის ჭურჭელი. ამიტომ ისინი ჩვეულებრივ საცხოვრებელ სახლებად არის მიჩნეული. კერამიკა დამახასიათებელია ყვირილის ხეობის ძვ.წ. VIII-VII სს-ის ძეგლებისათვის. ამავე პერიოდს განეკუთვნება საირხის უძველეს ფენებში აღმოჩენილი ორმხრივ მოხრილი ბრინჯაოს კოლხური ცული, ყუნწიანი ისრისპირები, სატეხები, სამკაული, რკინის ცალპირლესული დანები და სხვ.[4] მიუხედავად იმისა, რომ

---

[1] ჯ. ნადირაძე. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1975. გვ. 116; ჯ. ნადირაძის მიერ შეგროვებული ნივთები ინახება ხელოვნების მუზეუმის ფონდებში.

[2] იქვე. გვ. 117-123. ტაბ. XXXIV.

[3] გ. მახარაძე, მ. წერეთელი. ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრის სამარხები საჩხერიდან, აყ. II. თბ., 2002. გვ. 64. სურ. 38, 41.

[4] ჯ. ნადირაძე. ყვირილის ხეობის... გვ. 101. ტაბ. XXIX, XXXV; გ. მახარაძე. საბადურის გორის სტრატიგრაფია და საირხის ნაქალაქარის ისტორიის ძირითადი ეტაპები. თბ., 1991. გვ. 5-7, სურ. 11-18; მისივე: საირხის ნაქალაქარის ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი, აყ. I. თბ., 2002. გვ. 51. სურ. 18-26.

არქეოლოგიურმა დაზვერვებმა მოიცვა 70 ჰა ფართობი, საირხის უძველეს ფენებში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა ნაქალაქარის ყველა უბანში ერთგვაროვანია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მოსახლეობა ერთდროულად „ჯდება“ ამ ტერიტორიაზე.[5] როგორც ჩანს, საირხის უძველესი დასახლების ზრდის ტემპი იმდენად მაღალი იყო, რომ დღეისათვის შემუშავებული ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის არქეოლოგიური მასალის ქრონოლოგიური დიფერენციაცია ამ პროცესებზე თვალის მიდევნების საშუალებას არ იძლევა. მოსახლეობის კონცენტრაცია საირხეში არ ხდება მეზობელი დასახლებების ხარჯზე. ამავე პერიოდში ისახება ცხოვრება ნავარძეთის ბორცვზე, უდერძისა და ჭიჭინაძეების გორებზე, რგანში, ბერეთისაში, თოდაძის, ნიგოზეთის, სვერის ციხეების ფერდობებზე.[6] ცხოვრება გრძელდება იმ ნამოსახლარებზეც, რომელთა წარმოქმნა ქრონოლოგიურად წინ უსწრებს საირხის ნაქალაქარს — ჯიეთი, მოდინახე, ითხვისი.[7]

ყვირილის ხეობის ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ნამოსახლარებისათვის დღეისათვის შემუშავებულია საკმაოდ მყარი ქრონოლოგიური შკალა. კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი უძველესი კერამიკული კომპლექსი მიკვლეულია ჯიეთის ნაქალაქარის III კულტურულ ფენაში.[8] ამგვარი ნაწარმი გვხვდება კოლხეთის ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის ნამოსახლარებზე, მაგრამ ჯიეთის III ფენა უფრო გვიანდელი უნდა იყოს, რადგან აქვე წარმოდგენილია ვერტიკალური ღარებითა და ვიწრო კანელურებით შემკული თიხის ჭურჭელი. კერამიკის ეს ჯგუფი ითხვისის IV ფენის ყველაზე ადრეული ნაწარმია.[9] ჯიეთის III და ითხვისის IV კულტურული ფენები სტრატიგრაფიულ ჭრილში გადაფარულია ძვ.წ. VIII-VII სს-ის ფენებით. სწორედ ამ ეტაპზე ისახება ცხოვრება საირხეში.

ყვირილის ხეობის ძვ.წ. X-IX და VIII-VII სს-ის ნამოსახლარებს შორის ქრონოლოგიური წყვეტილი არ დასტურდება. მიუხედავად ამისა, კერამიკის წარმოებაში მკვეთრი ცვლილებები შეიმჩნევა. წინამორბედი პერიოდისთვის დამახასიათებელი ვერტიკალურ-ღარული ორნამენტი და კანელურები იცვლება კონცენტრულ-წრეხაზოვანი მოტივით, რომელიც დატანილია ჭურჭლის ყელზე ან მხარზე, იშვიათად, მუცელზე. ფართო გავრცელებას ჰპოვებს ჭურჭლის ზედაპირის წნეხვით გამოყვანილი ნაპრიალები ზოლებით შემკობა (მერიდიანული ზოლები ან რომბული ბადეები). უკვე ხმარობენ ქილებს მაღალი, ცილინდრული, გოფრირებული ყელითა და ბიკონუსური კორპუსით, სწორბორტიან ჯამლანგრებს დაბალი ქუსლით და სხვ.[10] მთლიანად ძვ.წ. VIII-VII სს-ის ძეგლებზე მკაფიოდ აღინიშნება აღმოსავლეთ საქართველოდან მომდინარე კულტურული იმპულსები. განსაკუთრებული მსგავსება ჩანს ბეშთაშენის შედარებით ადრეულ არქეოლოგიურ მასალასთან.[11] ტეხილი მატერიალური კულტურის განვითარებაში გვაძლევს საფუძველს მკვეთრად გავმიჯნოთ ყვირილის ხეობის ძვ.წ. XI-IX და VIII-VII სს-ის ნამოსახლარები. ამ თვალსაზრისით ზემო იმერეთის ტერიტორიაზე გაცილებით უფრო ხელსაყრელი პირობები აღმოჩნდა, ვიდრე კოლხეთის დაბლობზე, სადაც აღმოსავლეთიდან მომდინარე იმპულსები სუსტად არის გამოკვეთილი.

დემოგრაფიული აფეთქება და ტეხილი მატერიალური კულტურის განვითარებაში გვაფიქრებინებს, რომ წინარეანტიკურ ხანაში ყვირილის ხეობაში მიმდინარე პროცესები არ იყო განპირობებული მხოლოდ რკინის ფართო ათვისების მეორე საფეხურთან დაკავშირებულ სოციალურ-ეკონომიკურ ძვრებთან და ადგილი ჰქონდა ეთნიკური ჯგუფების შემოღწევას აღმოსავლეთ საქართველოდან. ეს მონაცემები ეხმიანება „ქართლის ცხოვრების“ ცნობას, რომლის თანახმად კავკასიაში ხაზარების (resp) სკვითების შემოსევათა წინა ხანაში ადგილი ჰქონდა ქართის ტომების შემოჭრას დასავლეთ საქართველოში, რაზეც პირველმა გაამახვილა ყურადღება თ. მიქელაძემ.[12] ურარტული და ბერძნულ-რომაული წყაროების ანალიზის

---

[5] კოლხეთის დაბლობზე შესწავლილ ძეგლებზე, მაგალითად, ფიჩორისა და ნამჭედურის ბორცვზე დასტურდება, თუ როგორ ფართოვდება ეს ნამოსახლარები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის განმავლობაში. Барамидзе М.Б. Пичорское поселение. ММС ДИП. Вани. 1987. 1990. с. 238; Хахутаишвили Д. А., Микеладзе Т. К. Древнеколхское поселение Намчедури. Тб., 1985. с. 28.

[6] ჯ. ნადირაძე. საირხე საქართველოს... გვ. 128

[7] ი. გაგოშიძე, გ. მახარაძე, ე. ქორიძე, ნ. გოგიბერიძე. ითხვისის ნამოსახლარი. აჟ. III. თბ., 2004. გვ. 72 და შმდგ.

[8] გ. მახარაძე, გ. ლომთაძე. კოლხური კულტურის გავრცელება ყვირილის ხეობაში. ნარკვევები. II. თბ., 1996. ტაბ. IV, V.

[9] ი. გაგოშიძე, გ. მახარაძე, ე. ქორიძე, ნ. გოგიბერიძე. ითხვისის ნამოსახლარი. სურ. 39, 40, 41, 42, 43.

[10] გ. მახარაძე. ყვირილის ხეობის ნამოსახლარების ქრონოლოგია. ნარკვევები. VI. თბ., 2006. გვ. 31.

[11] ე. გოგაძე, ც. დაველიანიძე. გორაძირი. თბ., 1981. გვ. 31.

[12] თ. მიქელაძე. ძიებანი კოლხეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბ., 1974. გვ. 74.

საფუძველზე გ. მელიქიშვილი ვარაუდობს ბიზერების, იგანის, ვიტერუსის, ლუშას, ქათარზას ტომების გადაადგილებას დასავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით.[13] ეს პროცესი სათავეს იღებს ძვ.წ. VIII ს-ის პირველ ნახევარში, როცა ძლიერების ზენიტში მყოფი ურარტუს სახელმწიფო აქტიურად უტევს ამიერკავკასიაში მცხოვრებ ტომებს, ხოლო პერმანენტული თავდასხმებით შეწუხებული მოსახლეობა იძულებულია გადაინაცვლოს მტრისთვის მიუწვდომელ რაიონებში, მათ შორის, შიდა ქართლში და ზემო იმერეთში.[14] ამიტომ არ იქნება მართებული აღმოსავლეთქართველი ტომების დასავლეთისკენ გადაადგილება გავიაზროთ როგორც ექსპანსიის შედეგი. ახალი ეთნოკულტურული ნაკადის შემოჭრამ არ შეაფერხა კავშირი აღმოსავლეთ საქართველოს-თან. კოლხური კულტურის გავლენა შიდა ქართლში, განსაკუთრებით მის მთიან ნაწილში, ძლიერია მთელი ძვ.წ. VIII-VII სს-ის პირველი ნახევრის განმავლობაში, რაც გულისხმობს ყვირილის ხეობაზე გამავალი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი ძირითადი არტერიის ინტენსიურ ექსპლუატა-ციას. სწორედ ამ პერიოდში ზემო იმერეთი შიდა ქართლის მომიჯნავე რაიონებთან ერთად ქმნის შერეული კულტურის ზონას, რაზეც ჯერ კიდევ გორაძირის სამაროვნის მასალის ანალიზი-სას მიუთითებდა ე. გოგაძე.[15]

ამრიგად, საირხე ძვ.წ. VIII ს-ში ყალიბდება რეგიონის ყველაზე უფრო მსხვილ და ეკონომიკურად ძლიერ დასახლებად. სწრაფი დაწინაურების საფუძველს ქმნიდა მეტად ხელსაყრელი ადგილმდებარეობა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელ მაგისტრალზე, სასოფლო-სამეურნეო სავარგულე-ბით მდიდარ „საჩხერის ქვეყანაში". ეკონომიკური ძლიერების უმთავრესი წყარო ნაქალაქარის ლითონის საწარმოო უბნები გახდა, რაშიც გადა-მწყვეტი როლი იქონია მდ. ყვირილის სათავეებში რკინის მადნის მდიდარი გამონასვლების არსებობამ.[16] სწორედ აქედან მარაგდებოდა საჭირო ნედლეულით ბარში განლაგებული საწარმოები, რომელთა პროდუქციის ძირითადი მომხმარებელი „საჩხერის ქვეყანა" იყო — მევანახეობით დღესაც განთქმული რეგიონი. აღმავლობის ეს პერიოდი გრძელდება მთელი ძვ.წ. VIII-VII სს-ის განმავლობაში და საირხე ამ მხრივ გამონაკლისი არ არის. სწორედ წინარეანტიკურ ხანაში ყალიბდება ის დემოგრა-ფიული ოპტიმუმი, რომელსაც ვადასტურებთ ყვირილის ხეობაში ძვ.წ. VI-IV სს-ში - კოლხეთის სამეფოს არსებობის პერიოდში.[17]

აზიაში სკვითების ლაშქრობების ხანა ზემო იმერეთის არქეოლოგიურ ძეგლებზე შიდა ქართლიდან მომდინარე იმპულსების შესუსტებასა და სკვითური შეიარაღების (ისრისპირები, აკინაკები, ცულები) გამოჩენაში გამოიხატა.[18] კრიზისის ნიშნები მხოლოდ ძვ.წ. VII ს-ის ბოლოს იჩენს თავს. ამის სასარგებლოდ მეტყველებს არა იმდენად საბადურის გორის თხემზე წინარეანტიკური ხანის გადამწვარი კულტურული ფენის არსებობა (რაც უფრო ლოკალურ მოვლენად გამოიყურება), რამდენადაც ცხოვრების შეწყვეტა გორის ფერდობებზე. როგორც აღინიშნა, საბადურისა და წყაროსთავის გორების ფერდობებზე წინარეანტიკური ხანის კულტურული ფენები სტერილური შრით არის გადაფარული და ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში ცხოვრება გორების თხემებზე გრძელდება. საფიქრებელია, მოსახლეობა უსაფრთხოდ ვერ გრძნობს თავს ნაქალაქარის გავაკებულ მონაკვეთებზე. კულტურული ფენები აქ, ისევე როგორც გორების ფერდობებზე, არ ატარებს ხანძრის ან ძალადობის კვალს, ე.ი. ნაქალაქარის ზოგი უბნის დაცარიელება არა უშუალოდ მტრის თავდასხმას, არამედ ამის საშიშროებას უკავშირდება.

საქართველოში აღმოჩენილი სკვითური მასალის შემცველი კომპლექსების ანალიზის საფუძველზე მ. ფირცხალავა მივიდა დასკვნამდე, რომ მათი უმრავლესობა ძვ.წ. VII ს-ის დასას-რულით თარიღდება. გამომდინარე აქედან, მკვლე-ვარი საქართველოს ნივთიერ კულტურაში წინააზიური წარმომავლობის სკვითური ნივთების მომრავლებას ისტორიის კონკრეტულ ეპიზოდს

---

[13] Меликишвили Г.А. К истории древней Грузии. Тб., 1959. с.223.

[14] წინარეანტიკურ ხანაში განახლდა ცხოვრება ალის ნაქალაქარის ტერიტორიაზეც. ა. დავითაშვილი, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მცხეთიჯერის რაზმის 1988 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში. სხსმსს (XII) - მთ. თბ., 1989. გვ. 29.

[15] ე. გოგაძე, ც. დავლიანიძე. გორაძირი. გვ. 23.

[16] ჯ. ნადირაძე. საირხე - საქართველოს... გვ. 18-21.

[17] ზემო იმერეთში ადრეანტიკური ხანის ყველა ნამოსახლარზე წარმოდგენილია წინარეანტიკური ხანის კულტურული ფენები.

[18] გ. მახარაძე, გ. ლომთაძე. მოდინახეს წინარეანტიკური ხანის სამაროვანი. აუ. I. თბ., 2000. გვ. 37-42.

უკავშირებს.[19] როგორც ცნობილია, მიდიის მეფე კიაქსართან განცდილი მარცხის შემდეგ სკვითები კავკასიის გავლით ჩრდილოეთ-შავიზღვისპირეთში დაბრუნდნენ.[20] ვ. კოვალევსკაიას აზრით, „ქართლის ცხოვრებაში" დაცულია ცნობა, რომლის თანახმად მომთაბარეთა ნაწილმა საქართველოს შეაფარა თავი:[21] „...მოვიდეს თურქნი ოტებულნი მასვე ქაიხოსროსგან. გამოვლეს ზღვა გურგანისი, აღმოყვეს მტკუარსა და მოვიდეს მცხეთას სახლი ოცდარვა". მცხეთის მამასახლისმა „ყოველთა ქართველთა" თანხმობით შეივრდომა „გამოსხმულნი თურქნი", მაგრამ გაფანტა ისინი ქალაქებსა და დაბებში.[22] სწორედ ამ მოვლენას უკავშირებს მ. ფირცხალავა სკვითური მასალის მომრავლებას საქართველოში. როდის მოიპოვეს მიდიელებმა გადამწყვეტი გამარჯვება სკვითებზე, ზუსტად დადგენილი არაა. ძვ.წ. 615 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მიდიელები ასურეთის არაფხას ოლქში შეიჭრნენ, ხოლო ერთი წლის შემდეგ მისი დედაქალაქი ასური იერიშით აიღეს. როგორც სამართლიანად შენიშნავს ი. დიაკონოვი, ამ დროისათვის მიდიელებს უკვე აქვთ მოპოვებული გადამწყვეტი გამარჯვება სკვითებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა დავუშვათ, რომ მათ ასურეთის სამეფო სკვითების მონობის „ქვეშ" გაანადგურეს.[23] ძვ. წ. 609 წელს მიდიის მეფე კიაქსარმა და ბაბილონის მეფე ნაბოფალასარმა ერთობლივი ლაშქრობით ბოლო მოუღეს ურარტუს. ეს კი ნიშნავს, რომ სკვითებისგან „გაიწმინდა" ურარტუსა და მანას სამეფოს ტერიტორიებიც.[24]

ამრიგად, ვანისა და საირხის განვითარების საწყისი ეტაპები ახლად შემუშავებული დიფერენცირებული ქრონოლოგიური შკალითაც დაემთხვა ერთმანეთს — ძვ. წ. VIII-VII სს.[25] ასევე თარიღდება დასავლეთ საქართველოს წინარეანტიკური ხანის ნამოსახლარებისა და სამაროვნების უმრავლესობა, განსხვავებით აღმოსავლეთ საქართველოსგან, სადაც რკინის ფართო ათვისების მეორე (ძვ.წ. VIII-VII სს-ის პირველი ნახევარი) და მესამე საფეხურის (ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი — ძვ. წ. VI ს.) ძეგლები მკაფიოდ არის გამიჯნული ერთმანეთისგან. ამასთანავე, ეს უკანასკნელი საფეხური ატარებს დროში გაწელილი კრიზისის ნიშნებს.[26] როგორც ჩანს, დასავლეთი საქართველო სკვითების ლაშქრობების ხანაში ნაკლებად დაზარალდა, რისი ნათელი დადასტურებაა მძლავრი აღმავლობის პერიოდი, რომელიც კოლხეთში იწყება ძვ. წ. VI ს-ში.[27]

ეს ეტაპი საირხეში მკაფიოდ დასტურდება სტრატიგრაფიულად. საბადურისა და წყაროსთავის გორებზე წინარე და ადრეანტიკური ხანის კულტურული ფენები სტერილური შრითაა გამიჯნული. დანარჩენი უბნების ტერიტორიაზე ისინი ერთმანეთზეა განფენილი. სამშენებლო ტექნიკა უცვლელი რჩება. ფლეთილი ქვის ერთმაგ წყობაზე დაფუძნებულია ხის კონსტრუქციები, რომლებიც რამდენიმე სათავსოსგან შედგება. ცვლილებები შეიმჩნევა მატერიალური კულტურის განვითარებაში. კერამიკა წარმოდგენილია შუა კოლხური ხანისათვის დამახასიათებელი ნაწარმით. აღმოსავლეთიდან მომდინარე იმპულსები აღარ შეიმჩნევა. მკვეთრად იზრდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესანახად გამიზნული ჭურჭლის რაოდენობა (კოლხური ქვევრები და დერგები). ფუნქციონირებას იწყებს ლითონის საწარმოო უბნები. რიგითი მოსახლეობის საცხოვრებელში აღმოჩენილი შრომის იარაღები (ცულები, თოხები, სახნისები და სხვ.) მხოლოდ რკინისგანაა დამზადებული. მოსახლეობა კვლავ ითვისებს გორებს შორის მოქცეულ გავაკებულ ფართობებს. ამ ეტაპზეც საირხე რჩება დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ

---

[19] მ. ფირცხალავა. სკვითური კულტურის ძეგლების საქართველოში გავრცელების საკითხისათვის. სას. I. თბ., 1978. გვ. 48-49.

[20] Артамонов М.И. Скифское царство. СА. №3. 1972. с. 51-56.

[21] Ковалевская В.Б. Скифы, Мидия, Иран во взаимоотношениях с Закавказьей по данным Леонти Мровели. „მაცნე". ისტორიის... სერია, №3. 1975. გვ. 68-69.

[22] „ქართლის ცხოვრება". I. თბ., 1955. გვ. 15.

[23] Дьяконов И.М. История Мидии. М-Л., 1965. с. 304.

[24] ძვ. წ. 605 წლიდან მიდიელებს საომარი მოქმედებები გადააქვთ მდ. ევფრატის (ყარა - სუ) დასავლეთით, რაც შეუძლებელი გახდებოდა, თუ „ზურგში" დარჩებოდა სკვითების ანგარიშგასაწევი დაჯგუფება. Дьяконов И.М. Малая Азия и Армения около 600 г. до н.э. ВДИ. №2. 1981. с. 38-43.

[25] თუმცა, ცხოვრების ჩასახვა ვანის ნაქალაქარზე ქრონოლოგიურად მცირედ, მაგრამ მაინც წინ უნდა უსწრებდეს საირხეს. „ახვლედიანების" გორაზე, ე. წ. სამსხვერპლო მოედნის კულტურულ ფენაში, აღმოჩენილი ვიწრო კანელურებით შემკული ჭურჭელი და კონუსურძირიანი სასმისები დამახასიათებელია ძვ. წ. XI -IX სს-ის ნამოსახლარებისთვის. Гогадзе Э.М. К вопросу о хронологии и периодизации памятников колхидской культуры. ГМГ. XXXVII-В. 1984. с. 51, рис. II.

[26] რ. აბრამიშვილი. რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ.წ. XIV-VII სს.). სსმმ. XXII-B, თბ., 1962. გვ. 320.

[27] ო. ლორთქიფანიძე. ვანის ნაქალაქარი. ვანი. I. თბ., 1972. გვ. 8-25, შმშ. №3.

ყველაზე უფრო მსხვილ დასახლებად. საირხე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია, რომელიც ადასტურებს კოლხეთის სხვა ნამოსახლარებზე, უპირველეს ყოვლისა, ვანში გამოვლენილ სიტუაციას, რომლის თანახმად ძვ.წ. VI ს-ში დასავლეთ საქართველოში იწყება ახალი, მძლავრი აღმავლობის პერიოდი, მაგრამ ვანისა და საირხის ქრონოლოგია სწორედ ამ ეტაპზე არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ვანში შემუშავებული ქრონოლოგიური შკალის მიხედვით „ქალაქობის" პირველი პერიოდი ძვ.წ. VI-IV სს-ის პირველი ნახევრით თარიღდება.[28] საირხეში ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარი (II) ფენა ჩაჭრილი აღმოჩნდა ძვ. წ. V-IV სს-ის მდიდრული სამარხებით. ამდენად, ნაქალაქარის იგივე ქრონოლოგიური მონაკვეთი ორ საფეხურად დაიყო: II ფენა — ძვ. წ. VI ს., სამაროვანი - ძვ.წ. V—IV სს.[29] ძირითადად სწორედ ამ უკანასკნელ საფეხურს შეესაბამებოდა ვანის ქალაქობის პირველი პერიოდის მახასიათებლები, რომლებიც ო. ლორთქიფანიძემ ჯერ კიდევ XX ს-ის 70-იან წლებში შეიმუშავა.[30] ამიტომ საირხის ქალაქობის წინა პერიოდის თარიღი ძვ.წ. VIII-VI სს-ით განისაზღვრა, რომელშიც გამოიყო განვითარების ორი ფაზა: I — ძვ. წ. VIII-VII სს. და II — ძვ. წ. VI ს. ეს არ იყო მხოლოდ არქეოლოგიური პერიოდიზაციის პრობლემა. საკითხი უშუალოდ უკავშირდებოდა კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფორმირების თარიღს კოლხეთში, რასაც საბადურის გორის სტრატიგრაფიული მონაცემებიდან გამომდინარე ადგილი უნდა ჰქონოდა ძვ.წ. VI ს-ის ბოლოს. ამიტომ საირხის ნაქალაქარის ისტორიის ძვ. წ. VI ს-ის მონაკვეთი საგანგებო სტატიაში განვიხილეთ.[31] მისი გამოქვეყნების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა.

საირხის საბადურის გორის სტრატიგრაფიული და ქრონოლოგიური მონაცემები მთლიანად დადასტურდა ითხვისის ნამოსახლარზე. აქაც ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ნამოსახლარი (რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ადრეანტიკური ხანის კულტურული ფენაც) ჩაჭრილი აღმოჩნდა ძვ.წ. V-IV სს-ის სამარხებით.[32] ამიტომ ითხვისში, ისევე როგორც საირხეში, მხოლოდ სამაროვნის მასალა ასახავს, თუ როგორ მიმდინარეობს ძვ.წ. IV ს-ში კოლხეთისათვის დამახასიათებელი შავკეციანი კერამიკის ჩანაცვლება წითლად გამომწვარი და მოხატული თუნის ნაწარმით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ დ. ახვლედიანის ბოლოდროინდელ ნაშრომში ძირეული გარდატეხა ვანის ისტორიაში, რომელსაც მოჰყვა არისტოკრატიული ზედაფენის ფორმირება, საირხის მსგავსად ძვ.წ. VI ს-ის ბოლოთი არის დათარიღებული. სამწუხაროდ, მკვლევარმა არ ჩათვალა საჭიროდ აღენიშნა, რომ ეს აღმოჩენა პირველად საირხეში გაკეთდა, რაც უთუოდ მეტ დამაჯერებლობას შესძენდა მის მოსაზრებას. ამასთანავე, ამ ახალი ქრონოლოგიური შკალიდან „ამოვარდნილია" ძვ.წ. VI ს., რომელიც კოლხეთის ისტორიის მნიშვნელოვანი, თუმცა ნაკლებად შესწავლილი, პერიოდია. როგორც აღინიშნა, საირხისა და ითხვისის აღმოჩენებამდე დასავლეთ საქართველოს ძვ.წ. VI-V სს-ის ძეგლების შიდაქრონოლოგიური დიფერენცირება საერთოდ ვერ ხერხდებოდა. არ არის გამოყოფილი ძვ.წ. VI ს-ის სამარხების ჯგუფიც, მაგრამ ძვ.წ. VII ს-ის ბოლოს და ძვ. წ. V-IV სს-ში კოლხეთში არსებული სიტუაციების შედარება მკაფიოდ აჩენს, თუ რაოდენ არსებითს გარდაქმნებს ჰქონდა ადგილი დასავლეთ საქართველოში ძვ.წ. VI ს-ში.

ძვ.წ. VIII-VII სს-ში კოლხეთისთვის დამახასიათებელია კოლექტიური სამარხი ორმოები და მიცვალებულების მეორეული დაკრძალვის წესი. სამაროვნებში აღმოჩნდა მრავალი საბრძოლო და შრომის იარაღი, სამკაული, თიხის ჭურჭელი. ძვ.წ. V ს-დან დასტურდება მხოლოდ ინდივიდუალური, ინჰუმაციური ორმოსამარხები. საირხის (კოდის წყალი), ითხვისისა (ჩილათა) და მოდინახეს რიგითი მოსახლეობის სამარხეული ინვენტარი თიხის ორიოდე ჭურჭლითა და რკინის სამაჯურით შემოიფარგლება. საერთოდ ქრება საბრძოლო და შრომის იარაღი. თუმცა, სოციალური განშრევების პროცესი ამ ფენაშიც მიმდინარეობს. გამოიყოფა სამარხების მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომლებშიც გამოვლინდა ოქროს ნივთები (ძირითადად საყურეები და მძივები) და ბერძნული იმპორტი,[33] მაგრამ ისინი ვერ შეედრება საირხისა და ვანის მდიდრულ სამარხებს, რომლებშიც აღმოჩენილია ოქროსა და ვერცხლის ასეულობით სამკაული და ჭურჭელი, მძიმე შეიარაღება, შეწირული ცხენები მდიდრული აღკაზმულობით. ყოველივე ეს ძვ.წ. VI ს-ში

[28] ო. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი (გათხრები, ისტორია, პრობლემები) ვანი III. თბ., 1977. გვ. 14 და შმდგ; მისივე: ვანი „ოქრომრავალი" კოლხეთის უძველესი რელიგიური ცენტრი. მაინცი, 1995. გვ. 5.

[29] გ. მახარაძე. საბადურის გორის.... გვ. 3-4.

[30] ო. ლორთქიფანიძე. ვანი III. გვ. 14-16.

[31] გ. მახარაძე, საირხის ნაქალაქარის ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპი, აუ. I. თბ., 2000. გვ. 16.

[32] ი. გაგოშიძე, გ. მახარაძე, ე. ქორიძე, ნ. გოგიბერიძე. ითხვისის... გვ. 72 და შმდგ.

კოლხეთში მიმდინარე პროცესების შედეგია. საირხის, ვანის, ითხვისის ნამოსახლარების სტრატიგრაფიული და ქრონოლოგიური მონაცემების თანხვედრა საფუძველს გვაძლევს, რომ ძვ.წ. VI ს. გამოვყოთ როგორც კოლხეთის ისტორიის „დამოუკიდებელი“ ეტაპი, რომელიც უშუალოდ უსწრებს კლასობრივი საზოგადოების ფორმირებას დასავლეთ საქართველოში. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე ყურადღებას გავამახვილებთ მის ძირითად მახასიათებლებზე.

უპირველეს ყოვლისა, დისკუსიის საგანი აღარ არის ეტაპის საწყისი თარიღი — ძვ.წ. VII ს-ის ბოლო — ძვ.წ. VI ს-ის დასაწყისი.[34] ჯერ კიდევ XX ს-ის 60-იან წლებში ნ. ლომოურმა ბერძნულ-რომაული წყაროების ანალიზის საფუძველზე ელინური ახალშენების წარმოქმნა კოლხეთში ივარაუდა დიდი ბერძნული კოლონიზაციის ფინალურ საფეხურზე — ძვ.წ. VI ს-ის 90-60-იან წლებში.[35] გამომდინარე იქიდან, რომ ზღვის სანაპირო ზოლში განლაგებულ ნამოსახლარებზე, ე.წ. დიუნურ სადგომებზე, ბერძნული იმპორტი აღმოჩენილი არ არის, მათი ზედა ქრონოლოგიური მიჯნა ძვ.წ. VII ს-ის ბოლოთი შემოიფარგლა.[36] ამ მოსაზრების მოწინააღმდეგეები — ო. ლორთქიფანიძე და თ. მიქელაძე თვლიდნენ, რომ ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევრის იმპორტი კოლხეთში იმდენად მცირერიცხოვანია, რომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს ახალშენების წარმოქმნის მოგვიანო თარიღს — ძვ.წ. VI ს-ის შუა ხანებს.[37] აღნიშნულ საკითხებზე ვანის საერთაშორისო სიმპოზიუმებზე მწვავე დისკუსია მიმდინარეობდა, მაგრამ ახალი აღმოჩენების ფონზე ო. ლორთქიფანიძემ ერთ-ერთ უკანასკნელ ნაშრომში ბერძენი კოლონისტების გამოჩენა კოლხეთში ძვ.წ. VI ს-ის 90-იანი წლებით დაათარიღა.[38]

ძვ.წ. VII ს-ის ბოლო — VI ს-ის დასაწყისი ახალი ეტაპია არა მარტო კოლხეთის, არამედ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიაში. სწორედ ამ დროს წყვეტს არსებობას ასურეთის, ურარტუს, მანას სამეფოები, სრულდება სკვითების გამანადგურებელი ლაშქრობები წინა აზიაში და ისინი ინაცვლებენ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის სტეპებისკენ. ისტორიის ასპარეზზე გამოდის მიდიის, ბაბილონის, სპარსეთის სამეფოები, რომელთა გვერდით წყაროებში იხსენიება სასპერებისა და კოლხეთის პოლიტიკური ერთეულები.[39] ამასთანავე, ეჭვს არ იწვევს, რომ ჰეროდოტესთან ნახსენები კოლხეთი (ურარტული წყაროების კოლხასგან განსხვავებით) თანამედროვე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობდა, შესაბამისად, არქეოლოგიური წყაროები სწორედ ამ ქვეყნის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას.

ძვ.წ. VI-IV სს-ის პირველი ნახევრის ეტაპისთვის ო. ლორთქიფანიძის მიერ შემუშავებული მახასიათებლებიდან ძვ.წ. VI ს-ს შეესაბამება ორი: I - შიდაკოლხური ეკონომიკური ერთობის შექმნა, II - ძვ. წ. VI ს-ის 90-იან წლებში რეგულარული კონტაქტების დამყარება ელინურ სამყაროსთან. ხელოსნური წარმოების უნიფიკაცია და საერთო-კოლხური კულტურის ფორმირება, როგორც აღნიშნავს მკვლევარი, არ არის უბრალოდ ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობის შედეგი (რაც შეინიშნება გვიანბრინჯაოს ხანიდან).[40] ეს არის დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ტომების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალი საფეხური, წინამორბედ პერიოდთან შედარებით კონსოლიდაციის უფრო მაღალი ხარისხი. დაპირისპირება ალმავლობის გზაზე მდგარ საკმაოდ ძლიერ პოლიტიკურ ერთეულთან ბერძენი კოლონისტებისთვის უპერსპექტივო იყო. დისკუსიამ ვანის საერთაშორისო სიმპოზიუმებზე აჩვენა, რომ შავიზღვისპირეთის სხვადასხვა რეგიონისთვის შემუშავებული ბერძნული კოლონიზაციის მოდელების მექანიკური გადმოტანა კოლხეთში მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გაუმართლებელია, მაგალითად: სამხრეთ შავიზღვისპირეთში, სადაც ელინური კოლონიზაცია ძალისმიერი მეთოდებით წარიმართა, აბორიგენი მოსახლეობა იდევნებოდა თავისი მიწებიდან ან ხდებოდა მისი ფაქტობრივი დამონება. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში

[33] გ. მახარაძე, მ. წერეთელი. ძვ.წ. I ათასწლეულის... გვ. 57

[34] ო. ლორთქიფანიძე. ვანი „ოქრომრავალი“.... გვ. 5.

[35] ნ. ლომოური, კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია. თბ., 1962. გვ. 48-52.

[36] ალ. რამიშვილი. ფიჭვნარის ზღვისპირა სადგომების თარიღისათვის. „მაცნე“. ისტორიის... სერია. №2. 1974. გვ. 104-111.

[37] Лордкипанидзе О. Д. К проблеме греческой колонизации Восточного Причерноморья. МВСДИП I. 1979. с. 195-196; თ. მიქელაძე. არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე. თბ., 1974. გვ. 70.

[38] ო. ლორთქიფანიძე. მდინარე ღვთაება ფასისი (კოლხური დიდრაქმების I ტიპის იკონოგრაფიისათვის. ძიებანი. №I. თბ., 1988. გვ. 63-65.

[39] Лордкипанидзе О.Д., Микеладзе Т.К. Колхида в VII - IV вв до н. э. МВСДИП. IV. 1982. с. 112-114.

[40] ო. ლორთქიფანიძე. არქეოლოგია და საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხი. „მაცნე“. ისტორიის... სერია. 1976. №2. გვ. 127.

მოახალშენეები ითვისებდნენ უკაცრიელ მიწებს და ბერძნების გამოჩენამ საწყის ეტაპზე ზეგავლენა არ იქონია აბორიგენებზე.[41] ვანის სიმპოზიუმის მონაწილეთა უმრავლესობამ უყოყმანოდ გაიზიარა ორი დებულება: I — ბერძნების გამოჩენის მომენტისთვის კოლხეთში არსებული დემოგრაფიული სიტუაცია (მჭიდროდ დასახლებული ზღვისპირეთი, საზოგადოების განვითარების მაღალი სოციალურ-ეკონომიკური დონე და კონსოლიდაციის ხარისხი) და ეკოლოგიური პირობები (ნესტიანი ჰავა, დაჭაობებული ნიადაგი) მკვეთრად განსხვავდებოდა შავიზღვისპირეთის სხვა რეგიონებისგან; II — კოლხეთში ელინური კოლონიზაცია ატარებდა სავაჭრო ხასიათსა და ბერძნული ახალშენები საშუამავლო ვაჭრობაზე იყვნენ ორიენტირებული.[42] ამიტომ ბერძნულმა კოლონიზაციამ არათუ შეაფერხა, არამედ მძლავრი ბიძგი მისცა და დააჩქარა კოლხური ტომების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. ძვ.წ. VI ს-ის შუა ხანებისთვის ელინურ სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში ჩართულია თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო, ხოლო ამავე საუკუნის მიწურულს კოლხეთის უკიდურესი აღმოსავლეთი პროვინცია არგვეთიც, რომლის ცენტრი საირხეში მდებარეობდა. ძვ.წ. VI ს-ის უკანასკნელ მეოთხედში ეს კონტაქტები იმდენად ინტენსიურ ხასიათს იძენს, რომ საჭირო ხდება ადგილობრივი მონეტის — კოლხური თეთრის მოჭრა.[43] სამონეტო მიმოქცევა და გვაროვნული წყობილება, როგორც ცნობილია, შეუთავსებადი ცნებებია. სწორედ ამ საფეხურზე კოლხეთში დასტურდება არსებითი ხასიათის ძვრები, რომლებიც მკაფიოდ აისახა საირხის ნაქალაქარის ნამოსახლარის სტრატიგრაფიასა და მატერიალურ კულტურაში.

ძვ. წ. VI ს-ის ბოლოს საბადურის გორის დასავლეთ ფერდობზე განლაგებული ნამოსახლარი ძლიერი ხანძრით არის განადგურებული. თიხის ჭურჭელი მეორეული გამოწვის შედეგად ფერშეცვლილია და დეფორმირებული, მაგრამ წინამორბედ ხანაში განცდილი კატასტროფის შედეგებისაგან განსხვავებით ნაქალაქარის განვითარების მომდევნო ქრონოლოგიურ ეტაპზე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე არათუ ეცემა, არამედ თვისებრივად უფრო მაღალ საფეხურზე ადის:

I. ძვ.წ. V საუკუნიდან საბადურის გორის დასავლეთ ფერდობზე ფუნქციონირებას იწყებს ნაქალაქარის საგვარეულო არისტოკრატიის სამაროვანი.

სამარხებს შორის შეიმჩნევა საგრძნობი სხვაობა. დიდი ზომის, ორი კამერისგან შედგენილ, კომპლექსებში მთავარი მიცვალებული იკრძალებოდა ხის მორებით შეკრულსა და რკინის მოზრდილი ლურსმნებით დაჭედილ, მძლავრი ქვაყრილით დაცულ სარკოფაგში, რომელიც ამ ტიპის ყველა აკლდამაში გაძარცული აღმოჩნდა. აქ დაკრძალულ პირთა მაღალ სოციალურ მდგომარეობაზე მეტყველებს ძვ.წ. V ს-ის მესამე მეოთხედით დათარიღებულ №5 სამარხში შემთხვევით გადარჩენილი, შესანიშნავად ნახელავი, ოქროს წყვილი სასაფეთქლე.

თანმხლები პირები და ცხენები იკრძალებოდა სარკოფაგის გარეთ, პირდაპირ მიწაში. №5 აკლდამის, სამი ადამიანისა და ხუთი ცხენისათვის განკუთვნილი კამერის, ფართობი 23 კვ. მ-ს აღწევდა. იგი იმდენად იყო დაცული ქვაყრილით, რამდენადაც ამას მოითხოვდა სარკოფაგის „უსაფრთხოება“. თანმხლებ პირთა ინვენტარი და ცხენების აღკაზმულობა ითვლიდა ოქროსა და ვერცხლის ასეულობით ნივთს.[44]

ვანში ამ ტიპის ერთი სამარხია აღმოჩენილი (№12), რომელიც ძვ.წ. III საუკუნით თარიღდება.[45]

საირხის №№13, 14 და ვანის №11 აკლდამები ერთ ტიპს განეკუთვნება. მათი ძირითადი შემადგენელი ნაწილია მორებით შეკრული და ქვაყრილით დაცული სარკოფაგი, რომელშიც მთავარ მიცვალებულთან ერთად ასვენია თანმხლები პირები. სარკოფაგის გარეთ მხოლოდ ცხენებია დაკრძალული. მათი რაოდენობა არც ერთ შემთხვევაში არ აღემატება ორს, ხოლო აღკაზმულობაში არ გვხვდება ოქროს ნივთები. ინვენტარის მიხედვით, ეს აკლდამებიც უმაღლესი რანგის ხელისუფალთათვის იყო განკუთვნილი.[46]

ვანისა და საირხის ძვ.წ. V ს-ის სამარხებში, დაკრძალვის რიტუალში მკაცრად იყო დაცული იერარქიულობის პრინციპი: მთავარი მიცვალებულის ატრიბუტები იყო ოქროს ნივთების მთელი კომპლექტი: დიადემა, სასაფეთქლეები, საყურეები, სამაჯურები, ფარაკიანი ბეჭდები და რამდენიმე ყელსაბამი; მეორე მიცვალებულის: ვერცხლის ორი

---

[41] Блаватский И.Д., Шолов А.Н. Некоторые проблемы греческой колонизации. МВСДИП. 1. 1982. с. 42-43.

[42] იხ. წყალტუბო-ვანის სიმპოზიუმების დისკუსია МВСДИП. I. с. 404-407.

[43] Дундуа Г.Ф. Нумизматика античной Грузии. Тб., 1987. с. 17-19; ო. ლორთქიფანიძე, მდინარე-ღვთაება ფაზისი.... გვ. 72.

[44] ჯ. ნადირაძე. საირხე - საქართველოს... გვ. 22.

[45] ვანი. IV. თბ., 1979. გვ. 26.

[46] ო. ლორთქიფანიძე. ვანის ნაქალაქარი. ვანი. I. გვ. 213

დიადემა და წყვილი სამაჯური, ოქროს საყურეები და ყელსაბამი ვანის №11 და საირხის №13 სამარხები); მესამე მიცვალებულს ვანის №11 სამარხში მხოლოდ ვერცხლის დიადემა და ოქროს საყურეები აღმოაჩნდა.[47]

მკვლევართა უმრავლესობა, ვანისა და საირხის მდიდრულ აკლდამებში დაკრძალულ პირთ განიხილავს როგორც სოციალური კიბის ერთ საფეხურზე მდგარ ხელისუფალთ და აიგივებს მათ სტრაბონთან მოხსენიებულ სკეპტუხიების მმართველებთან, რომლებსაც ხელთ ეპყრათ ქურუმის ფუნქციები.[48] თანმხლებ პირთა ინვენტარის განხილვამ მ. ინაძე მიიყვანა დასკვნამდე, რომ ისინი არა მონა-მხევლები, არამედ საზოგადოების ეკონომიურად დაწინაურებული და უფლებრივად სოციალური კიბის არცთუ დაბალ საფეხურზე მდგარი კულტმსახურთა ფენა იყო, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა რელიგიურ ცხოვრებაში.[49] მკვლევრის აზრით, სამარხეული ინვენტარის უდიდეს ნაწილს, განსაკუთრებით დიადემებს, საკულტო დანიშნულება გააჩნდა. სპეციალურ ლიტერატურაში, საბადურის გორის №10 აკლდამაში დაკრძალული პირი არ არის მიკუთვნებული უმაღლესი რანგის ხელისუფალთა რიცხვს ძირითადად იმ მიზეზით, რომ ამ სამარხში არ აღმოჩნდა დიადემები ან კისრის რკალები, მიუხედავად იმისა, რომ აქ გამოვლინდა ოქროსა და ვერცხლის ნივთებისგან შედგენილი მეტად მრავალფეროვანი კოლექცია. აღსანიშნავია, რომ №10 აკლდამის ხის ფიცრებით შეკრული სარკოფაგი არ იყო დაცული ქვაყრილით. არ დადასტურდა ცხენების შეწირვის ფაქტიც.[50]

ამრიგად, საბადურის გორის სამაროვანზე ასახულია კოლხეთის წარჩინებულთა წრეში ღრმა ქონებრივი დიფერენციაციისა და, შესაბამისად, იერარქიულად დაქვემდებარებული ჯგუფების არსებობის ფაქტი, რაც ადრეც დასტურდებოდა ვანის, მთისძირის, ითხვისის სამაროვნების არქეოლოგიური მასალით.[51]

II. საბადურის გორაზე ნამოსახლარი ფენები მკვეთრად დაქანებულია, ერთი მხრივ, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ და, მეორე მხრივ — სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ (ისევე, როგორც გორის თანამედროვე ფერდობი), მაშინ, როდესაც ყველა სამარხეული კომპლექსი მკაცრად ჰორიზონტალურ მდგომარეობაშია განლაგებული. ამისათვის გორის დამრეცი ფერდობები საგანგებოდ არის ნიველირებული, დატერასებული და ყორეებით გამაგრებული. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მასშტაბის მიწის სამუშაოები საბადურის გორაზე არ უწარმოებიათ ნაქალაქარის არსებობის მანძილზე.

№8 აკლდამის მთელი ფართობი, რომელიც 35 კვ. მ-ს აღწევს, შემოზღუდულია ქვის ორმაგი წყობით. დასაკრძალავი კამერის მეწყერსაშიში მონაკვეთი გამაგრებულია ორი მეტრი სიმაღლის კედლით, ხოლო სამარხი ორმო ამოვსებულია 40 კუბ. მ მოცულობის ქვაყრილით. არანაკლები სიმძლავრის მშრალი ქვის წყობით არის ნაგები №№11, 12 სამარხების შემცველი კომპლექსი. №13 აკლდამის თავზე ბრტყელი ფილებით ნაშენი აღმოჩნდა კვადრატული საკურთხეველი მასზე აღმართული ფალოსითა და სხვადასხვა შეწირულობით. №10 სამარხი გაითხარა ორი ყორით გამაგრებულ ტერასაზე. იქვე, $D_2$6 კვადრატში, შესწავლილ იქნა კედელი, რომელიც მშენებლობის თავისებური ტექნიკით გამოირჩეოდა. კიბისებურად ჩაჭრილი დამრეცი ფერდობის თითოეულ საფეხურზე ჩადგმული იყო ლოდი, რომელიც „ბალიშის" მოვალეობას ასრულებდა. მასზე დაფუძნებული ქვის ორმაგი წყობის სიგანე 60 სმ-ს უდრიდა. ქვები უხეშადაა დამუშავებული, განსხვავებული ფორმისა და ზომისაა. ამიტომ წყობაში მისი ნიველირების მიზნით გამოიყენებოდა ქვის ბრტყელი ანატკეჩები. ანალოგიურადაა ნაგები №8 აკლდამის მატური.

ამრიგად, საბადურის გორის ადრეანტიკური ხანის სამაროვანზე დასტურდება ქვის პრიმიტიული ნაგებობები, რომელთა მშენებლობაში გამოყენებულია თავისებური, მანამდე სრულიად უცნობი, ტექნიკა. ეს არ არის მხოლოდ საირხისათვის დამახასიათებელი მოვლენა. მსგავსი ყორეები გამოვლენილია ითხვისის სამაროვანზე.[52] ამდენად, ქვის არქიტექტურის პირველი ნიშნების გაჩენა ყვირილის ხეობაში სავარაუდოა ძვ.წ. V საუკუნეში.

საბადურის გორიდან ორიოდე კილომეტრით დაცილებულ კარიერზე ქვის ასეთი რაოდენობით მოპოვება, შრომატევადი მიწის სამუშაოების ჩატარება, ტერასების ყორეებით გამაგრება,

---

[47] იქვე; ჯ. ნადირაძე. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის 1988 წ. ჩატარებული მუშაობის ანგარიში. სხსმსს-(XII)მთ. გვ. 21

[48] ო. ლორთქიფანიძე. ვანის ნაქალაქარი. ვანი III. გვ. 14-16; მ. ინაძე. სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში. „მაცნე". ისტორიის... სერია, თბ., 1986. №4. გვ. 42-44.

[49] მ. ინაძე. სატაძრო ცენტრები... გვ. 42-44.

[50] ჯ. ნადირაძე საირხე - საქართველოს... გვ. 144.

[51] ო. ლორთქიფანიძე. ვანის ნაქალაქარი. ვანი III. გვ. 17-18; მ. გამყრელიძე. ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. თბ., 1982. გვ. 98; ი. გაგოშიძე. ითხვისის სამარხი. სსმმ. XXV-B თბ., 1968. გვ. 22-34.

[52] ი. გაგოშიძე. ითხვისის სამარხი. გვ. 31.

აკლდამების მოწყობა მოსახლეობის მრავალრიცხოვანი ჯგუფების მობილიზაციას მოითხოვდა. ისინი დასაქმებული უნდა ყოფილიყვნენ მმართველი ზედაფენის საცხოვრებლების, საკულტო და საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობაში, მათს პირად მეურნეობაში.

ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებიდან საირხეში უკვე მოქმედებს ლითონის საწარმოო უბნები. კარახტინის, სახოველის, კოდისწყლის სახელოსნოებში უნდა იყოს დამზადებული მდიდრულ აკლდამებში აღმოჩენილი ბრინჯაოს სამკაული და ჭურჭელი, რკინის საბრძოლო იარაღი, აბჯარი, ლურსმნები და სხვ., მათ შორის, დიდი ზომის ორყურა სიტულები, რომელთა ძირითადი საწარმოო ცენტრი მკვლევართა ერთ ნაწილს რაჭა-ლეჩხუმში ეგულება, თუმცა, მათი საირხეში დამზადება უფრო მეტად სავარაუდოა.[53]

მდიდრულ აკლდამებში აღმოჩენილი ოქროს ზოდები იარაღით გადაკვნეტილი ბოლოებით მიგვანიშნებს საირხეში საიუველირო სახელოსნოების არსებობაზე. ფუფუნების საგნებისა და სამკაულის ადგილობრივ დამზადება დასტურდება ამ ნივთების მხატვრულ-სტილური ანალიზითაც. ჯერ კიდევ ვანის №11 სამარხის ვერძის თავის გამოსახულებიანი საკიდებისაგან შედგენილი ყელსაბამის განხილვისას ა. ჭყონიამ აღნიშნა ამ სამკაულის სტილური გადაწყვეტის თავისებურება და ივარაუდა მისი კოლხეთის სხვა ცენტრიდან წარმომავლობა.[54] საბადურის გორაზე ორი ასეთი ყელსაბამია აღმოჩენილი. შესრულების მანერით ისინი იდენტურია საირხეში გამოვლენილი საკიდების მთელი ჯგუფისა. ეხება რა ამ ნივთების მხატვრული სტილის ჩამოყალიბების საკითხებს, მ. წერეთელი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს წინარეანტიკური პერიოდის ბრინჯაოს ხანის ბრწყინვალე კულტურას, რომელმაც ანტიკური დროიდან ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მეტ-ნაკლები სიძლიერით იჩინა თავი და ბევრად განსაზღვრა საირხეში კოლხური ოქრომჭედლობის თავისებური საიუველირო სკოლების ფორმირება.[55]

საირხის არქეოლოგიურ მონაპოვარში თვალნათლივ ასახულია კოლხეთის საზოგადოებაში საკმაოდ შორს წასული სოციალური სტრატიგრაფიის ფაქტი, მისი გართულებული კლასობრივი სტრუქტურა. ძვ.წ. V საუკუნეში არისტოკრატიის ხელში თავმოყრილია უზარმაზარი სიმდიდრე და მის სასარგებლო შრომაში ჩაბმულია მოსახლეობის ფართო მასები. სწორედ ამ ფენის წარმომადგენლები უნდა იყვნენ დაკრძალული კოდისწყლის სამაროვანზე, რომელთა ორმოსამარხების ინვენტარი თიხის ორიოდე ჭურჭლითა და რკინის სამკაულით შემოიფარგლება.

III. ძვ.წ. V საუკუნიდან მაინც საირხე ჩართული ჩანს ბერძნულ სამყაროსა და კოლხეთს შორის არსებულ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში. ყველაზე ადრეული იმპორტული ნივთი ყვირილის ხეობაში ძვ.წ. 525-480 წლებით თარიღდება. იგი აღმოჩნდა №13 აკლდამაში და ასევე შემოტანილია ვერცხლისა და ბრინჯაოს ჭურჭლის გარემოცვაში. ამავე პერიოდიდან ატიკური იმპორტი გზას იკვლევს საირხის ირგვლივ მდებარე სასოფლო თემებში: მოდინახეზე, ითხვისში, გორაძირზე.[56] საირხეში აღმოჩენილი ბერძნული ნაკეთობანი არა მარტო ყველაზე უფრო ძველია ყვირილის ხეობაში, არამედ გაცილებით მრავალრიცხოვანია და მრავალფეროვანი: №13 სამარხში შავლაკიან კილიკთან ერთად აღმოჩნდა ვერცხლის ომფალოსიანი სამი თასი (ერთი მოოქრული ომფალოსით), ვერცხლის მაღალფეხიანი კილიკი, სპილენძის ოინოხოია და პატერა. №5 სამარხში კი - 7 ლეკითოსი, 5 ამფორა, ქვაყრილში შავლაკიანი ჯამი და მინის ალებასტრონი.

ითხვისის „მეტოსის" სამარხში აღმოჩენილი კილიკი ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებით თარიღდება[57]. ამ სამაროვანზე აღმოჩენილი იმპორტი უფრო მცირერიცხოვანია და ნაკლებ მრავალფეროვანი. ეს ნივთები „მეტოსისა" და №2 მდიდრულ სამარხშია აღმოჩენილი, სადაც მთავარ მიცვალებულთან ერთად აღმოჩენილია თანმხლები პირისა და ცხენის ჩონჩხები.

ითხვისის დანარჩენ 22 კომპლექსში იმპორტი აღმოჩენილი არ არის (ინფორმაციისათვის მადლობას მოვახსენებთ ი. გაგოშიძეს). ინვენტარი ადგილობრივი ჭურჭლითა და რკინის სამაჯურებით არის წარმოდგენილი.

მოდინახეზე ბერძნული იმპორტი მხოლოდ ერთ სამარხშია. დანარჩენი სამარხების უმრავლესობაში აღმოჩენილია თიხის ადგილობრივი ჭურჭელი და რკინის სამაჯურები.[58]

ამრიგად, ყვირილის ხეობაში სტაციონარუ-

---

[53] Лордкипанидзе О. Д. Древняя Колхида. Тб., 1979. с. 82-84.

[54] ა. ჭყონია. ოქროს სამკაული ვანის ნაქალაქარიდან. ვანი VI. თბ., 1982. გვ. 70.

[55] მ. წერეთელი. საირხეში აღმოჩენილი საიუველირო ნაწარმის მხატვრული გადაწყვეტის ზოგიერთი საკითხი. „მაცნე". ისტორიის... სერია. №3. 1991. გვ. 139-153.

[56] ზ. ბრაგვაძე. აღმოსავლეთ კოლხეთის საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან. ჟ. „ძიებანი" №3. 1991. გვ. 124.

[57] ი. გაგოშიძე. ითხვისის სამარხი... გვ. 33.

[58] გ. მახარაძე, მ. წერეთელი. ძვ. წ. I ათასწლეულის... გვ. 59

ლად გათხრილი სამი ნამოსახლარის მონაცემებით ვლინდება სოციალური განშრევების საკმაოდ ნათელი სურათი. საირხეში, ითხვისში და მოდინახეზე, რიგითი მოსახლეობის სამარხებში, გვხვდება მხოლოდ თიხის ადგილობრივი ჭურჭელი (ერთი ან ორი) და რკინის სამაჯურები (ერთი ან რამდენიმე).

არისტოკრატთა სამარხებში წარმოდგენილია ოქროსა და ვერცხლის ასეულობით ნივთი, ბერძნული იმპორტი (არის ნივთები, რომელიც აქემენიდური ირანიდან უნდა იყოს შემოტანილი). მხოლოდ მდიდრულ სამარხებში გვხვდება იარაღი; მახვილები, შუბისპირები, ისრისპირები, აბჯარი; შეწირულია ცხენები სრული აღკაზმულობითა და ოქროს საკერებლებით შემკული მოსართავებით. დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება ადგილობრივი, კოლხური ჭურჭელი, რომელიც გამოირჩევა გამოწვის შედარებით მაღალი ხარისხითა და მდიდრული შემკულობით, ე.ი. არისტოკრატთა დაკვეთით ხდება ჭურჭლის მთელი პარტიების დამზადება. იგივე შეიძლება ითქვას ადგილობრივი წარმოების სპილენძის სიტულებსა და ყურმილიან დოქებზე, რომლებიც შემკულია ფანტასტიკური ცხოველების გრაფიკული გამოსახულებებით.

საირხის, ითხვისისა და მოდინახეს სამაროვნებზე აღმოჩენილი ზედაფენის სამარხეული ინვენტარი მიუთითებს, რომ ისინი სოციალური კიბის სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ. მიუხედავად იმისა, რომ ითხვისში გვხვდება კომპლექსები ცხენების შეწირულობით, მთავარი მიცვალებულების ინვენტარი მოკრძალებულია საირხის სამარხებთან შედარებით. მოდინახეზე საერთოდ არ აღმოჩნდა სამარხები ცხენის ჩონჩხით.

ამრიგად, ვანსა და საირხეში თავს იჩენს ერთგვაროვანი ტენდენცია. მიმდინარეობს ხელოსნობის ძირითადი დარგების კონცენტრაცია მმართველი ზედაფენის რეზიდენციასთან, კოლხეთის ადმინისტრაციულ ცენტრებში, რომლებიც ამავე დროს ასრულებენ საქონლის, მათ შორის, იმპორტული ნაწარმის გამანაწილებლის ფუნქციას. ფაქტობრივად, ძვ.წ. V საუკუნეში საირხეში სახეზეა ყველა ის ნიშანი, რომელიც ვანის ნაქალაქარს განსაზღვრავს როგორც ადრეკოლხური ტიპის ქალაქს. იგი კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ცენტრია, რომელიც ახორციელებს უზენაეს პოლიტიკურ, ეკონომიკურსა და რელიგიურ ფუნქციას თავისი „ქვეყნის“ მიმართ.[59]

გვსურს ყურადღება გავამახვილოთ ორ მნიშვნელოვან გარემოებაზე:

I. მიუხედავად იმისა, რომ საირხეში აღმოჩენილი სამარხები უმაღლესი არისტოკრატიული წრის წარმომადგენლებისაა, მიგვაჩნია, რომ ისინი არ ეკუთვნის კოლხეთის სკეპტუხებს, რადგან სამარხები ქალებისაა, მათ შორის, №№5 და 8 სამარხები. ამ კომპლექსში მთავარი მიცვალებულებისათვის განკუთვნილ კამერებში აღმოჩნდა საბრძოლო იარაღი: აბჯარი, შუბისპირები, ისრისპირები. ანალოგიური ვითარებაა ითხვისში. ქალის №2 სამარხში აღმოჩნდა ისრისპირები, შუბისპირები და მახაირა.

II. საირხესა და ითხვისში გამოვლენილი მდიდრული სამარხები არ უნდა ეკუთვნოდეს ადგილობრივ არისტოკრატიას. ორივე ნამოსახლარზე არისტოკრატიული წრის წარმომადგენელთა სამაროვნები ფუნქციონირებას იწყებს რიგითი მოსახლეობის საცხოვრებელი უბნების ტერიტორიაზე. ცხოვრება აქ ისახება ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში და უწყვეტლივ გრძელდება 300-400 წლის განმავლობაში. ძვ. წ. VI ს-ის ბოლოს ნამოსახლარი ხანძრით ნადგურდება. ამის შემდეგ საბადურის გორის დასავლეთ ციცაბო კალთასთან იჭრება 18 მ. სიღრმის ჭა - „საკულტო ორმო“, რომელიც იმდენად მყარად არის გამაგრებული ხის კონსტრუქციებით, რომ იარსება გვიანელინისტურ ხანამდე. ძვ. წ. V-IV სს-ში ორმოს სიახლოვეს იკრძალება არისტოკრატიული წრის წარმომადგენლები, სრულდება სხვადასხვა რიტუალი (როგორც ჩანს, შემოდგომაზე, ე. წ. „საკულტო მოედნებზე“ აღმოჩნდა წაბლის ტოტებისა და ნაყოფის ნარჩენები).

ვფიქრობთ, მოსახლეობა თავისი ნებით არ მიატოვებდა მკვიდრ ადგილებს ამიტომ დასაშვებად მიგვაჩნია, რომ დროის აღნიშნულ მონაკვეთში მომხდარი გარდატეხა ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული (შესაძლოა, ძალდატანებით) აქციის შედეგია.[60]

ძვ. წ. VI ს-ის ბოლოს კოლხეთში მომხდარი სოციალური ძვრები მკვეთრი ხასიათისაა. დასაშვებია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე გარე ფაქტორის ზემოქმედება. ცნობილია, რომ აქემენიდები არ ებრძოდნენ ადგილობრივ კულტებს, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც ვერ ხერხდებოდა სრული კონტროლის დამყარება. პირიქით, აძლიერებდნენ სატაძრო ორგანიზაციებს ქურუმთა და კულტმსახურთა ფენის მხარდაჭერის მოსაპოვებლად და მათი

[59] Лордкипанидзе О.Д. Древняя Колхида. с.25.

[60] გ. მახარაძე. საირხის ნაქალაქარის... გვ. 45.

მეშვეობით გავლენის სფეროების ან სტაბილურობის შესანარჩუნებლად.[61] ამგვარი პოლიტიკის გატარება კოლხეთში, რომელიც აქემენიდური ირანის არც ერთი სატრაპიის შემადგენლობაში არ მოხვდა და დამოუკიდებლობა შეინარჩუნა, სავსებით ლოგიკურად გვეჩვენება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დასავლეთ საქართველოში გამოვლენილი ძვ.წ. V-IV სს-ის მდიდრული სამარხები კულტმსახურთა ფენას ეკუთვნის. არქეოლოგიური მასალის ანალიზის საფუძველზე მ. ინაძემ გამოთქვა ვარაუდი, რომ ვანი და საირხე სატაძრო ცენტრებია, რომელთა სატაძრო ორგანიზაციების ფორმირება ძვ.წ. VIII-VII სს-ში იწყება. ძვ.წ. VI ს-ში სწორედ ისინი ჩამოყალიბდნენ კოლხეთის სამეფოს სკეპტუხიების ცენტრებად.[62] არ შეიძლება აქ არ გავიხსენოთ სტრაბონის ცნობა, რომლის თანახმად იბერიაში მეზობლებთან ურთიერთობის მოწესრიგება ქურუმების პრეროგატივა იყო.(Strabo. XI. 36). ვ. ვაშაკიძის აზრით, ეს არის ქართლის სამეფოს წარმოქმნამდე არსებული სიტუაციის (ძვ.წ. V-IV სს.) გამოძახილი.[63] ძვ.წ. VI ს-ის ბოლოს კოლხეთის სატაძრო ცენტრები იმდენად გავლენიან ძალად უნდა გადაქცეულიყო, რომ დასაშვებია მათი გააზრება აქემენიდური ირანის დასაყრდენად რეგიონში. შესაძლებელია, რომ სწორედ კულტმსახურთა ფენამ აიღო ვალდებულება გაეგზავნა ირანში საჩუქრის სახით ასი გოგო და ასი ბიჭი, რაც, ო. ლორთქიფანიძის აზრით, კოლხეთის ცენტრალური ხელისუფლების არსებობის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტორია.[64] როგორც ჩანს, ურთიერთობის მოგვარება ირანთან მართლაც მოლაპარაკებების გზით გადაწყდა. კოლხეთის ძვ.წ. VI-IV სს-ის ნამოსახლარებზე არ აღინიშნება საომარი მოქმედებების კვალი, დასახლებები არ არის გამაგრებული და მოსახლეობა ფართოდ გაშლილ, გავაკებულ მონაკვეთებზე ცხოვრობს აქემენიდური ირანის არსებობის მანძილზე. თუმცა, ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებში ვანსა და საირხეში თავს იჩენს ინოვაციები, რომელთა განხილვა წინამდებარე ნაშრომის ფარგლებს სცილდება. აღნიშნული საკითხის კვლევა განზრახული გვაქვს საირხის „წყაროსთავის გორის" არქეოლოგიური მასალის გამოქვეყნების შემდეგ. დასასრულ აღვნიშნავთ, რომ კოლხური თეთრის ემისიის დასაწყისისა და დასავლეთ საქართველოში გამოვლენილი უძველესი მდიდრული სამარხების თარიღებიდან გამომდინარე კოლხეთის სამეფოს ფორმირებას განვსაზღვრავთ ძვ.წ. VI ს-ის ბოლოთი, დარიოს I რეფორმების შემდეგ, როცა სახელმწიფო მმართველობა მოწესრიგდა მსოფლიო იმპერიის უზარმაზარ ტერიტორიაზე.

[61] Дьяконов И.М. История Мидии. с. 424.

[62] მ. ინაძე. სატაძრო ცენტრები... გვ. 44.

[63] ვ. ვაშაკიძე. ელინისტური ხანის ქართლის სამეფოს სოციალური ისტორიიდან. თბ., 1991. გვ. 117-127.

[64] ო. ლორთქიფანიძე. ვანის ნაქალაქარი. ვანი III. გვ. 15-17.

George Makharadze

## Sairkhe city site and chronology of Colchis Kingdom

Sairkhe city site is situated on the main route, which connects the Western part of Georgia whith the Eastern one. The life started there in the I half of the VIII cent. B.C. and soon Sairkhe became the biggest settlement in Col:his. Proceed from the stratigraphic information Sairkhe became a settlement in the VIII - XII · ent. B.C. There can be distinguished two periods: \ III - VII cent. B.C. and VI cent. B.C.

The turning point began at the end of the VI cent. B.C. The cemeteries of rich, which date back to the V - VI cent. B.C. belonged to the ministers of religious worship. They are analogous of Vani and Itkhvisi cemeteries. That's why the supposition was brought forward that Vani and Sairkhe represented religious centres and formation of skeptukhies of Colchis Kingdom took place at big temples.

Thus, in the late VI cent. B.C. aristocratic layer appears in Colchis; in the cemeteries of common people no armour could be found. It seems that these social and economic developments had to be connected with Iran. It's known, that Akhemenids, particularly in the region, where it was impossible to be controlled, they reinforced the local cult and cult organisations in order to gain support from the priesthood and thus to preserve the sphere of influence. Obviously such politics proved to be correct. In the V - IV cent. B.C. there were no military operations, the settlements weren't fortified. In its turn Iranian borders were out of danger. Proceed from it the formation of the society and the state system started at the end of the VI cent. B.C., after the reforms of Darios I.

გიორგი მახარაძე
მანანა წერეთელი

# თავი III
# საირხე საბადურის გორის სამაროვანი

## სამარხი №1

სამარხი №1 მდებარეობდა A4 სექტორში (სურ. 1). ის სტრატიგრაფიულ ჭრილში გადაფარული იყო ელინისტური ხანის კულტურული ფენით. სტერილური შრის სისქე ნამოსახლარსა და სამარხს შორის არ იყო სქელი. სამარხს გაჩნდა ქვაყრილი, რომლის დიდი ნაწილი დააზიანა ადგილობრივმა მოსახლეობამ. ქვაყრილი შემორჩენილი იყო $D_2$, $C_2$, $C_3$ კვადრატებში. სოლისებური რკინის ლურსმნების ძირითადი ნაწილი სწორედ აქ აღმოჩნდა ($D_2$, $C_2$, $C_3$, $C_4$, $D_4$ კვადრატები. სურ. 2).

დასაკრძალავ კამერას ჩაჭრილი ჰქონდა ადრეანტიკური და, ნაწილობრივ, წინარეანტიკური ხანის ფენები. სამარხი შედგებოდა ორი ნაწილისაგან. მთავარი მიცვალებულისთვის განკუთვნილი სარკოფაგი 0,5 მ-ით უფრო ღრმად იყო ჩაჭრილი ნიადაგში, ვიდრე ცხენებიანი კამერა. მათს საზღვარზე, $D_3$, $D_4$ კვადრატების მიჯნაზე, გაიწმინდა ძროხის თავი (სურ. 2). ამან საშუალება მოგვცა დაგვედგინა მთავარი კამერის სიგრძე –2,2 მ. სიგანის დადგენა ვერ მოხერხდა. ცხენებიანი კამერა 0,6 მ-ით მაინც უფრო განიერი უნდა ყოფილიყო. მისი სიგრძე $C_2$ კვ-ში აღმოჩენილი სოლისებური ლურსმნების მდებარეობის მიხედვით აღწევდა 5,2 მ-ს. ამდენად, მთლიანი სამარხის ფართობი უახლოვდებოდა 16,28კვ. მ-ს.

ჩონჩხის ფრაგმენტები და ინვენტარი ძირითადად $D_4$ კვ-ში იყო თავმოყრილი. უშუალოდ ადამიანის ძვლებთან მიკვლეულ იქნა დამპალი ხის ნაკვალევი, მცირე ზომის ქუდისებურთავიანი და მუხლისებური რკინის ლურსმნები. ისინი ხის სარკოფაგის გადახურვის ნაშთები უნდა იყოს.

$D_4$ კვ-ის ფარგლებში მოხერხდა ორი მიცვალებულის ჩონჩხის ნაწილების გამიჯვნა და დამხრობის მიახლოებით განსაზღვრა. ერთი მიცვალებული მარცხენა გვერდზე უნდა




სურ. 1




სურ. 2

წოლილიყო, ოდნავ მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, მეორე, უფრო მცირე ზომის, ჩონჩხის მიმოფანტული ძვლების მიხედვით დამხრობა ვერ დადგინდა (ფოტო 26).

ორივე მიცვალებულის ძვლებთან აღმოჩნდა წითლად ანგობირებული, მსხლისებურკორპუსიანი დოქები და ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს სამკაულები.

ქვაყრილში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა

1. ნივთი რკინისა, გაურკვეველი დანიშნულების, მშვილდისებური ფორმის, ორნაწილედი, დამზადებული ოთხკუთხა, განივკვეთიანი ღეროსაგან. ბოლოები და ცენტრალური ნაწილი ბოლოვდება წრიული მარყუჟით. ასეთივე სახის სიმეტრიული ნახვრეტები უნდა ჰქონოდა მშვილდს ორ უმაღლეს წერტილში.
ზომა: L - 140 მმ
ნახვრეტის D- 10 მმ
საინვენტ. № ს-82-138
(ფოტო 27)

2. ლურსმნები (7ც.) რკინისა, ოთხკუთხაგანივკვეთიანი, სხვადასხვა ზომის, ძლიერ დაზიანებული.
საინვენტ. №№ ს–82-154, ს-82-155, ს-82-243, ს-82-244, ს-82-320, ს-82-337, ს-82-314, ს-82-242
(სურ. 3)


სურ. 3


სურ. 4

3. ლურსმნები (2ც.) რკინისა, მუხლისებური, თავჩახვეული. დამზადებულია წვეტით დაბოლოებული ოთხკუთხაგანივკვეთიანი ღეროსაგან.
ზომა: L -110 მმ, და 75 მმ (ნაკლული)
საინვენტ. №№ ს-82-265, ს-82-267
(სურ. 4)

4. ლურსმნები (3 ც.) რკინისა. დამზადებულია შემსხვილებულ თავიანი ოთხკუთხაგანივკვეთიანი ღეროსაგან.
ზომა: L - 500 მმ - 460 მმ
საინვენტ. №№ ს-82–79, სს-82-235
(ფოტო 28)

5. ლურსმანი რკინისა, ნაკლული, თავქუდიანი. ქუდი ბრტყელი, წრიული.
ზომა: შემორჩენილი L - 20 მმ
ქუდის D - 15 მმ
საინვენტ. № სს-82 – 264
(სურ. 4)

6. დანა რკინისა, მოხრილი, ცალპირა (სტრიგილი?).
ზომა: L - 125 მმ
საინვენტ. № ს-82-80
(სურ. 4)

7. ზარაკი ბრინჯაოსი, ცილინდრული, გვერდშეჭრილი, ზედაპირი დაწახნაგებულია. ყუნწი მიღებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროს წრიულად მოკეცვის შედეგად, რკინის ენით.
ზომა: L - 52 მმ

პირის D - 30 მმ
საინვენტ. № ს-82-311
(სურ. 5)




სურ. 5

8. ზარაკი ბრინჯაოსი, კოროზირებული, ცილინდრული ფორმის. ზედაპირი დაწახნაგებულია.
ზომა: L - 45 მმ
პირის D - 28 მმ
საინვენტ. № ს-82-312
(სურ. 5)

9. ზარაკის ფრაგმენტი ბრინჯაოსი.
საინვენტ. № ს-82-313
(სურ. 5)

10. სიტულის ყურის ფრაგმენტი ბრინჯაოსი, ძლიერ დაზიანებული და კოროზირებული.
საინვენტ. № ს-82-279

11. ჯამის ფრაგმენტი, ატიკური, შავლაკიანი, არაღრმა, ოდნავ შიგნით გადახრილი პირის კიდით. აქვს წრიული ქუსლი, რომლის ტანთან შეერთების ადგილას „რეზერვირებული" ღარია. ქუსლს შიდა ზედაპირზე გასდევს რეზერვირებული ზოლი. ჯამის გვერდის გარეთა ზედა-



სურ. 6

პირზე მოთავსებულია გრაფიტო. სავარაუდოდ იკითხება სამი ასო: პირველი ასო-ნიშნის ერთი ნაწილი მოქცეულია ლაკის ამონატეხში. იგი შეიძლება იყოს ლამბდა, მიუ ან ნიუ, შემდეგი ასოები მოხაზულობით შეიძლება პი და იოტა[1].
სავარ. ზომა: H - 22 მმ
პირის D - 100 მმ
კედლის სისქე პირთან - 9,5 მმ
კედლის სისქე ძირთან – 2,5 მმ
საინვენტ. № ს-82-299
(სურ. 6, ფოტო 29)

12. სამარილე თიხისა, პირმოყრილი, ბრტყელძირიანი, ნაცრისფერზედაპირიანი.
ზომა H -16 სმ
პირის D - 8,5 სმ
ძირის D - 8 სმ
საინვენტ. № ს-82-141
(სურ. 7)

13. ჩაფი თიხისა, ნაკლული. შემორჩენილია



სურ. 7

პირ-ყელი და ყური. წითლად ანგობირებულ ზედაპირზე შეიმჩნევა წნეხვით გამოყვანილი ვერტიკალური, ნაპრიალები ზოლები. ჭურჭელს გარეთ გადახრილი პირი, შეზნექილპროფილიანი მაღალი ყელი და პირზე მიძერწილი მრგვალგანივკვეთიანი ყური აქვს.



სურ. 8

1. გრაფიტო შეისწავლა ისტ. მეც. კანდიდატმა მ. ნასიძემ. მისი ვარაუდით, არ არის გამორიცხული, რომ აქ იყოს სამი იოტა. თუკი აქ მოთავსებულია სამი იოტა, მაშინ შესაძლებელია გრაფიტო იყოს რაღაცის ფასის აღმნიშვნელი.

ზომა: პირის D - 13 სმ
კეცის სისქე - 6 მმ
საინვენტ. № სს-82-139
(სურ. 8, ფოტო 30)

14. მილაკი ძვლისა, ზედაპირგაპრიალებული, სადა.
ზომა: L - 42 მმ
D - 7 სმ
საინვენტ. № ს-82-230

15. ნივთი ძვლისა, ბეჭდის თვლის მოყვანილობის. ძირი ბრტყელია. ზედა ნაწილი ამობურცულია, შემკულია ოთხი წრიული ნაჭდევით.
ზომა: L - 25 მმ
სიგანე — 10 მმ
H - 4 მმ
საინვენტ. № ს-82-236
(ფოტო 31)

16. ნივთი ძვლისა, ნაკლული, მახათისებური ფორმის.
ზომა: L - 40 მმ
საინვენტ. №ს-82-282
(ფოტო 31)

## მთავარი მიცვალებულის კამერა

17. საყურე (ნაკლული) ელექტრუმისა, ნალისებრი მოყვანილობის. მიღებულია სათანადოდ გამოტვიფრული ორი ნახევრის ერთმანეთთან მირჩილვის შედეგად. შემკულია რადიალურად განლაგებული რელიეფური ქედებით. შიდა კიდე გამოყოფილია წიბურის სახით. გარეთა კიდეზე ყოველ 3 მმ-ში მოთავსებულია მირჩილვის წერტილები (14 ც.), ორი გარღვეულია.
ზომა: H - 28 მმ
უდ. სიგანე — 30 მმ
უდ. სისქე — 4 მმ
საინვენტ. № ს-82-2
(ფოტო 32)

18. სამკაული (2 ც.) ოქროსი, ტოლფერდა სამკუთხედის მოყვანილობის. შედგენილია ერთმანეთზე მირჩილული ფუყე მძივებისაგან. მძივები ორნაწილიანია. ერთმანეთზე მირჩილულია ისე, რომ ნახვრეტები გადის განივად განლაგებულ მწკრივებში. სამკუთხედის ფუძისეული მწკრივი შედგენილია შვიდი მძივისაგან, მეორე — ექვსი მძივისაგან, მესამე — ხუთი და ა.შ., წვერის ერთადერთ მძივამდე.
ზომა: H - 26 მმ
ფუძისეული გვერდის L - 26 მმ
მძივის D - 4-5 მმ
საინვენტ. № ს-82-1
(ფოტო 33)

19. მძივები (9 ც.) ოქროსი, კასრისებური, სადა. გამოტვიფრულია ერთიანი ფირფიტისაგან, ფართო ნახვრეტით, რომელსაც ორივე მხარეს შემოვლებული აქვს სადა მავთული.
ზომა: H -11 მმ
უდ. სიგანე — 10-11 მმ
ნახვრეტის D - 6-7 მმ
საინვენტ. № ს–82-5
(ფოტო 34)

20. მძივი ოქროსი, სფეროსებრი. ერთიანად გამოტვიფრული ბურთულა ზემოდან შემკულია გავარსის ორნამენტით (ცვარა). ბოლოებთან მოთავსებულია ქიმებით ზემოთ მიმართული და ცვარათი შედგენილი სამკუთხედები. დანარჩენი ზედაპირი დაფარულია უსისტემოდ განლაგებული გრანულებით.
ზომა: D - 21 მმ
H - 21 მმ
საინვენტ. № ს-82-6
(ფოტო 35, ფერადი ფოტო 1)

21. სამკაული (2 ც.) ოქროსი, ოვალური მოყვანილობის, ფუყე, განივად დაღარული წინა პირით, ბრტყელი უკანა მხარით, ორ ძაფზე განივად ასაცმელი ორ-ორი ნახვრეტით. წინაპირი და გვერდები ერთი ფირფიტისაგან ჩანს გამოტვიფრული.
ზომა: 18X12X3 მმ
საინვენტ. № ს-82-8
(ფოტო 36)

22. მძივები (3 ც.) ოქროსი, სამმაგი. შედგება ერთმანეთთან მირჩილული სამი მძივისაგან, რომელთა მოყვანილობა სფერულს უახლოვდება. დამზადებული უნდა იყოს ერთმანეთთან მირჩილული ორი ნახევრისაგან. სამმაგ მძივზე ნახვრეტები ისეა განლაგებული, რომ სამივე ეგზემპლარს ერთმანეთთან დასაკავშირებლად სამი ძაფი უნდა გაეყაროს.
ზომა: მძივის D - 3 მმ

მწკრივის L - 8-9 მმ
საინვენტ. № ს-82-11
(ფოტო 37)

23. მილაკი ოქროსი. შედგენილია ცვარებით, რომლებიც ერთმანეთთან მირჩილულია ორფად: შიდა ცილინდრი წრეზე მიჯრილ შვიდ ცვარას შეიცავს, სიმაღლეზე — ხუთს. გრანულების ვერტიკალური რიგები მიჯრით არ არის განლაგებული.
საინვენტ. № ს-82-9
(ფოტო 37)

24. მძივები (2 ც.) ოქროსი, ტანდაღარული, ფართო ნახვრეტის ირგვლივ მრგვლად გადმოკეცილი კიდეებით. მიღებულია ორი ნახევარსფეროს ერთმანეთთან მირჩილვის შედეგად.
ზომა: ღერძების L - 10-11 მმ
D - 11-12 მმ
საინვენტ. № ს-82-18

ზომა: D - 6 მმ
H - 5 მმ
ცვარას D - 1 მმ
საინვენტ. № ს-82-9
(ფოტო 38)

25. მილაკი (2 ც.) ოქროსი, ცილინდრული. დამზადებულია უწვრილესი გრანულების ერთმანეთთან მირჩილვის შედეგად მიღებული მავთულისაგან, რომელიც სპირალურად არის დახვეული.
ზომა: D - 4 მმ
საინვენტ. № ს-82-10
(ფოტო 37)

26. მასრა ოქროსი, ნახევარცილინდრული მოყვანილობის. დამზადებულია ერთიანი, გამოტვიფრული ფირფიტებისაგან. მირჩილვის ხაზი არ შეიმჩნევა. მირჩილული მავთული შემოუყვება ნაპირებზე და ტიხრავს შუაზე. ნივთის ზედაპირი შემკულია ცვარათი გამოყვანილი ქიმებითა და მცირე რომბებით.
ზომა: H - 11 მმ
L - 29 მმ
ფუძის სიგანე - 13 მმ
საინვენტ. № ს-82-7
(ფოტო 39)

27. ღილაკები (207 ც.) ოქროსი, მრგვალი, გამოტვიფრული, კიდეებზე ირგვლივი ქედით. უკანა მხარეს, შუა გულში, მირჩილულია მავთულის ყუნწი.
ზომა: D - 9 მმ
საინვენტ. №ს-82-12
(ფოტო 40)

28. ღილაკები (6ც.) ოქროსი, ნახევარსფეროსებრი, გამოტვიფრული. უკანა მხარიდან მირჩილულია მავთულისაგან ნაკეთები ყუნწი.
საინვენტ. №ს-82-13
(ფოტო 41)

29. ფირფიტა ოქროსი. სწორკუთხა. ნაპირები შემკულია მრგვალი და სოლისებრი ბურცობების რიგით (უკანა მხარიდან დაჭდეული), ოთხსავე კუთხეში ნახვრეტით.
ზომა: 40X58 მმ
საინვენტ. № ს-82-14
(ფოტო 42)

30. ფირფიტა ოქროსი, მოგრძო ოთხკუთხედი. ცალი მხარე მოჭრილია, სიგრძეზე ორად გაკეცილია. სამი მხრიდან შემოუყვება ბურცობების რიგი. ნახვრეტები დატანილია კუთხეებზე და შუაში.
ზომა: 73 X 32 მმ
საინვენტ. № ს-82-17
(ფოტო 42)

31. ფირფიტა ოქროსი, მომრგვალებული კუთხეებით, ორად მოკეცილი ერთი მხარე ჩამოჭრილია, სამი მხრიდან შემოუყვება ნაჭდევების მწკრივი მომრგვალებულ კუთხეებთან ნახვრეტებით.
ზომა: 33 X 22 მმ
საინვენტ. № ს-82-15
(ფოტო 42)

32. ფირფიტა ოქროსი, წინა ეგზემპლარის მსგავსი, ოთხად მოკეცილი.
ზომა: 32 X 23 მმ
საინვენტ. № ს-82-16
(ფოტო 42)

33. მილაკები (7ც). ვერცხლისა, სადა. მიღებულია თხელი ფირფიტის ცილინდრულად მოკეცვის შედეგად, ერთმანეთთან მიტანილი მიურჩილავი ნაპირებით. ორ ცალზე შემორჩენილია ოთხფა, წვრილი გასაყრელი ძაფი.

ზომა: H - 11-12 მმ
D- 4 მმ-მდე
საინვენტ. № ს-82-22
(სურ. 9)

34. საბეჭდავი ბეჭედი ბრინჯაოსი, შიგნიდან ბრტყელი, გარედან კი — ამობურცული, წვრილი რკალით, რომელიც ზევით ოდნავ ფართოვდება და ოვალურ ფარაკში გადადის. ფარაკზე ამოტვიფრულია ფრინველი, რომელსაც თავი ზურგისკენ აქვს მიბრუნებული. ზურგის ზემოთ ნახევარმთვარეა გამოსახული.
ზომა: H - 26 მმ
რკალის შიდა D - 21 მმ
ფარაკის ზომა: 19X14 მმ
საინვენტ. № ს-82-23
(სურ. 9)

35. საბეჭდავი ბეჭედი ბრინჯაოსი წვრილი რკალით, რომელსაც შიგნიდან და გარედან, მთელ სიგრძეზე, სუსტად შესამჩნევი წახნაგი დაუყვება. რკალი ზევით მკვეთრად ფართოვდება და ოვალურ ფარაკში გადადის. ზედ გამოსახულია დატოტვილრქიანი ირემი, რომელსაც გრიფონი ესხმის თავს.
ზომა: H -25 მმ
რკალის შიდა D- 20 მმ
ფარაკის ზომა: 20 X 13 მმ
საინვენტ. № ს-82-14
(სურ. 9)

36. მშვილდსაკინძი ბრინჯაოსი. შემორჩენილია მშვილდის ორი ნატეხი. დამზადებულია ოვალურგანივკვეთიანი ღეროსაგან. ერთი მხარე ბოლოვდება ბუდით, მეორე — ბურთულისმაგვარი შესქელებით.
ზომა: L - 35 მმ
H - 22 მმ
ღეროს უდ. D - 3 მმ
საინვენტ. № ს-82-27
(სურ. 9)

37. სამაჯური ბრინჯაოსი. შემორჩენილია ოთხ ნატეხად, სადა, ოვალური მოყვანილობის. დამზადებულია ქვემოდან ბრტყელი და ზემოდან მომრგვალებული ღეროსგან. გახსნილი ბოლოები



სურ. 9

შესქელებულია და ერთმანეთს არ ებმის.
ზომა: უდ. D- 72 მმ
ღეროს D - 5,5 მ
საინვენტ. № ს-82-26

38. ილარი ბრინჯაოსი. თავი შემკულია ჰერალდიკურად შეტყუპებული თუთიყუშების (?) სტილიზებული გამოსახულებით. ტანდაღარული ფიგურები ერთმანეთთან მირჩილულია თავებსა და ბოლოებთან. ღერო ოვალურგანივკვეთიანია, სუსტად დაწახნაგებული, ბოლოში – კოვზისებურად გამოყვანილი.
ზომა: H -51 მმ
თავის H -18 მმ
თავის უდ. სიგანე – 14 მმ
საინვენტ. № ს-82-33
(სურ. 9)

39. ილარის ფრაგმენტი ბრინჯაოსი. შემორჩენილია დეკორატიული თავი, მსგავსი № ს-82-33-ისა.
ზომა: შემორჩ. H-25 მმ
უდ. სიგანე – 15 მმ
საინვენტ. № 1-82-25
(სურ. 9)

40. ნივთის ნაწილი ბრინჯაოსი. წარმოდგენილია ერთმანეთში მჭიდროდ ჩასმული ორი ცილინდრული მილის სახით. დამზადებულია თხელი ფირფიტებისგან, გარეთ გადმოკეცილი საპირისპირო კიდეებით. შიდა ცილინდრზე შემორჩენილია მცირე ნახვრეტი.
ზომა: H -13 მმ
D - 20 მმ
საინვენტ. № ს-82-28
(სურ. 10)

41. მილი ბრინჯაოსი, ნაკლული. მიღებულია თხელი ფირფიტის ცილინდრულად მოკეცვის შედეგად ერთმანეთზე გადასული მიურჩილავი ნაპირებით. დაზიანებულ ბოლოზე ორი ნახვრეტია.
ზომა: L - 56 მმ
D - 8-9,5 მმ
ნახვრეტის D - 3 მმ
საინვენტ. №ს-82-30
(სურ. 30)

42. მახათი ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი. ზედა, შებრტყელებული ნაწილი გახვრეტილია. ბოლო მომრგვალებულია.
ზომა: L - 94 მმ
D - 4,5 მმ
საინვენტ. № ს-82-29
(სურ. 10)


სურ. 10

43. ნივთი ბრინჯაოსი. შემორჩენილია მრგვალგანივკვეთიანი, გახსნილი რგოლი ყუნწით, რომელიც დაკავშირებულია თხელ, ნახევარსფეროსებრ ფირფიტასთან. ყუნწი დამზადებულია ორად გაკეცილი, დაწახნაგებული ღეროსაგან.
ზომა: რგოლის D - 17 მმ
ნახევარსფეროს D - 17 მმ
საინვენტ. № ს-82-31

44. რგოლები ბრინჯაოსი. შედგენილია ერთმანეთზე გადაბმული მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან. დამზადებულია გახსნილი რგოლისა და დაწახნაგებული ღეროსაგან გაკეთებული ორ ხვიად მოკეცილი სპირალისაგან.
ზომა: H - 28 მმ
რგოლის D - 16 მმ
ღეროს D - 3 მმ
საინვენტ. № ს-82-32
(სურ. 9)

45. ბეჭედი რკინისა. შემორჩენილია ოვალური მოყვანილობის ფარაკი რკალის მცირე ნაწილით.
ფარაკის ზომა: 25 X 18 მმ
საინვენტ. № ს-82-41
(სურ. 10, ფოტო 43)

46. საგანი ძვლისა, ნაკლული ტრაპეციის

მოყვანილობის, ბრტყელი ფირფიტისებრი, რომელიც ფუძესთან გახვრეტილია. წინა პირი შემკულია ნაჭდევი წრეებით. შესაძლებელია იყოს დანის ტარი.
ზომა: H - 31 მმ
ფუძის D — 16 მმ
საინვენტ. № ს-82-45
(ფოტო 31)

47. საკინძის თავი მინისა, ცრემლის ფორმის, თვალადი, მუქი თაფლისფერი და თეთრი ინკრუსტაციით. ნახვრეტში ჟანგის სახით ჩარჩენილია რკინის ღერო.
ზომა: შუა ხაზზე H — 20 მმ
უდ. სიგანე — 10 მმ
საინვენტ. № 1-82-44
(სურ. 9, ფოტო 43 )

48. მძივები (4 ც.) სარდიონისა:
1. სფეროსებრი, გამჭოლი ნახვრეტით ( 2 ც.)
ზომა: H — 6 მმ
D — 10 მმ
2. მართკუთხა, გარეთა კონტური მკვეთრია, შიდა შერბილებულია. ღეროს განივკვეთი სწორკუთხედს უახლოვდება(2 ც.).
გვერდების L - 7-8 მმ
საინვენტ. № ს-82-46
(სურ. 9, ფოტო 43)

49. მძივები (6ც.) გიშრისა, სხვადასხვა მოყვანილობის.
1. ოვალური, ორნახვრეტიანი, განივად დაღარული ზედაპირით (1 ც.)
ზომა: 16 X 11 X 5 მმ
2. მართკუთხედის მოყვანილობის, ორ-ორი ნახვრეტით. შემკულია ნაკვეთი ორნამენტით, ერთ მხარეს რომბული ბადით, მეორე მხარეს — სიგრძივი ზოლებით (2 ც.)
ზომა: 11X9X2,5 მმ
3. შვინდის კურკის მოყვანილობის, დაღარული და სადა (3 ც.), აქედან ერთი ნაკლული.
ზომა: L - 10-11 მმ
საინვენტ. № ს-82-47
(სურ. 9)

50. საკიდი სიპი ქვისა, შავ-თეთრი ძარღვებით. მოხაზულობით უახლოვდება ტრაპეციას.
ზომა: H — 15 მმ
უდ. სიგანე — 11 მმ
უმც. სიგანე — 4 მმ
საინვენტ. № ს-82-48
(სურ. 9)

51. მძივები მინისა, მარჯნისფერი, წვრილი, ცილინდრული (2 ც.)
ზომა: L — 5 მმ
საინვენტ. № ს-82-49
(სურ. 9, ფოტო 43 )

52. მძივები კირქვისა, ცილინდრული, თეთრი, მოვარდისფრო ელფერით (2 ც.).
ზომა: L — 12 მმ
D - 3,5 მმ
საინვენტ. № ს-82-50
(სურ 9, ფოტო 43)

53. მძივები (9 ც), თეთრი, ირიზებული მინისა, ე.წ. ამფორისებრი მოყვანილობის. გახვრეტილია განიერ ბოლოში.
ზომა: H - 15 მმ
უდ. სიგანე — 10 მმ
საინვენტ. № ს-82-51
(სურ 9, ფოტო 43)

54. მძივები (61 ც.) მინისებრი პასტისა, მრგვალი, თვალადი, თეთრი წრეებით, ფართონახვრეტიანი. სამ ცალ ნახვრეტში შერჩენილია რკინის დაჟანგული ნაშთი.
ზომა: H 3 მმ-დან 8 მმ-მდე
D - 2,5 მმ - დან 5 მმ - მდე
საინვენტ. №ს-82-52
(სურ. 9. ფოტო 43)

55. მძივები (15 ცალი), მინისებრი პასტისა, სხვადასხვა მოყვანილობის, ზომისა და ფერის.
1. რგოლისებრი მოყვანილობის, მოყვითალო (1 ც.).
ზომა: H - 4 მმ
D - 8 მმ
2. მრგვალი, არასწორი მოყვანილობის, ირიზებული მინისა, მონაცრისფრო-ლილისფერი.
3. მრგვალ-ბრტყელი, არასწორი მოყვანილობის, რუხი (1 ც.).
ზომა: H - 4 მმ
D - 10 მმ
4. მრგვალი და სფეროსებრი მოყვანილობის, ირიზებული, მოცისფრო (12 ც.)
ზომა: H და D - 5 - 6 მმ

საინვენტ. № ს-82-53
(სურ. 9, ფოტო 43)

56. მძივები (3 ც.) ქარვისა, მოყავისფრო-მოთეთრო. დაკუთხული, ერთი - მოგრძო, ორი - დაბალი.
ზომა: 1,5 X 3 მმ
2,2 X 2,5 მმ
საინვენტ. № ს-82-55

57. მძივი ირიზებული მინისა, ბაცი სადაფისფერი, დაზიანებული, ნაკლული.
ზომა: D - 13 მმ
საინვენტ. № ს-82-56
(სურ. 9)

58. მძივები - იოტები, რგოლისებრი, ცისფერი (47 ც.), სპილოსძვლისფერი (27 ც.) და რუხი ფერის (9 ც.).
ზომა: უდ. D -3 მმ
უმც. D - 1,5 მმ
საინვენტ. № ს-82-56
(სურ. 9, ფოტო 43)

59. დოქი თიხისა, წითელკეციანი, წითლად ანგობირებული, ზედაპირნაპრიალები, სადა, წაბლისფერი ლაქებით ზედაპირზე, პირი გარეთ



სურ. 11

გადახრილი, ყელი - გამოყვანილი, მსხლისებურ-კორპუსიანი, ძირი - ბრტყელი. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირსა და მუცელზე.
ზომა: H - 18 სმ
პირის D - 5 სმ
ძირის D - 9 სმ
კეცის სისქე - 5-6 სმ
საინვენტ. № ს-82-57
(სურ. 11, ფოტო 44)

60. დოქი თიხისა, ნაკლული, წითელკეციანი, წითლად ანგობირებული, ზედაპირნაპრიალები, სადა, წაბლისფერი ლაქებით ზედაპირზე. პირი გარეთაა გადახრილი, ყელი დაბალია. მსხლისებურ-



სურ. 12

კორპუსიანი, ძირი ბრტყელი. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირსა და მუცელზე.
ზომა: შემორჩენილი H - 17,5 სმ
პირის D - 7 სმ
კეცის სისქე - 5-6 მმ
საინვენტ. № ს-82-266
(სურ. 12)

61. ცილინდრი (4 ფრაგ.) რკინისა. ცენტრში სიგრძივი ღრუ აქვს. ამჟამად მიწითა და ჟანგითაა ამოვსებული. შესაძლებელია იყოს შუბის მასრა.
ზომა: L - 50 მმ, 33 მმ და 32 მმ
D - 14 მმ, 14 მმ, 13 მმ და 12 მმ
ღრუს D - 7 მმ
საინვენტ. № ს-82-39
საინვენტ. №ს-82-42
(სურ. 13, ფოტო 45)

62. ლურსმნები (5 ც.) რკინისა, ფართოქუდისებრთავიანი, მოკლე, სოლისებური წვერით.
ზომა: H - 20-25 მმ
ქუდის D - 15-17 მმ
საინვენტ. № ს-82-34
(სურ. 13)



სურ. 13

63. ლურსმანი რკინისა, მუხლისებრი. დამზადებულია ოთხკუთხგანივკვეთიანი ღეროსაგან, სწორი კუთხით მოკეცილი, გარეთ გადმოხვეული თავით, ლურსმნისებურად გაწვრილებული ბოლოთი.
ზომა: შემორჩენილი 62X46მმ,
ღეროს უდ. სისქე - 10X7 მმ
საინვენტ. № ს-82-35
(სურ. 13)

64. ლურსმანი № ს-82-35-ის ანალოგიური.
ზომა: შემორჩენილი 74X40 მმ
უდ. სისქე – 8X6 მმ
საინვენტ. №№ ს-82-36, ს-82-37, ს-82-38, ს-82-40
(სურ. 13)

ცხენის აღკაზმულობის ნაწილები

65. ბალთა (1 ც.) ოქროსი, ღილისებრი, მრგვალი. დაბალკონუსურად ამობურცული წინა პირით, შესაბამისად გამოტვიფრული უკანა მხარით, რომლის ცენტრშიც მირჩილულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროს ორი ყუნწი ერთმანეთზე გადასული ბოლოებით.



სურ. 14

ზომა: H - 11 მმ
D - 40 მმ
საინვენტ. № ს-82-3

66. ბალთა (1 ც.), წინა ეგზემპლარის ანალოგიური. ცენტრი დაზიანებულია.
ზომა: D - 41 მმ
საინვენტ. № ს-82-4
(ფოტო 46)

67. ბალთა (1ც.) ვერცხლისა, №№ ს-82-3 და ს-82-4 - ის მსგავსი.
ზომა: H -12 მმ
D - 38 მმ
საინვენტ. № ს-82-19
(სურ. 14, ფოტო 47 )

68. ბალთა (1ც.), მოყვანილობით წინა ეგზემპლარის მსგავსი, შედარებით მცირე ზომის, ერთყუნწიანი.
ზომა: H - 11 მმ D - 30 მმ
საინვენტ. № ს-82-20
(სურ. 14, ფოტო 47 )

69. საკიდი ვერცხლისა. დამზადებულია ერთი ფირფიტისაგან, ფოთლისებური მოყვანილობის, დაბოლოებული წრიული ფირფიტით. ბრტყელი ყუნწი გადაკეცილია უკან და დამაგრებულია მანჭვლით, რომელიც წინა პირზე ბურცობითაა გამოსახული. მხრების არეში ორი სიმეტრიული ნახვრეტია. წინაპირი შემკულია გრავირებული ნახატით (თვალისებური სახეები, დაშტრიხული რკალები). წრიულ ფირფიტაზე მოცემულია მცენარეულ-გეომეტრიული ორნამენტი.
ზომა: H - 75 მმ
უდ. სიგანე - 30 მმ
საინვენტ. № ს-82-21
( სურ. 14, ფოტო 47)

70. ლაგამი ბრინჯაოსი, ბრტყელი საყბეურებით. ბოლოები ოდნავ გაგანიერებულია, შიდა წიბოზე მრგვალგანივკვეთიანი სამ-სამი რგოლია მირჩილული. ცენტრალური შედარებით დიდი ზომისაა. შუა, მოძრავი, ნაწილი შედგენილია რგოლებისა და ორი ცილინდრისაგან.
ზომა: H - 21 სმ
საყბეურების L - 22 სმ
საინვენტ. № ს-82-43
(ფოტო 48)



სურ. 15

71. რგოლები (14 ფრაგ.) რკინისა, ძლიერ დაზიანებული, დაჟანგული.

ზომა: D - 40 მმ

ღეროს D - 7 მმ

საინვენტ. № ს-82-43

(სურ. 15)

საბადურის გორის №1 სამარხი განეკუთვნება იმ კომპლექსების რიცხვს, რომელიც ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ. წ. III ს-ის დასაწყისით თარიღდება (ვანის დედატოსის სამარხი, ახალგორის განძი, შავსაყდრის მეორე სამაროვანი, და სხვ.).[2] კომპლექსში აღმოჩენილი იმპორტული სასმისის ანალოგიური ატიკური უყურო ჯამები, რომლებიც მთლიანად დაფარულია ლაკით, პირველად ჩნდება ძვ. წ. IV სს-ის მეორე მეოთხედიდან.[3] მისი ანალოგი ათენის აგორის მასალიდან თარიღდება ძვ. წ. 375-350 წლებით,[4] მაგრამ მთავარი მიცვალებულის კამერაში აღმოჩენილი სამადლოს ტიპის წითლად ანგობირებული, ზედაპირნაპრიალები, მსხლისებურკორპუსიანი დოქები საშუალებას გვაძლევს სამარხის თარიღი ძვ.წ. III სს-ის დასაწყისით განვსაზღვროთ.[5]

სამარხი №2 არ მიეკუთვნება საბადურის გორის მდიდრულ სამაროვანს. იგი მესამე კულტურული ფენის თანადროულია და ძვ. წ. III-II სს-ის პირველი ნახევრით თარიღდება (სურ. 16).



სურ. 16

## ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ № 3

ამ კომპლექსს თავდაპირველად მეხუთე ნომერი მიენიჭა (ფოტო 49) და საველე დოკუმენტაციაში გატარდა როგორც დამოუკიდებელი სამარხი კენოტაფი. პრეპარაციის შედეგად გამოვლინდა ერთად დალაგებული კოლხური ჭურჭელი, პალმეტით შემკული, ბერძნული, შავლაკიანი ჯამი და სანელსაცხებლე. არ ჩანდა მიცვალებულის ძვლები და სამარხისათვის დამახასიათებელი სხვა ინვენტარი. ამასთანავე, იმპორტული ჯამის ფრაგმენტები აღმოჩნდა მისგან 1 მ-ის დაცილებით, რაც ბადებდა ეჭვს, რომ თავის დროზე აღნიშნული ნივთები არ იყო ჩალაგებული ორმოში. მოგვიანებით კომპლექსის აღმოსავლეთით გაიწმინდა მოზრდილი ქვაყრილი და გაითხარა მდიდრული სამარხი, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში შევიდა №5 სამარხის სახელწოდებით (ფოტო 50). იგი განიხილებოდა როგორც ღია დასაკრძალავი მოედანი, რომლის სამ მონაკვეთზე ჩატარდა გარკვეული რიტუალი[6]: I – ე.წ. დამწვარძვლებიან მოედანზე დაკრძალეს მთავარი მიცვალებული; II – სამარხის შემაღლებულ მონაკვეთზე დაასვენეს თანმხლები პირები და შეწირეს ხუთი ცხენი; III – ცალკე რიტუალი შედგა ჩვენთვის საინტერესო კომპლექსთან, მაგრამ №№8, 13,14 სამარხების გათხრებმა აჩვენა, რომ თითოეული მათგანი ფაქტობრივად იყო ორმოსამარხი. როგორც წესი, იჭრებოდა ერთი დიდი ორმო. მისი უფრო ღრმა მონაკვეთი განკუთვნილი იყო მთავარი მიცვალებულის ხის

---

2. Смирнов Я. И. Ахалгорский клад. Тб., 1934. с. 21. таб. $III_{24}$; ოთ. ლორთქიფანიძე. ვანის ნაქალაქარი. ვანი III. თბ., 1977. გვ. 19-21; ს. მარგიშვილი. ანტიკური ხანის მდიდრული სამარხები ალგეთის ხეობიდან. თბ., 1992. გვ. 56, ტაბ. $XI_5$.

3. №1 სამარხის შავლაკიანი ჯამის თარიღი ნ. ყიფიანმა განსაზღვრა ძვ. წ. IV სს-ის მეორე მეოთხედით.

4. Гагошидзе Ю.М. Самадло. I. Тб., 1979. с. 98-99. მნიშვნელოვანია, რომ სამადლოს ტიპის დოქები საირხეში აღმოჩნდა ადრეულ ბერძნულ იმპორტთან ერთად.

5. გ. მახარაძე, მ. წერეთელი. ძვ. წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის მეორე ნახევრის სამარხები საჩხერიდან. აჟ. II. თბ., 2002. გვ. 49.

6. ეს კარგად ჩანს №5 სამარხის რეკონსტრუქციისას, დამწვარძვლებიანი მოედანი და ცხენები დაფარულია ქვაყრილით. ჯ. ნადირაძე. საირხე - საქართველოს უძველესი ქალაქი. თბ., 1990. ტაბ. XXIV.

ძელებით შეკრული სარკოფაგისათვის, რომელიც ქვაყრილით იფარებოდა. თანმხლები პირები და ცხენები მის გარეთ, პირდაპირ მიწაში, იფლობოდა. ეს კამერა იმდენად იფარებოდა ქვაყრილით, რამდენადაც ამას საჭიროებდა სარკოფაგის „უსაფრთხოება". ამას შემდეგ ორმოს მთლიანად ავსებდნენ მიწით და ზემოდან აშენებდნენ მატურს. ამდენად, კოლხური და იმპორტული ჭურჭლის ჯგუფი არ არის მთავარი მიცვალებულისა და ცხენებიანი კამერისაგან შედგენილი „დახურული" კომპლექსის ნაწილი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ გამოვრიცხავთ მის გარკვეულ კავშირს №5 სამარხთან, აუცილებლად მიგვაჩნია ამ კომპლექსის ცალკე გამოყოფა. მით უმეტეს, რომ აღნიშნული ნივთები შესაძლოა არ იყო მიწაში ჩაფლული და იმყოფებოდა[7] ზედაპირზე. გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, №5 სამარხის გვერდით გათხრილი ბერძნული შველაკიანი ჯამის, ალებასტრონისა და კოლხური კერამიკისაგან შედგენილი ნივთების ერთობლიობას ვუწოდეთ კომპლექსი №3.[8]

1. ალებასტრონი, ნაკლული. დამზადებულია მოთეთრო, რძისფერი, ნახევრად გამჭვირვალე მინისაგან. ჭურჭელს დისკოსებური, ფართო, ბრტყელი პირი, დაბალი, მკვეთრად შევიწროებული ყელი და გრძელი, ცილინდრული ტანი აქვს. მხრებზე მიმაგრებულია თეთრი ფერის მომცრო, მარყუჟისებრი ყურები. ტანის ზედა ნაწილი შემკულია ყავისფერი კონცენტრული ზოლებით, ქვედა ნაწილი კი — მოყავისფრო ზიგზაგებით.

ზომა: პირის D - 34 მმ
ტანის შემორჩენილი L - 42 მმ
საინვენტ. № ს-83-248
(ფოტო 50)

2. ჯამი შველაკიანი, ნაკლული, სწორპროფილიანი, თხელი კედლით. ტანის მომრგვალებული ქვედა ნაწილის გადასვლა ქუსლისკენ ხაზგასმულია წვრილი, ირგვლივი ღარით. ქუსლის ქვედა ზედაპირის ცენტრში მცირე ბურცობია ფაქიზი, ნაწიბურიანი წრით. ჭურჭელი მთლიანად დაფარულია შავი, კარგი ხარისხის ლაკით. ფსკერის ზედაპირი შემკულია შტამპით, ხოლო წრეზე მონაცვლეობით პალმეტები და ლოტოსის ყვავილებია დატანილი.

ზომა: H - 60 მმ
პირის D - 110 მმ
ქუსლის D - 75 მმ
საინვენტ. № ს-83-216
(სურ. 17, ფოტო 51)



სურ. 17

3. ჯამი ქარსმინარევიანი თიხისა, ზედაპირი მოვარდისფრო-ნაცრისფერი, პირმოყრილი, ბრტყელძირიანი.

ზომა: H - 9,8 სმ
ძირის D - 5,5 სმ
საინვენტ. № ს-83-215
(სურ. 18)



სურ. 18

---

7. ანალოგიური სიტუაცია იყო №13 სამარხის გათხრის პროცესში (იხ. ქვემოთ)

8. გ. მახარაძე, კიდევ ერთხელ №5 სამარხის შესახებ. სხსმსს -(XXI). მთ. თბ., 1999. გვ. 7.

4. დოქი თიხისა, ყურმილიანი, მოწითალო-ყავისფერი კეცით, შავი, გაპრიალებული ზედაპირით, ძაბრისებურად გაფართოებული პირით, დაბალი ყელით, ბიკონუსური ტანით, ბრტყელი ძირით.
ზომა: H - 10,5 სმ
პირის D - 4,5 სმ
ძირის D - 6,5 სმ
საინვენტ. № ს-83-214
(სურ. 18, ფოტო 52 )

5. დოქი თიხისა, შავად გაპრიალებული ზედაპირით, პირგადაშლილი, საშუალო სიმაღლის ყელით, მკვეთრად დაქანებული მხრებით, ბიკონუსური ტანით, ბრტყელი ძირით. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს პირსა და მხარზე.
ზომა: H - 20 სმ
პირის D - 7,5 სმ
ძირის D - 7,2 სმ
საინვენტ. № ს-83-211
(სურ. 18)

6. დოქი თიხისა, შავად გაპრიალებული ზედაპირით, პირგადაშლილი, ყელდაღარული, ბიკონუსური მუცლით, ბრტყელი ძირით. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირსა და მხარზე.
ზომა: H - 13 სმ
პირის D - 6 სმ
ძირის D - 7 სმ
საინვენტ. № ს-83-212
(სურ. 18, ფოტო 53)

7. კოჭობი თიხისა, შავპრიალა ზედაპირით, პირგადაშლილი, ფართო, გამობერილი მუცლით, ბრტყელი ძირით. თანაბრად მორკალული ყური მიძერწილი აქვს კორპუსზე.
ზომა შემორჩენილი H - 9,5 სმ
ძირის D - 7 სმ
საინვენტ. № ს-83-213
(სურ. 18)

კომპლექსში შემავალი ალებასტრონის თარიღს მ. საგინაშვილი განსაზღვრავს ძვ. წ. V ს-ის შუა ხანებით[9], ხოლო პალმეტებიან ჯამს თ. სიხარულიძე მიიჩნევს ძვ. წ. V ს-ის მესამე მეოთხედის მიწურულის ნაწარმად. შესაბამისად, განხილული კომპლექსი №5 სამარხზე გვიანდელი უნდა იყოს.

## სამარხი №4

სამარხი №4 მდებარეობდა $B_4$ სექტორში №5 სამარხის დასავლეთით (სურ. 1). სამარხის ოვალური ორმო შემოსაზღვრული იყო ქვების ცალპირა კედლის წყობით. მისი ზომებია 1,40X1,10 მ. ორმოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ერთმანეთის მიყოლებით იდგა ოთხი დოქი, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში - თიხის კოჭობი და მცირე ზომის ორი ჯამი. ორმოს ცენტრში ეყარა გიშრის, მინისა და ოქროს მძივები. აქვე იყო მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან დამზადებული წყვილი საყურე. ძვლები ცუდად იყო დაცული. სამარხი ბავშვისაა (სურ. 19, ფოტო 54 ).

1. საყურე (2 ც.) ოქროსი. დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროს წრიულად მოკეცვის შედეგად.
ზომა: D - 16 მმ
საინვენტ. № ს-83-71
(ფოტო 56 )



სურ. 19

2. მძივები (13 ც.) ოქროსი, სფერული, ბიკონუსური ფორმის, ტანდაღარული. შედგენილია ორი გამოტვიფრული ნახევრის

9. J. Gagošidze, M. Saginašvili Die achaimenischen Glasgefabe in Georgien, Archaelogischen mittelungen aus Iran und Turan. Berlin 2000, z. 67.




სურ. 20

ერთმანეთთან მირჩილვის შედეგად.
ზომა: საშ. D - 13 მმ
საინვენტ № ს-83-72
(ფოტო 55)

3. მძივები (12 ც.) სარდიონისა, სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის.
1. ცილინდრული, მოვარდისფრო. H-8 მმ (1 ც.)
2. მრგვალი, მუქი. H-4 მმ (3ც.)
3. დაბალი, ბიკონუსური. H-3 მმ (8 ც.)
საინვენტ. № ს-83-62
(სურ. 20)

მძივები მინისა, განსხვავებული ფერის, ზომისა და მოყვანილობის.
1. თვალადი, მოცისფრო-ნაცრისფერი და თეთრი რგოლებით, სფერული და რგოლისებრი.
ზომა: H - 3-6 მმ (23 ც.)
2. მოყვითალო ფერის, ბიკონუსური ფორმის.
ზომა: H - 6 მმ (2 ც.).
3. ლურჯი, ბიკონუსური ფორმის.
ზომა: H - 5-6 მმ (12 ც).
4. იისფერი, ირიზებული მინისა, ირგვლივ შემოუყვება თეთრი ზოლი, სიგრძივ გახვრეტილი.
ზომა: H - 6 მმ (2 ც.)
5. შავი, ვარდულის მსგავსი. D - 16 მმ (1 ც.)
6. შავი, ბრტყელი, ოვალური მოყვანილობის.
ზომა: L - 10 მმ (1 ც.)
7. მუქი ლურჯი და ცისფერი სპირალური ზოლებით, ცილინდრული.
ზომა: L - 10 მმ (1 ც)
8. ლილისფერი, ცილინდრული ფორმის, სიგრძივ გახვრეტილი, დაზიანებული (1 ც.).
საინვენტ. № ს-83-70
(სურ. 20)

4. ნივთი რკინისა, ფრაგმენტული, ძლიერ დაზიანებული, წვრილღეროიანი.
საინვენტ. № ს–83-63
5. ხელადა თიხისა, რუხკეციანი, ნაკლული, გაპრიალებული ზედაპირით, პირგადაშლილი, ტრაპეციის ფორმის ყელით, მსხლისებური კორპუსითა და ბრტყელი ძირით. ოვალურგანივკვეთიანი, თანაბრად მორკალული ყური მიძერწილია პირსა და მხარზე.
ზომა: შემორჩ. H -16,5 სმ
ძირის D - 7 სმ
საინვენტ. № ს-83-60
(სურ. 21)



სურ. 21

6. ხელადა თიხისა, ნაცრისფერკეციანი, გაპრიალებული ზედაპირით, პირგადაშლილი, საშუალო სიმაღლის ყელით, დაქანებული

მხრებით, მსხლისებური კორპუსითა და ბრტყელი ძირით, ოვალურგანივკვეთიანი, თანაბრად მორკალული ყურით, რომელიც მიძერწილია პირსა და მხარზე.
ზომა: H - 16 სმ.
პირის D - 6 მმ
ძირის D - 7 მმ
საინვენტ. № ს-83-61
(სურ. 21)

7. ხელადა თიხისა, ნაცრისფერკეციანი, ნაპრიალები ზედაპირით, პირგადაშლილი, ტრაპეციის ფორმის ყელით, ბიკონუსური კორპუსითა და ბრტყელი ძირით. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირსა და მხარზე.
ზომა: H - 17.5 სმ
პირის D - 8 სმ
ძირის D - 7, 3 სმ
საინვენტ. № ს-83-62
(სურ. 22, ფოტო 57)

8. დოქი თიხისა, ნაცრისფერკეციანი, ნაპრიალები ზედაპირით, პირგადაშლილი, დაბალი ყელით, ბიკონუსური კორპუსითა და ბრტყელი ძირით. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირსა და მხარზე.
ზომა: H - 18,5 სმ
პირის D - 8.5 სმ
ძირის D - 8 სმ
საინვენტ. № ს-83-63
(სურ. 22, ფოტო 57)



სურ. 22

9. ფრაგმენტი ყურმილიანი, ნაცრისფერკეციანი ხელადის ყელისა და ყურის.
ზომა: კეცის სისქე - 5 მმ
საინვენტ. № ს-83-67
(სურ. 22)

10. კოჭობი, ნაცრისფერკეციანი, დაზიანებული, პირგადაშლილი, დაბალი პროპორციების კორპუსითა და ბრტყელი ძირით, მუცელი შემკულია კოპებით.
ზომა: H - 8,5 სმ
პირის D - 7,7 სმ
ძირის D - 6.3 სმ
საინვენტ. №ს-83-64
(სურ. 21)

11. ჯამი მოყავისფრო, ქარსმინარევიანი თიხისა, პირმოყრილი. ძირი მკაფიოდ არაა გამოყოფილი, უფრო მომრგვალებულია.
ზომა: H -3,3 სმ
პირის D - 11 სმ
საინვენტ. №ს-83-65
(სურ. 21)

12. ჯამი ნაცრისფერკეციანი თიხისა, პირმოყრილი, დაქანებული კალთებით, ბრტყელი ძირით.
ზომა: H - 2,5 სმ
პირის D - 9,5 სმ, ძირის D - 7,5 სმ
საინვენტ. № ს-83-66
(სურ. 21)

წრიული, გახსნილი საყურე რგოლები ცნობილია სამადლოდან, მოდინახეს ელინისტური ხანის სამარხებიდან, სამთავროდან[10] და სხვ. მეორე მხრივ, შავპრიალა დოქები ტრაპეციის ფორმის ყელით, აღმოსავლეთ საქართველოს კერამიკისათვის შემუშავებული პერიოდიზაციით, შედის პირველ ქრონოლოგიურ ჯგუფში,

10. ი. გაგოშიძე. ელინისტური ხანის მასალები სამადლოდან. სსმმ. ტ. XXVII-B. თბ., 1966. გვ. 58-59. ტაბ. 12; ჯ. ნადირაძე. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1975. გვ. 39; ვ. თოლორდავა, მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის ძვ.წ. III-I სს. მსკა, ტ. III. თბ., 1963. გვ. 149-150.

რომელიც ძვ.წ. V-IV სს-ის პირველ ნახევრით თარიღდება.[11] ამ ტიპის დოქები ნარეკვავის სამაროვანზე ძალზე ხშირად გვხვდება საირხის ანალოგიურ კოპებიან კოჭობებთან ერთად ძვ. წ. IV ს-ის კომპლექსებში[12]. თუმცა, №4 სამარხის ერთი დოქი მიილტვის მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის კერამიკისაკენ.[13] გამომდინარე აქედან, სამარხისთვის შემოთავაზებული თარიღი — ძვ. წ. IV ს-ის მესამე მეოთხედი სავსებით მისაღებია.[14]

აქვე აღვნიშნავთ, რომ №4 სამარხისა და №3 კომპლექსის ადგილობრივი კერამიკის ნაწარმი ერთმანეთს უახლოვდება როგორც ფორმით, ისე შემკულობით, რაც უნდა მიუთითებდეს მათს ქრონოლოგიურ სიახლოვეზე. მიუხედავად იმისა, რომ შავლაკიანი ჯამი და ალებასტრონი ძვ. წ. V ს-ის ნაწარმია, ჩვენ არ გამოვრიცხავთ მთლიანად №3 კომპლექსის ძვ. წ. IV ს-ის პირველი მეოთხედით დათარიღებას.

## სამარხი №5

სამარხი №5 აღმოჩნდა C3 სექტორში მიწის ზედაპირიდან 5,6 მ-ზე. სამარხი შედგებოდა ორი კამერისაგან. მთავარი მიცვალებულისათვის განკუთვნილი კამერის („დამწვარძელებიანი მოედანი“) ფართობი უდრიდა 16 $მ^2$ (4X4). იგი მთლიანად გადაფარული იყო ქვაყრილით, რომელიც ნაწილობრივ ვრცელდებოდა ცხენებიანი კამერის თავზეც (ფოტო 58). მისი გაწმენდის პროცესში სხვადასხვა მონაკვეთზე ვხვდებოდით იმპორტული კერამიკისა და ირიზებული მინის ფრაგმენტებს. ქვაყრილის აღების შემდეგ პრეპარირებულ იქნა სარკოფაგის გადახურვის ნაშთები, რომელთა შორის ეყარა რკინის ლურსმნები (სურ. 23, ფოტო 59). ძელებს ემჩნეოდა ცეცხლის ძლიერი კვალი. მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით გამლღვალი იყო სამარხის ამ ნაწილში აღმოჩენილი ნივთებიც (სასაფეთქლეები, არწივის ნისკარტისებური ფორმის საკიდი, მძივი, ძვლის სავარცხელი).[15]

11. Нариманашвили Г.К. Керамика Картли V-I вв до н. э. Тб., 1991. с. 59.

12. თ. ჯღარკავა. კამარახევის სამაროვანი. მცხეთა VI., თბ., 1982. სამარხი №№6, 22, 111, 134, 123, 127, 133.

13. Нариманашвили Г.К. Керамика Картли... с. 59.

14. ჯ. ნადირაძე, საირხე საქართველოს.., გვ. 60-61.

15. სავარაუდოა, რომ ხანძარი გაჩნდა კამერის გაძარცვის დროს, რადგან გაურკვეველია, რა ხასიათის რიტუალი მოითხოვდა სარკოფაგის დაწვას.

თანმხლები პირებისა და ცხენებისთვის განკუთვნილი კამერა მდებარეობდა 0,5 მ-ით უფრო მაღლა. სამი მიცვალებული ესვენა ტიხრის გასწვრივ. ზუსტად გაირკვა მხოლოდ ერთი ინდივიდის დაკრძალვის პოზა. იგი იწვა თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ, მარჯვენა გვერდზე, ძალზე მოკრუნჩხულ მდგომარეობაში. ასევე უნდა ყოფილიყო დასვენებული მეორე მიცვალებული, თუმცა მისი ძვლები საკმაოდ არეული იყო. სამივე მიცვალებულს ზემოდან ცხენის ძვლები ეყარა. დაკრძალვის რიტუალში დაცული იყო იერარქიულობის პრინციპი,რაზეც მიუთითებს სამკაულების არათანაბარი განაწილების ფაქტი.

სამარხში გაიწმინდა ხუთი ცხენის ნაშთი თავით აღმოსავლეთისაკენ. მათს აღკაზმულობაშიც დაცული იყო გარკვეული იერარქია. მეოთხე და მეხუთე ცხენებს შორის აღმოჩნდა სპილენძის თითქმის მთელი სიტულა (სურ. 23).

მთავარი მიცვალებულისთვის განკუთვნილი სარკოფაგის („ძელებიანი მოედანი“) ნაშთების გაწმენდისას აღმოჩნდა შემდეგი ნივთები:

1. სასაფეთქლე ოქროსი. რგოლზე უძრავად დამაგრებულია ჭვირული ბურთულა. რგოლი ოვალურია, გახსნილი, შემკულია ორნამენტული სარტყლით, რომელიც დაკეჭნილი მავთულისგან გამოყვანილი მარყუჟების რიგია. ბურთულა სფერულია. ეკვატორზე შემოუყვება სარტყელი ვერძის სკულპტურული ნახევარფიგურების რიგით, ქვემოდან კი შეკიდულია რკოსებური საკიდები. ვერძის გამოსახულება მიღებულია ორი ნახევრის ერთმანეთთან მირჩილვის შედეგად. ოქროს ძეწკვი, რომელზედაც საკიდებია შებმული, შედგენილია ორად მოკეცილი რვიანისებური რგოლებისგან. ნივთი ძლიერ დაზიანებულია. შეიმჩნევა ცეცხლის ძლიერი კვალი. ცალკეული ადგილები შემლღვალია.
ზომა: H - 104 მმ
ბურთულის D - 40 მმ
საინვენტ. №ს-83-185
(ფერადი ფოტო 2)

2. სასაფეთქლე ოქროსი, აღწერილის ანალოგიური. მოხვედრილია ცეცხლში, ცალკეული დეტალები გამლღვალია. რგოლი ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი. ბურთულას ჰორიზონტალურ სარტყელზე აკლია სამი ვერძის სკულპტურული გამოსახულება. ძეწკვების დიდი ნაწილი მომძვრალია, ზოგი ერთმანეთთანაა




სურ. 23

შედუღებული.

ზომა: ბურთულის H - 49 - მმ
ბურთულის D - 40 მმ
საინვენტ. № ს-83-186

(ფოტო 60)

3. საკიდი ოქროსი, მტაცებელი ფრინველის ნისკარტის ფორმის. მიღებულია ორი გამოტვიფ-

რული ნაწილის ერთმანეთთან მირჩილვით. ზედა, განიერი, ნაწილი შემკულია ორნამენტული სარტყლით, რომელიც შედგება ირიბი ღარების, რკალებისა და ჭდეების რიგებისაგან. ცალ მხარეს სპირალური ხვიაა. საკიდის ერთ გვერდთან, ნახევარმთვარისებურ ჭრილში, ვიწრო, მორკალული ფირფიტაა მოთავსებული, რომლის გვერდები დაკეჭნილი მავთულითაა შემოსაზღვრული. შემორჩენილია ოთხი ყუნწი. ნივთი დეფორმირებულია, წვერი შემლღვალი. მირჩილვის ხაზი გახსნილია.

ზომა: H - 35 მმ

უდ. სიგანე - 49 მმ

საინვენტ. № ს-83-199

(ფერადი ფოტო №3)

4. მილაკი ოქროსი. კიდეებზე შემოუყვება დაკეჭნილი მავთული. შუა ნაწილი შემკულია ცვარათი გამოყვანილი რომბების რიგით.

ზომა: სიგანე - 15 მმ

საშ. D - 6 მმ

საინვენტ. № ს-83-199

(ფოტო 61)

5. ნაღვენთები ოქროსი, განსხვავებული ფორმისა და ზომის, ძირითადად, სფეროს მოყვანილობის.

საინვენტ № ს-83-210

(ფოტო 62)

6. ფირფიტა ოქროსი, სადა, სწორკუთხედი. კუთხეები მომრგვალებულია. კიდეების გასწვრივ 25 ნახვრეტია შემორჩენილი, მცირედ დეფორმირებულია. ცალი გვერდი გამლღვალია.

ზომა: L — 96 მმ

სიგანე — 25 მმ

საინვენტ. № ს-83-187

(ფოტო 63)

7. ფრაგმენტები ბრინჯაოს სიტულისა. ყურის ღეროს განივკვეთი უახლოვდება ნახევარწრეს. ბრტყელი ნაწილი შემკულია წნული ორნამენტით.

ზომა: ღეროს განივკვეთი — 11X12 მმ

ორნამენტული წნულის H - 3 მმ

შემორჩენილი ნატეხების ზომა: 60 მმX35 მმX58 მმ

საინვენტ. № ს-83-153

(სურ. 24)



სურ. 24

8. ფრაგმენტი ძვლის სავარცხლისა. შემკულია კანელურებით, რომლებიც შეკრულია სამკუთხა თაღებითა და ნახევარსფეროს ფორმის ბურცობებით. ცეცხლისგან ძლიერ დაზიანებულია.

საინვენტ. № ს-83-239

(სურ. 25 )

9. მძივები ძვლისა, განსხვავებული ფორმისა და ზომის, დაზიანებული, ნაკლული, წაკვეთილი კონუსის ფორმის.

1. ოთხი მთელი ჰორიზონტალური ღარით 2 ც., 2 ერთეული - დამტვრეული.

2. წაკვეთილი კონუსის ფორმის, სადა 1 ც.).

3. მილაკი, სადა (1 ც.)

საინვენტ. № ს-83-240

(ფოტო 64)



სურ. 25

10. გაურკვეველი ნივთის ფრაგმენტი ძვლისა, პროფილირებული ზედაპირით.

საინვენტ. № ს-83-239

(სურ. 25)

11. მინა ირიზებული, ბრჭყალისებური ფორმის, ძლიერ დაზიანებული. დროთა განმავლობაში დაიშალა.

საინვენტ. № ს-83-111

12. მინა ირიზებული, უფორმო. დეფორმირებულია მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების შედეგად.

საინვენტ. № ს-83-112




სურ. 26

13. აბჯრის ფირფიტები რკინისა, დაჟანგული, წაგრძელებული, სწორკუთხა. ქვედა ბოლო მომრგვალებულია. ზედა წიბოსთან გაკეთებულია სამ-სამი ნახვრეტი, ქვედა ნაწილში კი - მხოლოდ ერთი.
ზომა: 37X15 მმ
საინვენტ. № ს-83-164
(სურ. 26)

14. ლურსმნები ბრინჯაოსი, მცირე ზომის, ბრტყელი თავებით, ძლიერ დაჟანგული და დაზიანებული.
ზომა: H - 7-8 მმ
საინვენტ. № ს- 83-164
(სურ. 26)

15. ისრისპირი, ბრინჯაოსი, გატეხილი, მასრიანი, სამფრთიანი.
ზომა: H - 18 მმ
საინვენტ. № ს-83-131
(სურ. 26)

16. ნივთი რკინისა, ნალისებური ფორმის, ძლიერი დაზიანებული.
საინვენტ. № ს-83-160
(სურ. 31)

17. დანა რკინისა, ნაკლული.
ზომა: შემორჩენილი L - 10 სმ
საინვენტ. № ს-83-157
(სურ. 31)

18. ფრაგმენტები ვერცხლის ჭურჭლის პირისა და გვერდის, ცეცხლისგან ძლიერ დაზიანებული.
საინვენტ. №№ ს-83-178, ს-83-175

19. ლეკითოსის მხარისა და კედლის ნატეხები, წითელფიგურული, შეკოწიწებული.
ზომა: მხარის D - 10 სმ
საინვენტ. №№ ს-83-109, ს-83-128, ს-83-119, ს-83-115, ს-83-108
(ფოტო 66)

20. ლეკითოსის გვერდის ფრაგმენტები, ნაწილობრივ შეკოწიწებული. ნიშანდობლივია, რომ მისი ერთი ნატეხი (საინვენტ. № ს-84-34) აღმოჩნდა საკულტო ორმოს გათხრისას.
ზომა: კეცის სისქე — 3 მმ
საინვენტ. №№ ს-83-110, ს-83-122, ს-83-114.
(ფოტო 66)

21. ლეკითოსის პირის ფრაგმენტი
ზომა: პირის D - 60 მმ
საინვენტ. № ს-83-113
(სურ. 27, ფოტო 65)

22. ლეკითოსის პირის ფრაგმენტი
ზომა: პირის D - 45 მმ
საინვენტ. № ს-83-129
(სურ. 27, ფოტო 65)

23. ლეკითოსის პირის ფრაგმენტი
ზომა: პირის D - 45 მმ
საინვენტ. № ს-83-130
(სურ. 27)

24. ამფორის პირ-ყელის ფრაგმენტი, მოვარდისფრო-ჩალისფერი, ვარდისფერკეციანი, კარგად განლექილი თიხისა.
ზომა: პირის D - 5 სმ
ყელის H - 8,5 სმ
კეცის სისქე - 1 სმ
საინვენტ. №№ს-83-124, ს-83-237
(სურ 28, ფოტო 67)

25. ამფორის პირის ფრაგმენტი, მოვარდისფრო-ჩალისფერი კარგად განლექილი თიხისა. სამკუთხაპროფილიანი პირის გვირგვინით.
ზომა: პირის D - 5 სმ
(სურ. 27)

26. ამფორა, მოვარდისფრო-ნაცრისფერი,



სურ. 27

კარგად განლექილი თიხისა, ოქროსფერი, წვრილი მინარევებით, აღდგენილი, სამკუთხაგანივკვეთიანი პირის გვირგვინით, ცილინდრული, მხარისკენ ოდნავ გაფართოებული ყელით. მკაფიოდ გამოხატული, თითქმის ჰორიზონტალური, მხარით, ძირისკენ თანაბრად შევიწროებული კორპუსით, პროფილირებული ქუსლით, ოვალურგანივკვეთიანი, თანაბრად მორკალული ორი ყურით.

ზომა: პირის D - 48 სმ
ქუსლის D - 5 სმ H - 37 სმ
ტევადობა - 800 გრ.
საინვენტ. №№ს-84-327, ს-84-305, ს-84-321, ს-84-322, ს-83-238
( სურ. 28, ფოტო 67)

27. ამფორა, ნაკლული, მოვარდისფრონაცრისფერზედაპირიანი, კარგად განლექილი თიხისა, №27-ის ანალოგიური ფორმის, შედარებით განიერი კორპუსითა და უფრო მკვეთრად პროფილირებული, დისკოსებური ქუსლით.

ზომა: კორპუსის H - 25 სმ
ტევადობა - 800 გრ.
საინვენტ. №№ ს-83-238, ს-84-305, ს-84-321, ს-84-322
(სურ. 28, ფოტო 67)

28. სარქველი, მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა, ნაკლული. ზედაპირზე ამოკაწრულია ჯვრები და დაშტრიხული სწორკუთხედები. როგორც ლეკითოსისა და ამფორის მსგავსად მისი ნაწილიც აღმოჩნდა საკულტო ორმოში.

ზომა: D - 77 მმ H - 16 მმ
საინვენტ. № ს-83-219
(სურ. 29)



სურ. 29

29. ლარნაკი, ნაცრისფერკეციანი, ნაპრიალები ზედაპირით, ნაკლული, გარეთ გადახრილი პირით. პირის გვირგვინის გარეთა მხარე შემკულია სავარცხლისებური შტამპით, დატანილი ირიბი ნაჭდევებით. ყელი დაბალია, კორპუსი - მკვეთრად ბიკონუსური. მუცლის უდ. D შემკულია წერტილოვანორნამენტიანი სარტყლით.



სურ. 28



სურ. 30

ზომა: პირის D - 9,2 სმ
მუც. D - 11,3 მმ
საინვენტ. № ს-20-84-958
(სურ. 30)

30. ლურსმნები (16 ც.) რკინისა, განსხვავე-ბული ზომისა და ფორმის, განკუთვნილი მთავარი მიცვალებულის ხის სარკოფაგისთვის.
საინვენტ. №№ ს-83-159, ს-83-156, ს-83-155
(სურ. 31)



სურ. 31

### თანმხლები პირებისა და ცხენებისთვის განკუთვნილი კამერის ინვენტარი

#### პირველი მიცვალებული

31. დიადემა ვერცხლისა, გრეხილრკალიანი. რომბისებური ფორმის ფირფიტები შუბლზე შესაკვრელი კავებით ბოლოვდება. მოჩარ-ჩოებულია ირიბი ჭდეების რიგით. ჰორიზონ-ტალური სარტყელი ფირფიტას ორ ტოლფერდა სამკუთხედად ჰყოფს. სარტყელი ორ პარალე-ლურ ხაზს შორის მოქცეული წრეების რიგია, რომლებიც ერთმანეთზე მოკლე, ირიბი ღარებითაა შეერთებული. სამკუთხედებში თითო ვარდულია მოთავსებული, რომლის შუაგულში ნახევარ-სფეროსებური ბურცობია ამოტვიფრული.
ზომა: ღეროს D - 5 მმ
ფირფიტის L-110 მმ
ფირფიტის სიგანე - 30 მმ
საინვენტ. № ს-83-171
(ფოტო 68)

32. სასაფეთქლე (წყვილი) ოქროსი. რგოლზე უძრავად დამაგრებულია ჭვირული ბურთულა, დაბოლოებული ცვარათი შედგენილი პირამიდით. რგოლი ოვალურია, გახსნილი, ბოლოებში გახვრეტილი. შემკულია ვარდულითა და ორნამენტული სარტყლით. ეს უკანასკნელი შედგენილია სადა და დაკეჭნილი მავთულით გამოყვანილი მარყუჟების რიგებით. ვარდული ათფურცლიანია, ბურთულა სფერულია. ჰორი-ზონტალური სარტყელი შემკულია ცვარათი შედგენილი პირამიდებით. დაბოლოება ჭვირული პირამიდაა, რომელიც შედგენილია ცვარათი შემკული მცირე ზომის პირამიდებით.

ერთი ეგზემპლარი შეკეთებულია. ბურთულისა და რკალის გადაბმის ადგილას შეიმჩნევა მირჩილვის კვალი. ჭვირული პირამიდა მოტეხი-ლია.
ზომა: H - 92 მმ
ბურთ. D - 30 მმ
საინვენტ. №№ ს-83-183, ს-83-184
(ფერადი ფოტო 6)

33. საყურე ოქროსი, ნახევარმთვარისებური, წყვილი. რგოლი ქვემოთკენ შემსხვილებულია და ნახევარმთვარისებური ფორმისაა. მისი გახსნილი ბოლოები გაბრტყელებული და გახვრეტილია. რგოლის ერთი მხარე შემკულია ორნამენტული სარტყლით, რომელიც მიღებულია გრეხილი და სადა მავთულის მონაცვლეობით. ვარდული სადა მავთულით შედგენილ წრეში ჩასმული ცვარაა. ნახევარმთვარისებური შემსხვილება მიღებულია ორი გამოტვიფრული ნახევრის ერთმანეთთან მირჩილვის შედეგად. მირჩილვის ადგილზე დამაგრებულია ვიწრო, სადა ფირფიტა, რომელიც შემკულია ცვარათი შედგენილი პირამიდებით. ნახევარმთვარისებური შემსხვილება რგოლს უერთდება კონუსისებური ფორმის მავთულის ხვიებით.

ზომა: H - 38 მმ
საინვენტ. №№ ს-83-187, ს-83-188
(ფერადი ფოტო 4)

34. ყელსაბამი ოქროსი. შედგენილია ვერძის თავის გამოსახულებიანი საკიდებისა და მძივებისაგან. ვერძის თავის გამოსახულება მიღებულია ორი გამოტვიფრული ფირფიტის ერთმანეთთან მირჩილვის შედეგად. მძივები სფეროსებურია. მათგან 6 ც. სადაა, 13 ც — დაღარული.
ზომა: საკიდის H - 10 მმ
საკიდის სიგანე - 6 მმ
მძივის D - 35 მმ
ყელსაბამი შედგება 27 ც. ვერძის თავის ფორმის საკიდისა და 19 ც. მძივისაგან.
საინვენტ. №ს-83–192
(ფერადი ფოტო 8)

35. სამაჯური (2ც.) ვერცხლისა, პირგახსნილი, დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან. ბოლოები ოდნავ შესქელებულია და შემკულია წრიული ღარებით.
ზომა: 1. 6,5X5,5 მმ 2. 6,3X5,3 მმ
საინვენტ. № ს-82-172
(ფოტო 69)

მეორე მიცვალებული

36. დიადემა ვერცხლისა, გრეხილრკალიანი. დაბოლოებულია ვიწრო, ბოლოებმომრგვალებული, თავშეზნექილი, ტრაპეციის ფორმის ფირფიტებით, რომლებიც შემკულია გეომეტრიული ორნამენტით. კიდეები შემოსაზღვრულია ღარებითა და ირიბი ჭდეებით. ზედა და ქვედა სარტყელი შედგენილია სამი ვერტიკალური ხაზით წარმოქმნილი უჯრედებისაგან, რომლებიც გაყოფილია დიაგონალური ხაზით. შუა ფრიზის უჯრედები კი გადაკვეთილია დიაგონალებით და წარმოქმნილი ოთხივე სამკუთხედი ჩაჩხვლეტილია.
ზომა: ღეროს D - 5 მმ
ფირფიტის L - 110 მმ
სიგანე - 30 მმ
საინვენტ. № ს-83-169
(ფოტო 70)

37. საყურეები ოქროსი. ოვალურ რგოლზე დამაგრებულია ბიკონუსური ფორმის ჭვირული ბურთულა. აგებულებითა და მხატვრული სტილით მსგავსია № 30-ისა.
ზომა: H - 48 მმ
ბურთულის D - 15 მმ
საინვენტ. №№ ს-83-181, ს-83-182
(ფერადი ფოტო 7)

38. საყურეები (წყვილი) ოქროსი, ნახევარმთვარისებური, მსგავსი № 31-ისა.
საინვენტ. №№ ს-83-189, ს-83-190

39. საკიდი ოქროსი. არწივისებური ფრინველის თავის ორი გამოსახულება მირჩილულია ძაფზე ასაგებ დაღარულ მილაკზე. არწივის თავი მიღებულია ორი გამოტვიფრული ნახევრის ერთმანეთთან მირჩილვის შედეგად.
ზომა: H - 11 მმ
სიგანე - 7 მმ
საინვენტ. № ს-83-193
(ფერადი ფოტო 7)

მესამე მიცვალებული

40. დიადემა ვერცხლისა, გრეხილრკალიანი. დაბოლოებულია მოგრძო, არასწორი ფორმის თხელი ფირფიტებით. რომელსაც შუაში კვეთს ნაძვისებური ორნამენტის ზოლი. ორივე მხარეს მას ემიჯნება ფრიზი, შემკული ირიბი ღარებით გადაბმული წრეების რიგით.
ზომა: რკალის D - 6 მმ
ფირფიტის L - 118 მმ
სიგანე - 35 მმ
საინვენტ. № ს-83-170
(ფოტო 71)

41. საყურე (1 ც.) ოქროსი, ნახევარმთვარისებური ფორმის №№31, 37-ის ანალოგიური.
საინვენტ. № ს-83-191
(ფერადი ფოტო 5)

## ცხენებისთვის განკუთვნილი ინვენტარი

ცხენი №1

42. საკერებელი ფირფიტები (6 ც.) ოქროსი. არწივის გამოსახულება გამოჭრილია ოქროს ფირფიტისაგან. ფრინველი წარმოდგენილია პროფილში, ფრთები ზეაწეულია და ნამგლისებურად მორკალული. კუდი მარაოსებურად გაშლილია, ტანი დაფარულია რკალებით, რომლებიც ბუმბულს გამოსახავენ. კუდზე, ფრთებსა და ფეხებზე სამაგრი ნახვრეტები აქვს გაკეთებული. მთელ ნიმუშზე 11 ასეთი ნახვრეტია. ორი ერთეული ნაკლულია.

ზომა: 34X39 მმ
საინვენტ. № ს-83-195
(ფერადი ფოტო 10)

აღწერილი ეგზემპლარი აღმოჩნდა პირველსა და მეორე მიცვალებულს შორის. გამომდინარე აქედან, მისი კუთვნილების განსაზღვრა პირობითია.

43. საკერებელი ფირფიტები (8 ც.) ოქროსი. მოცურავე იხვის გამოსახულება გამოჭრილია ოქროს ფირფიტისაგან. წარმოდგენილია პროფილში. ფიგურის ცალკეული დეტალები გამოტვიფრულია. ირგვლივ გარკვეული კანონზომიერებით განლაგებულია ნახვრეტები (4 ც.)
ზომა: 7X17 მმ
საინვენტ. № ს-83-196
(ფერადი ფოტო 9)

44. ეშვისებური ნივთი (4ც.) ოქროსი. მიღებულია ორი გამოტვიფრული ნახევრის ერთმანეთზე მირჩილვის შედეგად. ქვედა ნაწილი ცალ მხარეზე მოკაუჭებულია. ზედა ნაწილში ორი გამჭოლი ნახვრეტი აქვს, ქვემოთ კი სამი ირგვლივი ღარია შემოვლებული.
ზომა: L – 90 მმ
ფუძის D – 22 მმ
საინვენტ. №№ ს-83-200, ს-83-201, ს-83-202, ს-83-203
(ფოტო 72)

45. ლაგამი ბრინჯაოსი, ორნაწილედი, მშვილდისებურად მოხრილი, რომბისებური განივკვეთის საყბეურებით, ცალ მხარეს - ჩლიქისებური, ხოლო მეორე ბოლოს ცხოველის თავის სტილიზებული გამოსახულებითაა შემკული. ცხენის პირში ამოსადები ნაწილები ჩამოსხმული კოპებითაა დაფარული. ლაგამს დიდი ხნის ტარების კვალი ეტყობა. მოძრავად დაკავშირებული რგოლები გატეხილი და შედუღებულია.
ზომა: ლაგმის L–18 სმ
საყბეურის L–22,5 სმ
საინვენტ. №ს-83-145
(ფოტო 73)

46. ზარაკი ბრინჯაოსი, რკინის ენით, სამკუთხედი ყუნწით, რომელსაც ზედა ნაწილში ეტყობა შეკეთების კვალი, ცილინდრული ფორმის, გვერდშეჭრილი. ზარს შემოუყვება ვერტიკალური, რელიეფური ხაზები, ზოგ ადგილას შეიმჩნევა წიწვოვანი ორნამენტის კვალი.
ზომა: L – 11,3 სმ
საინვენტ. № ს-83-152
(ფოტო 74)

47. ფრაგმენტები ვერცხლისა, ცეცხლისა და მექანიკური ზემოქმედებისაგან ძლიერ დაზიანებული. შესაძლებელია ვივარაუდოთ ორი ჭურჭლის არსებობა. ნაწილები შედარებით თხელკედლიანია.
საინვენტ. №№ ს-83-177, ს-83-178.

### ცხენი №2

48. ეშვისებური ნივთი (2 ც.), ანალოგიური № ს-83-200-ისა.
საინვენტ. №№ ს-83-204, ს-83-205
(ფოტო 75)

49. საყბეური (2 ც.), ტახის ეშვი მოცეცეთილი წვერით. ქვედა ნაწილი ნისკარტისებურად მოკაუჭებულია. ზედა ნაწილში ორი გამჭოლი ნახვრეტია.
საინვენტ. №№ ს-83-241, ს-83-242
(ფოტო 76)

50. ლაგამი, პირველი ცხენის კუთვნილი ეგზემპლარის მსგავსი. განსხვავებით №ს-83-52 ნიმუშისგან, საყბეურის დეკორატიული დაბოლოება ნაკლები დეტალებითაა წარმოდგენილი. გადაბმის ადგილზე რგოლები გალეულია დიდი ხნით ტარებისგან.
ზომა: ლაგმის სიგრძე - 21,5 სმ
საყბეურის L – 23,5 სმ
საინვენტ. № ს-83-144
(ფოტო 77)

51. ზარაკი, პირველი ცხენის კუთვნილის ანალოგიური. წიწვოვანი ორნამენტი კარგად იკითხება.
ზომა: L – 12,3 სმ
საინვენტ. № ს-83-151
(ფოტო 78)

### ცხენი №3

52. ეშვისებური ნივთი (2 ც.), ანალოგიური № ს-83-200-ისა.
საინვენტ. №№ ს-83-206, ს-83-207
(ფოტო 79)

53. საყბეური (2ც.), ანალოგიური №ს-83-241-ისა.
საინვენტ. №№ ს-83-243 ს-83-244
(ფოტო 80)

54. ლაგამი ბრინჯაოსი, სამნაწილიანი. მრგვალგანივკვეთიანი საყბეურები ბოლოებისკენ ოდნავ შემსხვილებულია. აქვს საალვირე რგოლი შუა ნაწილთან ორივე მხარეს გაკეთებული გამჭოლი ნახვრეტით. ლაგამი ძალზე გაცვეთილია. ერთი საყბეურის შუა ნაწილს მკვეთრად ემჩნევა შეკეთების კვალი. შუა რგოლი ხმარებისგან გალეულია.
ზომა: ლაგმის L – 21 სმ
საყბეურის L – 19 სმ
საინვენტ. № ს-83-143
(ფოტო 81)

ცხენი №4

55. საშუბლე ვერცხლისა, ოდნავ ასიმეტრიული რომბისებური ფირფიტა, ზურგიდან მირჩილული ბრტყელი, ოვალური ყუნწით.
ზომა: 64X24 მმ
საინვენტ. № ს-83-173
(ფოტო 82)

56. სამკერდული ვერცხლისა, ოთხქიმიანი, ვარსკვლავისებური, ზურგიდან მირჩილული ბრტყელგანივკვეთიანი ერთი ყუნწით (მეორე აკლია).
ზომა:. სიგანე - 38 მმ
დიაგონალი - 65 მმ
საინვენტ. № ს-83-174
(ფოტო 82)

57. საყბეური ვერცხლისა, ფირფიტისგან დამზადებული დაფანჯრული დისკო, რომელსაც შიგნიდან მირჩილული აქვს ოთხკუთხედი ყუნწი თასმის გასაყრელი გამჭოლი ნახვრეტით. სრული სახით ორი ცალია შემორჩენილი
ზომა: D – 40 მმ
საინვენტ. №№ ს-83-175, ს-83-176
(ფოტო 82)

58. ლაგამი, მსგავსი №ს-83-52-ისა, ნაკლებადაა გაცვეთილი. მთლიანად დაფარულია კარგად გამოკვეთილი კოპებით.
ზომა:. ლაგმის L – 19 სმ
საყბეურის L – 16 სმ
საინვენტ. № ს-83-142
(ფოტო 83)

ცხენი № 5

59. საშუბლე, №ს-83-173-ის ანალოგიური.
საინვენტ. № ს-83-180

60. საყბეურის ფრაგმენტები, №ს-83-55 -ის ანალოგიური.
საინვენტ. №№ს-83-177, ს-83-178, ს-83-179

61. ლაგამი, მსგავსი № ს-83-142-ისა.
ზომა: ლაგმის L – 22 სმ
საყბეურის L – 16,5 სმ
საინვენტ. № ს-83-141
(ფოტო 84)

62. რგოლები ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი ღეროსგან დამზადებული, განსხვავებული ზომის.
ზომა: D - 40 მმ 55, 51, 51, 37, 32 მმ
საინვენტ. №№ს-83-147, ს-83-148, ს-83-149, ს-83-150
(ფოტო 85)

63. რგოლი ბრინჯაოსი. დამზადებულია არათანაბარი დიამეტრის ღეროსგან, ბოლოგადანასკვული.
ზომა: D- 53-55 მმ
ღეროს D- 4-6 მმ
საინვენტ. № ს-83-146
(ფოტო 85)

64. სიტულა ბრინჯაოსი, რთული ტექნიკით დამზადებული დიდი ჭურჭელი. აწყობილია თხელი ფირფიტებისგან, რომლებიც გადაბმულია მანჭვლებით. ასეთი ტექნიკით ერთმანეთთან დაკავშირებული ფურცლები ქმნიან ყელსა და ტანს. მრგვალი ძირი ცალკეა გამოჭრილი. მხარზე ერთმანეთის საპირისპიროდ მიჭედილი აქვს მასიური, მრგვალგანივკვეთიანი ღეროსგან დამზადებული ყური.
ზომა: H - 47 სმ
პირყელის H - 7,05 სმ
მუცლის D - 68 სმ
პირის D - 42 სმ
საინვენტ. №ს-83-153
(ფოტო 86)

65. ლეკითოსი ჯამისებრპირიანი, თეთრფონიანი, დაზიანებული, ფორმა – კანონიკური. ტანი მხარს ქვემოთ ოდნავ შეზნექილპროფილიანია, ქუსლი დისკოსებური. ნაძერწია ღია ნარინჯის-

ფერი თიხისგან, ცილინდრული ნაწილი დაფარულია რძისფერი ანგობით. ლაკის საფარი არათანაბარია. მხარი შემკულია ზედა მოკლე და ქვედა გრძელი სხივების ორი რიგით. ტანის წინა მხარეს ჰორიზონტალურ ზოლებად დატანილია შავფიგურული ნახატი — მხარის კიდესთან სადა, ცალფა ზოლია, შემდგომ ჭადრაკულად განლაგებული სამკუთხედების ორი რიგი; ოთხრიგა, უჯრედოვანი სარტყელი, ცალფა ზოლებით შემოსაზღვრული სუროს ტოტი და ბოლოს, სამრიგა უჯრედოვანი სარტყელი.

ზომა: შემორჩენილი H - 20,4 სმ
ტანის D მხართან - 6,8 სმ
ქუსლის D — 5 სმ
საინვენტ. № ს-83-218
(ფოტო 87)

66. ლეკითოსი ნაკლული, შეკოწიწებული, თეთრფონიანი, ფრიზული ნახატით.

ზომა: H ძირიდან მხარის წიბომდე - 14 სმ
ძირის D — 45 მმ
საინვენტ. № ს-83-121
(ფოტო 87)

ჯურხა ნადირაძე №5 სამარხს ათარიღებდა ძვ. წ. V ს-ის მესამე მეოთხედით[16]. ჩვენ მიერ №3 კომპლექსად გამოყოფილი ინვენტარის შემადგენლობაში არსებული პალმეტებით შემკული ანტიკური შავლაკიანი ჯამის თარიღის გათვალისწინებით მკვლევარი №5 სამარხს აღნიშნული პერიოდის ბოლო მონაკვეთს მიაკუთვნებდა.

მთავარი მიცვალებულისა და ცხენებიან კამერაში აღმოჩენილი ლეკითოსების თარიღი თ. სიხარულიძემ განსაზღვრა ძვ. წ. V ს-ის მეორე მეოთხედით. თაზოსური ამფორები ფ. დიუპონმა მიაკუთვნა ძვ. წ. V ს-ის პირველ ნახევარს. გამომდინარე აქედან, დასაშვებად მიგვაჩნია საბადურის გორის №5 სამარხის თარიღის ოდნავ დაძველება — ძვ. წ. V ს-ის შუა ხანის ფარგლებში.

როგორც აღინიშნა, ლეკითოსების, ამფორების, ლარნაკისა და სარქვლის ნატეხები აღმოჩნდა №5 სამარხის მთავარი მიცვალებულის კამერაში, ქვაყრილსა და საკულტო ორმოში. აღმოჩენის ადგილის მიუხედავად ეს ფრაგმენტები ერთმანეთს მიესადაგა და მოხერხდა ზოგიერთი ჭურჭლის ფორმის აღდგენა. თუ აღნიშნული ნატეხების მოხვედრა ქვაყრილში შეიძლება დაუკავშირდეს სამარხის გაძარცვის დროს, საკულტო ორმოში მათი პოვნა მიუთითებს გარკვეული რიტუალის არსებობაზე.

## სამარხი № 6

სამარხი № 6 მდებარეობდა $D_3$ სექტორის 16 კვადრატში (სურ. 32). სამარხს ჩაჭრილი ჰქონდა მეორე კულტურული ფენის ნაგებობის კედელი. ოვალური ფორმის ორმოში ჩონჩხი არ აღმოჩნდა, მხოლოდ რამდენიმე კბილის არსებობა მიუთითებდა, რომ სამარხი მცირეწლოვან ბავშვს ეკუთვნოდა. ორმოში აღმოჩნდა ოქროს საყურეები, საკიდები, კოლხური მონეტა, მძივები და თიხის ხელადა.

1. საყურე ოქროსი (2ც.), ნახევარმთვარისებური ფორმის. გამოჭრილია ერთიანი, სადა ფირფიტისაგან, დავიწროებული და გახვრეტილი ბოლოებით.

ზომა: 19X17 მმ
საინვენტ. № ს-84-263
(სურ 33, ფოტო 88)

2. საკიდი ოქროსი. სადა მძივზე დამაგრებულია (მირჩილულია) მავთულშემოვლებული ქვის, სფეროსებრი მძივი, დაბოლოებული ცვარათი შედგენილი „პირამიდით". სადა მძივი ღერძის გასწვრივ დაგრძელებულია. ქვის მძივი შეუღადაა დაღარული.

ზომა: H — 17 მმ
საინვენტ. № ს-84-257
(სურ. 33, ფოტო 88)

3. საკიდი (2ც.) ოქროსი, ნახევარმსხლისებური ფორმის. ქვედა ნაწილი ბრტყელია, ზედა ნაწილი ნახევარმსხლისებურადაა გამოტვიფრული. მირჩილვის ხაზი იკითხება (დაუდევრად ნამუშევარი). ყუნწი დაღარული მილაკია.

ზომა: H — 18 მმ
საინვენტ № ს-84-258
(სურ 33, ფოტო 88)

4. საკიდი, ოქროს გარსაკრავში მოქცეული, ელიფსურ ფორმას მიახლოებული ძვლის ნივთი. გარსაკრავი ცილინდრულ ფორმას უახლოვდება. აქვს ერთი გამჭოლი ნახვრეტი.

ზომა: H — 20 მმ
საინვენტ. № ს-84-259
(სურ. 33, ფოტო 88)

16 ჯ. ნადირაძე. საირხე..., გვ. 85.




სურ. 32

5. საკიდი (2 ც.). შემორჩენილია მხოლოდ ოქროს გარსაკრავი, მსგავსი № ს-83-259-ისა. მირჩილული აქვს მრგვალგანივკვეთიანი მავთულის ყუნწი.
ზომა: შემორჩ. H – 10 მმ
საინვენტ. № ს-84-260
(სურ.33, ფოტო 88)

6. საკიდი ოქროსი, გარსაკრავიანი. შემორჩენილია ძვლის ნივთის (კბილის?) ფრაგმენტი. ზედა ნაწილში მსხვილი მავთულისგან შედგენილი ყუნწია მირჩილული.
ზომა: H – 15 მმ
საინვენტ. № ს-84-261
(სურ. 33, ფოტო 88)

7. საკიდი, მსგავსი № ს-84-261-ისა. ყუნწი დაღარული მილაკია, კბილი(?) სრულად არ არის წარმოდგენილი.
საინვენტ № ს-84-262
(სურ. 33, ფოტო 88)

8. საკიდი, მსგავსი № ს-84-259-ისა, ნაკლული. შემორჩენილია მხოლოდ გარსაკრავი. ფორმით სწორკუთხედს უახლოვდება.
საინვენტ. № ს-84-264
(სურ. 33, ფოტო 88)

9. მონეტა, კოლხური თეთრი.
წონა - 1,9 გრ.
საინვენტ. № ს-84-256
(ფოტო 88)

10. მძივები განსხვავებული ფორმისა და ზომის:
1. თვალადი, სფერული ფორმის, მოცისფრო-ნაცრისფერი ფონით (5 ც.); 2. ცილინდრული ფორმის, ირიზებული მინის (1 ც); 3. დაბალი ცილინდრული ფორმის, გამჭვირვალე (1 ც.).
საინვენტ. № ს-84-265
(სურ. 33, ფოტო 88)

11. ფრაგმენტები რკინის სამაჯურისა, ძლიერ დაზიანებული, ნაკლული.
საინვენტ. № ს-84-255



სურ. 33



სურ. 34

12. ფრაგმენტი რკინის დანისა, დაჟანგული, ნაკლული. ზედვე მიდუღებულია სამაჯურის ფრაგმენტები.

საინვენტ. № ს-84-255

13. დოქი მოვარდისფრო-ჩალისფრად გამომწვარი, ზედაპირი სუსტადაა ნაპრიალები და სადაა, პირი გარეთ გადაზრილი, ყელი მაღალი, ტრაპეციის ფორმის, მომრგვალებული მუცლით, ძირი ბრტყელი. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირსა და მხარზე. პირისა და ყურის მიერთების ადგილი შემკულია კოპისებური დანაძერწებით.

ზომა: H – 13 სმ

პირის D – 6,5 სმ

ძირის D – 6 სმ

(სურ. 34)

№ 6 სამარხის ჩალისფერკეციანი დოქი, ტრაპეციის ფორმის ყელითა და კოპებით ყურისა და პირის მიერთების ადგილზე, ქართლის კერამიკისათვის შემუშავებული ქრონოლოგიით ძვ. წ. IV ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება.[17] სამარხში აღმოჩენილი საყურეები საბადურის გორის №8 სამარხის ფირფიტოვანი საყურეების ანალოგიურია. ეს კომპლექსი ძვ.წ. V ს-ის იმპორტით ასევე ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება (იხ. ქვემოთ). ტრაპეციის ფორმის ყელით №6 სამარხის დოქი ჰგავს საბადურის გორის № 4 სამარხის ხელადებს. მათგან განსხვავებით იგი ჩალისფრადაა გამომწვარი და შესაძლოა უფრო გვიანდელი იყოს. გამომდინარე აქედან, №6 სამარხის თარიღს ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებით ან მესამე მეოთხედით განვსაზღვრავთ.

სამარხი №7 აღმოჩნდა №8 სამარხის ქვაყრილზე დაცემულ უზარმაზარ ლოდზე. იგი დერგსამარხია, რომელიც ქრონოლოგიურად უკავშირდება საბადურის გორის III (ელინისტური ხანის) კულტურულ ფენას და ძვ. წ. III-II სს-ით თარიღდება.[18] ამდენად, მას არ განვიხილავთ საბადურის გორის ძვ.წ. V-IV სს-ის სამაროვნის შემადგენელ ნაწილად (№2 სამარხის მსგავსად).

## სამარხი №8

სამარხი №8 აღმოჩნდა $F_1$, $E_1$, $E_2$ სექტორების მიჯნაზე. ელინისტური ხანის ფენის აღების შემდეგ სტერილურ შრეში გამოიკვეთა სამარხის მართკუთხა ფორმის მატური (9X5 მ.). კლდის მხარეს მდებარე აღმოსავლეთის კედელი ნაშენები იყო ქვის მშრალი, ორმაგი წყობით. ცალკეულ მონაკვეთებზე გამოვლინდა ქვის სამი რიგი. გაცილებით ცუდად შემორჩენილი დანარჩენი კედლები ამოყვანილი იყო სამმაგი წყობით. სამარხის დამხრობის განსაზღვრა გარკვეულწილად პირობითია. დადგინდა, რომ საბადურის ბორცვზე გამოვლენილი ყველა სამარხის ნაგებობისთვის ძირითადი ორიენტირი იყო მის დასავლეთით გაშიშვლებული გორის კალთა (სურ. 35).

მატურის სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლები დაქანებული იყო დასავლეთისკენ, შესაბამისად, დასაკრძალავი ორმოს აღმოსავლეთი კედელი მოითხოვდა სპეციალურ გამაგრებას. ამიტომ, თუ მთავარი მიცვალებულისთვის განკუთვნილ ორმოს დასავლეთიდან გარს შემოუყვებოდა ორმაგი წყობით ნაგები ცოკოლი, აღმოსავლეთ მხარეს მდებარე ერთმაგი წყობით ნაშენი კედლის სიმაღლე 1,5 მ-ს აღწევდა. ამავე დროს, იგი დამატებით გამაგრებული იყო ხის მორებით, რაზეც მიუთითებს მატურის ძირთან აღმოჩენილი სოლისებრი ლურსმნების სამი ჯგუფი (სურ. 36).

№8 სამარხის დასაკრძალავი ორმო №5 სამარხის ანალოგიურია. მთავარი მიცვალებულისთვის განკუთვნილი კამერა მიწაში უფრო ღრმად იყო ჩაჭრილი. მისი ზომებია – 1,6X1,4 მ. ხის სარკოფაგი იდგა ქვის ცოკოლზე. მისი

---

17 Нариманишвили Г.К. Керамика картли .с. 59.

18 გ. მახარაძე. საბადურის გორის სტრატიგრაფია და საირხის ნაქალაქარის ისტორიის ძირითადი ეტაპები. თბ., 1991. გვ. 24.



სურ. 35

ძელები ცუდად იყო შემორჩენილი, მაგრამ კუთხეებში აღმოჩნდა სოლისებური ლურსმნები. სარკოფაგი გადაფარული იყო ქვაყრილით, რომელიც ნაწილობრივ ვრცელდებოდა ცხენებიან კამერაზეც. (სურ. 36) ეს უკანასკნელი 0,8 მ-ით უფრო მაღალია და გაცილებით უფრო დიდი (1,9X1,2 მ) აქ პრეპარირებული იყო სამი მიცვალებულის ჩონჩხი, ხუთი ცხენის, სამი ძაღლისა და ფრინველის ძვლების ნაშთები (სურ. 37).

ქვაყრილში ნაპოვნია დიდი რაოდენობით სამარხეული ინვენტარის ნაშთები, მათ შორის, მონეტები და აბჯრის ფრაგმენტები. ზოგიერთ მონეტაზე შემორჩენილი ქსოვილის კვალი მიუთითებს, რომ ისინი ქისაში ეყარა. ჩანს, ქისა, ისევე როგორც აბჯარი, სამარხის გაძარცვის დროს დაზიანდა და მიმოიფანტა სარკოფაგსა და ქვაყრილში.

ქვაყრილში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა:

1. ლურსმნები (8 ც.), რკინისა, ნაკლული, ძლიერ დაჟანგული, სწორკუთხაგანივკვეთიანი, წვერისკენ შევიწროებული, განსხვავებული ზომის. განკუთვნილია სამარხი ორმოს გასამაგრებელი კონსტრუქციისთვის.[19]

ზომა: L – 220 მმ, 220 მმ, 168 მმ, 195 მმ 200 მმ, 210 მმ, 460 მმ, 470 მმ.

საინვენტ. №№ ს-85-366, ს-85-367, ს-85-368, ს-85-369

2. საყურე ოქროსი, ნახევარმთვარისებური ფორმის. ყურსაკიდი რგოლი ოვალურია, გახსნილი, ბოლოები გახვრეტილია, შემკულია ორნამენტული სარტყლითა და ვარდულით. ნახევარმთვარისებური შემსხვილება გაფორმებულია ცვარათი შედგენილი პირამიდებითა და სამკუთხედებით. ვარდულის ფურცლები გამოყვანილია გრეხილი მავთულით. ნახევარმთვარისებური შემსხვილებისა და სარტყლის შემაერთებელი ელემენტი მავთულით შედგენილი კონუსია.

ზომა: H – 36 მმ

საინვენტ. №ს-85-407

(ფერადი ფოტო 15)



სურ. 36

19 ჯ. ნადირაძე, საირხე... ტაბ. XXIX₂.



სურ. 37

3. საკიდი ოქროსი. მიღებულია ორი გამოტვიფრული ნახევრის ერთმანეთთან მირჩილვის შედეგად. მოგვაგონებს ცხენის გამოსახულებას. თავზე მირჩილული აქვს ორი რქის მსგავსი რკალი. უკანა მხარეს დამაგრებულია კასრისებური მოყვანილობის ტანდაღარული მძივი.
ზომა: H – 16 მმ L – 19 მმ
საინვენტ. № ს-85-409
(ფერადი ფოტო 13)

4. მილაკი (5 ც.) ოქროსი. მიღებულია სადა ფირფიტის წრიულად მოკეცვის შედეგად (მირჩილვის ხაზი ცუდად იკითხება). კიდეები შემოსაზღვრულია დაკეჭნილი მავთულით.
ზომა: L – 10 მმ D – 3 მმ
(ფოტო 89)

5. სამკაული (4 ც. ერთი ნაკლულია) ოქროსი, ტოლგვერდა სამკუთხედის მოყვანილობის, შედგენილი ერთმანეთთან მირჩილული ფუყე მძივებისგან. მძივები ორნაწილიანია. ერთმანეთთან მირჩილულია ისე, რომ ნახვრეტები გადის განივად განლაგებულ მწკრივებში. სამკუთხედის თითოეული გვერდი შედგენილია ოთხი მძივისგან.
ზომა: გვერდის L – 12 მმ
საინვენტ. № ს-85-413
(ფოტო 90)

6. სამკაული (8 ც.), მსგავსი № ს-85-413-ისა (რიგით №5), შედარებით მცირე ზომის.
ზომა: გვერდის L – 10 მმ
საინვენტ. № ს-85-414
(ფოტო 90)

7. საკიდი (3 ც. 1 ნაკლულია) ოქროსი. ნახევარმთვარისებური ფორმის ფირფიტა შემოსაზღვრულია დაკეჭნილი მავთულით. ქვედა ნაწილზე მირჩილულია სადა მავთულისგან გამოყვანილი სამი ყუნწი, რომლებზეც ასევე ყუნწით შეკიდულია მრგვალი მავთულით შემოსაზღვრული ფირფიტები. ნახევარმთვარისებურ საკიდებს ზემოთ მირჩილული აქვთ სფეროსებური მძივი ან მილაკი. მძივები სფეროსებური ფორმისაა, სადა. ნახვრეტის ღერძის გასწვრივ ოდნავ დაბრტყელებული. მირჩილვის ხაზი იკითხება.
ზომა: საკიდის H – 14-17 მმ
სიგანე – 10 მმ
საინვენტ. № ს-85-408
(ფოტო 91, ფერადი ფოტო 12)

8. მძივები (23 ც.) ოქროსი, ფუყე. მიღებულია ორი ნახევარსფეროს ერთმანეთთან მირჩილვის შედეგად. ზოგიერთი მათგანი ერთმანეთთანაა მირჩილული და სამკუთხა საკიდის ფრაგმენტია.

ზომა: მძივის D – 3 მმ
საინვენტ. № ს-85-418

9. საკიდი (2 ც.) ოქროსი: 1. ელიფსური ფორმის. მიღებულია სწორკუთხა ფირფიტის მოკეცვის შედეგად. მირჩილვის ხაზი იკითხება, ზედა ნაწილზე მირჩილულია ყუნწი, ნაკლული. 2. გარსაკრავში მოქცეულია კონუსის ფორმის ძვალი (კბილი?). ყუნწი მიღებულია სწორკუთხა ფირფიტის მოკეცვის შედეგად. კიდეებს შემოუყვება დაკეჭნილი მავთული.

ზომა: 1. H – 7 მმ
სიგანე – 3 მმ
2. H – 18 მმ
ყუნწის სიგანე – 4 მმ
საინვენტ. № ს-85-417
(ფოტო 92)

10. კოლხური თეთრი (20 ც.), ჩვეულებრივი ნახევარდრაქმა. მონეტების წონა: 1,5 გრ. - 3 ც., 1,4 გრ. - 2ც., 1,8 გრ. - 3 ც., 1,4 გრ - 2 ც., 1,1 გრ. - 1 ც., 1,7 გრ - 2 ც., 0,7 გრ – 1 ც., 1,6 გრ-1ც., 1,85 გრ. - 1 ც.
საინვენტ. № ს-85-397
(ფოტო 94)

11. აბჯრის ფრაგმენტები (დიდი რაოდენობით) რკინისა, ძლიერ დაჟანგული და დაზიანებული. შედგენილია მოგრძო ოთხკუთხედის ფორმის ფირფიტებისგან. ერთ მხარეს კუთხეები მომრგვალებულია. ერთმანეთზე გადასული ფირფიტები წარმოქმნიან ჰორიზონტალურ რიგებს. ფირფიტის სწორკუთხა მხარეს სამი ნახვრეტია, ხოლო მომრგვალებულ ნაწილში – ერთი.

ფირფიტები დამაგრებულია ტყავის საფუძველზე. ცალკეულ ფრაგმენტებზე ტყავი გადმოკეციალია ფირფიტების ჰორიზონტალურ რიგზე და მასიური კანტივით გასდევს მთელ სიგრძეზე. ისინი აბჯრის დაბოლოების ნაწილი უნდა იყოს. აბჯრის ნაწილებზე შეიმჩნევა წმინდა ქსოვილი და მცენარეული ღეროების ანაბეჭდები. აქა-იქ ჩაჭედილია ოქროს მძივები.

ზომა: ფირფიტის L – 38 მმ
სიგანე – 15 მმ
საინვენტ. № ს-85-382
(სურ. 38, ფოტო 97)

12. ისრისპირი (3 ც.) ბრინჯაოსი, სკვითური ტიპის, სამფრთიანი, მასრიანი.
საინვენტ. № ს-85-424
(სურ. 43, ფოტო 93)



სურ. 38

მთავარი მიცვალებულისთვის განკუთვნილი ხის სარკოფაგი დაჭედილი იყო სოლისებრი და მუხლისებრი რკინის ლურსმნებით (სურ. 39). ისინი ძირითადად კონცენტრირებული იყო სამარხის კუთხეებში, თუმცა თითო ლურსმანია მათ შორის არსებულ შუალედებშიც. მიცვალებულის ძვლები ძალზე ცუდად იყო შემორჩენილი. იგი უნდა წოლილიყო თავით აღმოსავლეთისაკენ, ნახევრად მოხრილ მდგომარეობაში. სარკოფაგის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში იდგა ბრინჯაოს სიტულა და ლეკითოსები, ხოლო ადგილობრივი წარმოების ჩაფები მოთავსებული იყო ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.



სურ. 39

მთავარი მიცვალებულის სარკოფაგში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა:

13. საყურე ოქროსი, უძრავბურთულიანი. საყურე რგოლზე უძრავადაა დამაგრებული პირამიდით დაბოლოებული ბურთულა. რგოლი შემკულია ვარდულითა და ორნამენტული სარტყლით. ვარდულის ფურცლები გამოყვანილია დაკეჭნილი მავთულით. შუაგული შედგენილია სადა და დაკეჭნილი მავთულის წრეების მონაცვლეობით. ცენტრში დასმულია ცვარა, სარტყელი გაფორმებულია ცვარათი შედგენილი სამკუთხედების რიგებით.

შვეულად მირჩილული ბურთულა სფეროსებურია. ეკვატორზე შემოუყვება ცვარათი შედგენილი პირამიდების სარტყელი, ხოლო მის ორივე მხარეს გამოყვანილია ცვარათი შედგენილი სამკუთხედები. ასეთივე სამკუთხედებია ბურთულის თავსა და ბოლოში.

ზომა: H – 60 მმ
ბურთულა D – 14 მმ
ვარდულის D – 9 მმ
საინვენტ. № ს-85-406
(ფერადი ფოტო 14)

14. სამაჯური ოქროსი, ზურგშეზნექილი. დაბოლოებულია ვერძის თავის გამოსახულებით. ღერო სადაა, მრგვალგანივკვეთიანი. ვერძის თავთან სამი ტანდაღარული, მძივისებური შემსხვილებაა.
ზომა: უდ. D – 73 მმ
ღეროს D – 5 მმ
(ფერადი ფოტო 18)

15. მილაკი (2 ც.) ოქროსი. ერთ მხარეს დაბოლოებულია მძივისებრი შემსხვილებით. შემკულია ცვარათი გამოყვანილი ტეხილი ხაზების ოთხი რიგით, ხოლო საპირისპირო კიდეები შემოსაზღვრულია სადა მავთულით, რომელთა გარეთ გამოზიდულია ცვარათი გამოყვანილი სამკუთხედები.
ზომა: 1. მილაკის L – 25 მმ
2. მილაკის L – 22 მმ
ღეროს D – 6 მმ
საინვენტ. № ს-85-410
(ფოტო 95, ფერადი ფოტო 16)

16. ნივთი (2 ც.) ძვლისა, მრგვალი, გამჭოლი ნახვრეტის მქონე ფირფიტა. აღმოჩნდა № ს-85-410-ის ნივთთან ერთად.
ზომა: ფირფიტის D – 27 მმ
ნახვრეტის D - 4 მმ
საინვენტ. № ს-85-411
(ფოტო 96)

17. საკიდი (2 ც.), ანალოგიური № ს-85-413-ისა (№5).
საინვენტ. № ს-85-413
(ფოტო 90)

18. საკიდი (7 ც.), ანალოგიური № ს-85-414-ისა (№6).
საინვენტ. № ს-85-414
(ფოტო 90)

19. საკიდი (3 ც.), ანალოგიური № ს-85-408-ისა (№7).
საინვენტ. № ს-85-408
(ფოტო 91)

20. მძივები (2 ც.) ოქროსი, კასრისებური, სადა, გამოტვიფრულია ერთიანი ფირფიტისგან, ფართო ნახვრეტით, რომელსაც შემოუყვება სადა მავთული.
ზომა: H – 7 მმ
უდ D – 9 მმ
ნახვრეტის D – 5 მმ
საინვენტ. № ს-85-416

21. მძივები (19 ც.), ანალოგიური № ს-85-418-ისა (№8)
საინვენტ. № ს-85-418

22. საყურე (2 ც.) დაბალი ხარისხის ოქროსი, ნახევარმთვარისებრი ფორმის. გამოჭრილია თხელი, სადა ფირფიტისაგან. ბოლოები დავიწროებულია და გახვრეტილი.
ზომა: 22X27 მმ
საინვენტ. № ს-85-415
(ფოტო 98)

23. სამაჯური ვერცხლისა. დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროსგან, შესქელებული ბოლოებით, რომლებზეც შეიმჩნევა კონცენტრული ღარების კვალი.
ზომა: 55X67 მმ
საინვენტ. № ს-85-396
(სურ. 40)

24. ბეჭედი ვერცხლისა, ფარაკიანი. მრგვალგანივკვეთიანი რკალი თანაბარი სისქისაა და უშუალოდ ფარაკზე გადადის. ფარაკი ოვალურია. ბოლოებისკენ წაწვეტებულ ზედაპირზე გამოხატულია დიდყურა ცხოველი, რომელიც შეიძლება შველი იყოს. გამოსახულებას წერტილოვანი



სურ. 40

ჩარჩო შემოუყვება.
საინვენტ. № ს-85-419
(სურ. 41)

25. ბეჭედი ბრინჯაოსი, ფარაკიანი. ბეჭდის რკალი თანაბარი სისქისაა, მხოლოდ ფარაკთანაა ოდნავ შემსხვილებული. ფარაკი ოვალურია. ბრტყელ ზედაპირზე გამოსახულია გრიფონი.
საინვენტ. № ს-85-420
(სურ. 41)



სურ. 41

26. ნივთი ვერცხლისა, გაურკვეველი დანიშნულების სწორკუთხაგანივკვეთიანი ღეროთი.
საინვენტ. № ს-85-422

27. კოლხური თეთრი (14 ც.), ჩვეულებრივი ნახევარდრაქმა. წონა: 1,5 გრ.-2ც., 0,8 გრ.-2ც., 0,8 გრ.-2ც., 1,6 გრ.-1 ც., 1,8 გრ.-1 ც., 1.4 გრ.-3 ც., 1,9 გრ.-1 ც., 1,1 გრ.-1 ც., 1,25 გრ.-1 ც.
საინვენტ. № ს-85-397
(ფოტო 94)

28. ფრაგმენტები აბჯრისა, ანალოგიური № ს-85-382-ისა (№ 11).
(სურ. 38, ფოტო 97)

29. ნატეხები რკინისა, ძლიერ დაჟანგული, ორი მასრიანი შუბისპირის ფრაგმენტია. შემორჩენილია ხის ძელის ნაშთები.
საინვენტ. №ს-85-378
(სურ. 42, ფოტო 94)

30. ისრისპირი (2 ც.), მასრიანი, სკვითური ტიპისა.
საინვენტ. № ს-85-391
(სურ. 43, ფოტო 93)

31. ნივთი ბრინჯაოსი, კონუსის ფორმის, პატინით დაფარული, მიღებული სამკუთხა ფირფიტის მოკეცვის შედეგად.



სურ. 42

ზომა: H – 13 მმ
საინვენტ. № ს-85-423
(სურ. 43)

32. ნივთი ბრინჯაოსი, გაურკვეველი დანიშნულების, რკალისებური. დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროსგან.
ზომა: სიგანე – 21 მმ
H – 15 მმ
საინვენტ. № ს-85-422
(სურ. 43)



სურ. 43

33. ფირფიტა ძვლისა (გატეხილი), ნაკლული, ბრტყელი, სწორკუთხა. შემკულია დაუდევრად ამოკაწრული ორნამენტით, ერთ ბოლოში მრგვალი ნახვრეტით, შესაძლებელია დანის ტარის ნაწილია.
ზომა: 55X10 მმ
საინვენტ. № ს-85-392
(სურ. 44)

34. სამაჯური (4 ც.) რკინისა, ერთმანეთთან შედუღებული, ნაკლული. ზურგზე შეიმჩნევა კოპები, რომლებიც შესაძლებელია კოროზიის შედეგი იყოს.
საინვენტ. № ს-85-380
(ფოტო 99)



სურ. 44

35. ღერო ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი, დაფარული პატინით.
ზომა: L – 12,3 სმ
საინვენტ. ს-83-390
(სურ. 44)

36. სიტულა ბრინჯაოსი, ავი პატინით დაფარული, ძლიერ დაზიანებული. შემორჩენილია დიდი რაოდენობით ფრაგმენტები. ფორმა მიღებულია თხელი, ოთხკუთხა ფირფიტების ერთმანეთთან გადაბმის შედეგად. გამოყენებულია საკმაოდ დიდი ზომის მანჭვლები (D – 6 მმ). პირ-ყელი სწორხაზოვანპროფილიანი, ორმაგი. მხარს კუთხით უერთდება. ჭურჭლის ორივე მხარეს დამაგრებულია ნახევარწრიულგანივკვეთიანი ღეროსგან დამზადებული ორი ყური, რომლის ზედა სიბრტყე დაფარულია რელიეფური, წნული ორნამენტით.
საინვენტ. №ს-85-382
(ფოტო 100)

37. თასი ბრინჯაოსი, ომფალოსიანი, დაზიანებული. შეიმჩნევა შეკეთების კვალი.
ზომა: პირი D – 23, 4 სმ
H – 4,2 სმ
საინვენტ. № ს-82-382
(სურ. 45)


სურ. 45

38. ლეკითოსი ნაკლული, არიბალისებური. ჭურჭლის ზედაპირი ზეთისხილის ფერის, რბილად მბზინავი ლაკითაა დაფარული. მხარისა და ყურის ქვემოთ ტანზე შემორჩენილია თიხის ფერისვე ირგვლივი სარტყელი.
ზომა: პირის D – 35 მმ
შემორჩ H – 55 მმ
საინვენტ. № ს-85-365
(სურ. 46, ფოტო 101)

39. ლეკითოსის ყური. დაფარულია შავი ლაკით. ზემოთ განხილული ლეკითოსის აღდგენის შემდეგ გაირკვა, რომ იგი სხვა ეგზემპლარის კუთვნილი უნდა იყოს.
ზომა: ყურის H – 45 მმ
საინვენტ. № ს-85-365
(ფოტო 101)

40. ჩაფი ნაცრისფერკეციანი, თიხა შეიცავს ქარსის მსხვილ მინარევებს. ჩაფს გარეთ გადაკეცილი პირი და შემსხვილებული ქობა აქვს. ყელი სწორპროფილიანია, ქვემოთკენ დავიწროებული. იგი მთლიანად დაფარულია ფართო, კონცენტრული ღარებით. ამას გარდა, ყელზე შტამპით დატანილი აქვს ჯვრისებურად განლაგებული წრესახოვანი ორნამენტი. ყელი მართი კუთხით უერთდება მხრებს. ჭურჭელს პირს ქვემოთ მიძერწილი აქვს წყვილი, ოვალურგანივკვეთიანი, თანაბრად მორკალული ყური.
ზომა: პირის D – 15,5 სმ
ყელის H – 9,5 სმ



სურ. 46



სურ. 47

კეცის სისქე – 8 მმ
საინვენტ. № ს-85-361
(ნატეხების ძველი № 364)
(სურ. 47, ფოტო 102)

41. ჩაფი, აღწერილის ანალოგიური როგორც ფორმით, ასევე შემკულობით. მიუხედავად იმისა, რომ ყურები შემორჩენილი არ არის, ყელზე შემორჩენილი ანაბეჭდების მიხედვით ისინი მიძერწილი უნდა ყოფილიყო პირს ქვემოთ.
ზომა: ყელის H – 9,5 სმ
კეცის სისქე – 11 მმ
საინვენტ. № ს-85-361
(ნატეხების ძველი № 361)
(სურ. 48, ფოტო 103)

42. ჩაფი ნაცრისფერკეციანი, მოყავისფრო ზედაპირით, რომელიც გარედან და შიგნიდან დაფარულია მუქი ლაქებით. თიხა შეიცავს ქარსის მსხვილ მინარევებს. ჩაფს გარეთ გადახრილი თხელი პირი და კონცენტრული ღარებით დაფარული ცილინდრული ყელი აქვს. ოვალურგანივკვეთიანი, თანაბრად მორკალული წყვილი ყური მიძერწილია ყელსა და ფართოდ გაშლილ მხრებზე. კორპუსი წაგრძელებული ფორმისაა, ოდნავ წელში გამოყვანილი, ძირი ბრტყელია.
ზომა: პირის D – 14,3 სმ
ყელის H – 8 სმ
კეცის სისქე – 8 მმ



სურ. 48

საინვენტ. № ს-85-362
(ნატეხების ძველი № 363)
(სურ. 49, ფოტო 104)

43. ჩაფი, ნაცრისფერკეციანი, თიხა ქარსმინარევიანია, მარცვლოვანი. ჩაფი პირგადაშლილია, პირს ქვემოთ შემოუყვება ფართო, კონცენტრული ღარი. შეზნექილპროფილიანი ყელი დაფარულია ჰორიზონტალურად ნაკაწრი შტრიხებით. ყელისა და მხარის შეერთების ადგილი შემკულია ირიბი ნაჭდევების რიგით. ოვალურგანივკვეთიანი, თანაბრად მორკალული ყურები მიძერწილი აქვს ყელსა და მხარზე.
ზომა: ყელის H – 8,5 სმ
კეცის სისქე – 7 მმ
საინვენტ. № ს-85-362
(სურ. 50, ფოტო 105)



სურ. 49

44. ჩაფი, ნაცრისფერკეციანი, მოყავისფრო ზედაპირით. თიხა ქარსმინარევიანია, მარცვლოვანი. ჩაფს გარეთ გადახრილი, ოდნავ შემსხვილებული პირი და გოფრირებული, შეზნექილპროფილიანი მაღალი ყელი აქვს. ყურების აღმოჩენა ვერ მოხერხდა.
ზომა: ყელის H – 10 სმ
კეცის სისქე H – 5 მმ
საინვენტ. № ს-85-363
(სურ. 51, ფოტო 106)

45. დოქი დიდი ზომისა, ნაკლული. თიხა ქარსმინარევიანია, ზედაპირი მონაცრისფრო.



სურ. 50

ჭურჭელს გარეთ გადახრილი პირი, შეზნექილ-პროფილიანი ყელი, პირს ქვემოთ მიძერწილი ოვალურგანივკვეთიანი ყური აქვს.
ზომა: კეცის სისქე – 7 მმ
საინვენტ. № ს-85-363
(ნატეხების ძველი №364)
(სურ. 52, ფოტო 107)

46. ჯამი, ნაკლული, რუხკეციანი, მოყავისფრო ზედაპირით. თიხა წვრილმარცვლოვანია, პირმოყრილი. მხარი თანდათან გადადის ბრტყელ ძირში.
ზომა: პირის D – 11 სმ
H – 2 სმ
კეცის სისქე – 10 მმ
საინვენტ. № ს-85-364
(სურ. 48)

47. ნივთის ფრაგმენტი რკინისა, გაურკვეველი დანიშნულების. ცალ მხარეს ბრტყელი ფირფიტაა ხის ნაშთით, ხოლო მეორე მხარეს მიდუღებულია მასრისებური ფორმის ფრაგმენტი.
საინვენტ. № ს-85-377
(სურ. 39)



სურ. 51

48. ლურსმნები რკინისა, ძლიერ დაჟანგული, ოთხკუთხაგანივკვეთიანი, წვერისკენ შევიწროებული, სხვადასხვა ზომის.
ზომა: შემორჩ. L - 390 მმ, 200 მმ, 450 მმ,175 მმ, 348 მმ, 90 მმ.
საინვენტ. №№ ს-85-373, ს-85-374

49. ლურსმნები (5 ც.) რკინისა, ძლიერ დაჟანგული, მუხლისებური, თავჩახვეული, ნაკლული.
(სურ. 39)

50. ლურსმნის ფრაგმენტები რკინისა, დიდი ზომის, ნაკლული. აღმოჩნდა სარკოფაგის კუთხეებში ხის ძელების ანაბეჭდებთან ერთად. განეკუთვნება მუხლისებრი ლურსმნების ტიპს.
საინვენტ. № ს-84-375
(სურ. 39)



სურ. 52

თანმხლები პირებისა და ცხენებისთვის განკუთვნილი სათავსოს ინვენტარი:

პირველი მიცვალებულის კუთვნილი ინვენტარი:

51. საყურეები (2 ც.) დაბალი ხარისხის ოქროსი, ნახევარმთვარისებრი ფორმის, გამოჭრილი თხელი, სადა ფირფიტისაგან. ბოლოები დავიწროებულია და გახვრეტილი. მოგვაგონებენ სტილიზებული გველის თავის გამოსახულებას.
საინვენტ. № ს-85-415
(ფოტო 98)

52. გვერგვი ვერცხლისა. მიღებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროს წრიულად მოკეცვის შედეგად. იკეტება მარყუჟით. ღერო ბოლოებისკენ შესქელებულია და შემკულია მძივისებრი შესქელებით, კონცენტრული ღარებითა და ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეს მიმართული ნაჭდევებით.
ზომა: საშ. D – 135 სმ
ღეროს უმც. D – 3 მმ

ღეროს უდ. D – 6 მმ
საინვენტ. №ს-85-393
(ფოტო 108)

მეორე მიცვალებულის კუთვნილი ინვენტარი

53. საყურე (2 ც.), № ს-85-415 (№44)–ის ანალოგიური.
(ფოტო 98)

54. გვერგვი, № ს-85-393 (№45)-ის ანალოგიური.
(ფოტო 108)

მესამე მიცვალებულის კუთვნილი ნივთები

55. საყურეები, № ს-85-415 (№44)-ის ანალოგიური.
(ფოტო 98)

56. გვერგვი, № ს-85-393 (№45)-ის ანალოგიური.
(ფოტო 108)

57. ფირფიტა ოქროსი, სწორკუთხედი. სიგრძეზე მიუყვება ნაჭდევი ნახევარსფეროებით შედგენილი სამკუთხედების რიგი. სიგანეზე ორივე მხარეს ოთხ-ოთხი ნახვრეტია, ერთი ჩამოტეხილია.
ზომა: 33X22 მმ
საინვენტ. № ს-85-404
(ფოტო 109)

ცენტრალური ცხენის კუთვნილი ნივთები

58. ბალთა (2 ც.) ოქროსი, ცხენის აღკაზმულობის ნაწილი, დაბალი ცილინდრი, რომლის ერთ მხარეზე ამოტვიფრულია ფრთოსანი, ფანტასტიკური არსება. ერთზე გამოსახულება მოცემულია მარჯვენა, ხოლო მეორეზე - მარცხენა პროფილში.
ზომა: 1. H – 9მმ, D – 22 მმ
2. H – 8მმ, D – 19 მმ
საინვენტ. № ს-85-402
(ფერადი ფოტო 17)

59. ბალთა (საშუბლე) ოქროსი, ცხენის აღკაზმულობის ნაწილი, მრგვალი. შემკულია ფანტასტიკური არსების გამოსახულებით. უკანა ნაწილზე მირჩილულია ყუნწი, მიღებული ფართო ფირფიტის წრიულად მოკეცვის შედეგად.
ზომა: D – 19 მმ
(ფერადი ფოტო 17)

60 მილაკი (19 ც.) ოქროსი. მიღებულია სწორკუთხა ფირფიტის წრიულად მოკეცვის შედეგად. წიბოების შეერთების ადგილი უმეტეს შემთხვევაში იკითხება.
ზომა: უმც. L – 13 მმ
უდ. L – 16 მმ D – 8 მმ
საინვენტ. №ს-85-400
(ფოტო 110)

61. მილაკი (25ც.), მსგავსი №ს-85-400 (№53)-ისა, შედარებით მცირე ზომის.
ზომა: L–8-10მმ D – 5 მმ
საინვენტ. №ს-85-401
(ფოტო 111)

62. ბალთა (2 ც.) ოქროსი, ღილისებური მოყვანილობის. დამზადებულია ოქროს ფირფიტისაგან. ზედაპირი გაპრიალებული აქვს. უკანა მხარიდან ბალთებზე მირჩილული აქვს ოთხკუთხა ფორმის ბრინჯაოს ყუნწი თასმების გასაყრელი ორი გამჭოლი ნახვრეტით.
ზომა: D – 33 მმ
საინვენტ. №№ ს-85-398, ს-85-399
(ფოტო 110)

დანარჩენ ცხენებთან აღმოჩენილი ნივთები:

63. ზარაკი (15 ც.) ბრინჯაოსი, ავი პატინით დაფარული, მცირე ზომის. თავზე მირჩილულია მრგვალგანივკვეთიანი, მომრგვალებული ფორმის ყუნწი. ზოგიერთს შენარჩუნებული აქვს რკინის ენა.
ზომა: H – 15 მმ D – 20 მმ
საინვენტ. №№ს-85-388, ს-85-389
(ფოტო 112)

64. რგოლი (2 ც.) ბრინჯაოსი, პატინით დაფარული. დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან.
ზომა: D – 74 მმ
ღეროს D – 7 მმ
(სურ. 53)

65. ცილინდრი (24 ც.) ბრინჯაოსი, მიღებულია სწორკუთხა ფირფიტის წრიულად მოკეცვის შედეგად. ბოლოები ერთმანეთს მჭიდროდ არ ეხება, შუა წელთან ოდნავ ფართოვდება, რაც კასრისებურ ფორმას აძლევს. ცხენებთან აღმოჩნდა რვა-რვა ცალი, სამი – ძაღლის ჩონჩხთან.



სურ. 53

ზომა: H – 12-13 მმ
საინვენტ. №№ ს-85-384, ს-85-385, ს-85-386
(ფოტო 112)

66. სიტულა ბრინჯაოსი, ძლიერ დაზიანებული. ფორმის დადგენა შეუძლებელია. გარეგნული ნიშნებით მსგავსია მეხუთე სამარხის სიტულისა. მიღებულია დიდი ზომის ფირფიტების გადაბმის შედეგად მირჩილვის გარეშე. სწორხაზოვანპროფილიანი ორმაგი პირი კუთხით უერთდება ტანს. ორი წყვილი, მრგვალგანივკვეთიანი ყური მანჭვლების საშუალებით უერთდება მხარს.
ხუფი ბრტყელი, წრიული მოხაზულობის, კიდეებგადაკეცილი. მიღებულია ორი ნახევარწრიული ფირფიტის მანჭვლებით გადაბმის საშუალებით. ცენტრში დამაგრებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროსგან დამზადებული სახელური.
ზომა: ხუფის D – 390 მმ
საინვენტ. № ს-83-383/1
(ფოტო 114)

67. სადგარი რკინისა, განკუთვნილი № ს-85-3834 სიტულისთვის. მიღებულია ოთხკუთხაგანივკვეთიანი ღეროს წრიულად მოხრის შედეგად, დაზიანებული, ნაკლული.
საინვენტ. № ს-83-383/2
(ფოტო 113)

68. რგოლები რკინისა, ცხენის აღკაზმულობის ნაწილი, დაჟანგული, დაზიანებული, ნაკლული. დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროსგან.
ზომა: რგოლის D – 66 მმ
ღეროს D – 8 მმ
საინვენტ. №№ ს-85-370, ს-85-371
(სურ. 54)

საირხის №8 სამარხს ამავე სამაროვნის №5 და ვანის №12 სამარხებთან აერთიანებს შემდეგი ნიშნები:
1. მასშტაბები (როგორც წესი, არანაკლებ ხუთი ცხენისა)
2. თანმხლები პირების რაოდენობა (არანაკლებ სამისა, ვანში – შვიდი)
3. თანმხლები პირები ყოველთვის დაკრძალული არიან მთავარი მიცვალებულის სარკოფაგის გარეთ, ცხენებიან კამერაში.

სამწუხაროდ, სამარხის მთავარი კამერა გაძარცული აღმოჩნდა. ძვლოვანი ნაშთები გაფანტულია და მიცვალებულის დაკრძალვის პოზის დადგენა შეუძლებელია. ძვლოვანი მასალა შეისწავლა მ. აბდუშელიშვილმა. დადგინდა ოთხი ინდივიდის (ქალები) ნაშთის არსებობა (პირველი ინდივიდის ასაკია 40-50 წ. იგი მთავარი მიცვალებულია. მეორეა 8-12 წლის ბავშვი, მესამე – 25-35 წლის ქალი, მეოთხე – 25-30 წ.)მათგან ცხენებიან კამერაში პრეპარირებული იყო სამი თავის ქალა სრულიად იდენტური სამკაულით (გვერგი, საყურეები). ქვაყრილში აღმოჩენილი სამკაულების ნაწილის (ოქროს სასაფეთქლე, საყურე, სამაჯური) კუთვნილება მთავარი მიცვალებულისათვის ეჭვს არ უნდა იწვევდეს. მთავარი მიცვალებულის კამერაში დამოწმებულია მდარე ხარისხის ოქროსგან დამზადებული წყვილი საყურე, თანმხლებ პირთა საყურეების ანალოგიური, რაც შესაძლებელია მიუთითებდეს, მთავარ კამერაში კიდევ ერთი ინდივიდის არსებობაზე. ამდენად, ძვლოვანი მასალის დეტალურმა შესწავლამ ვერ დაადგინა ამ ტიპის სამარხის სარკოფაგში თანმხლები პირის დაკრძალვის ფაქტი.
მთავარი მიცვალებულის კამერაში აღმოჩენილი



სურ. 54

ლეკითოსების ფრაგმენტები თ. სიხარულიძის მიერ დათარიღებულია ძვ. წ. V-ს-ის ბოლო მეოთხედით.

ადგილობრივ კერამიკაში არ არის წარმოდგენილი ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრისთვის დამახასიათებელი ჩალისფრად ან მოწითალოდ გამომწვარი ჭურჭელი. ყელდაღარულ, ორყურა ჩაფებს არქაული იერი აქვთ და კოლხურ ტრადიციებს ინარჩუნებენ.

მოძრაველემენტებიანი საკიდები ვანის სამარხეული კომპლექსების ინვენტარის მიხედვით თავს იჩენს ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევარში[20].

საირხეში მოძრავი ელემენტებით შემკული საკიდები აღმოჩენილია ძვ.წ. V საუკუნის შუა წლებით დათარიღებული №5 სამარხში (იხ. ზემოთ).

აქედან გამომდინარე, №8 სამარხის თარიღს განვსაზღვრავთ ძვ.წ. IV საუკუნის პირველი ნახევრით.

## სამარხი №9

სამარხი №9 (F სექ.) საგანგებოდ ჩაშენებული იყო №8 სამარხის მატურის ჩრდილოეთ კედელში. მართკუთხედის ფორმის დასაკრძალავი მოედნის ზომებია: 1,3X0,7 მ (სურ. 55). სამარხის კედლები ამოშენებული იყო თეთრი ქვის უწესო წყობით. სამარხი №9 0,2მ. სისქის სტერილური შრით იყო გამიჯნული №8 სამარხის ცხენების ძვლოვანი ნაშთისაგან. ჩონჩხი



სურ. 55

კარგად იყო დაცული, ესვენა მარცხენა გვერდზე (სურ 56), მოკრუნჩხულად, თავით აღმოსავლეთისაკენ. მიცვალებულის თავთან იდგა თიხის დოქი და კოჭობი.




სურ. 56

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკიდი ოქროსი, ნახევარმთვარისებური. გამოჭრილია სადა ფირფიტისაგან. ბოლოები მოკაუჭებულია, ზემოთ მირჩილულია სადა, ვიწრო ფირფიტის მრგვალი ყუნწი.

ზომა 11X13 მმ
საინვენტ. №ს-85-432
(ფოტო 115)

2. საკიდი ოქროსი. შედგენილია დაკეჭნილი მავთულით შემოსაზღვრული ნახევარსფეროსაგან, რომელზეც ყუნწების საშუალებით შეკიდულია ოთხკუთხედი.

ზომა: H – 20 მმ D – 6 მმ
საინვენტ. №ს-85-433
(ფოტო 115)

3. მძივები (103 ც.) ოქროსი, ფუყე. შედგენილია ორი ნახევარსფეროს ერთმანეთთან მირჩილვის შედეგად. ღერძის გასწვრივ ოდნავ დაბრტყელებულია.

ზომა D - 4 მმ
საინვენტ. №ს-85-431
(ფოტო 115)

4. ილარი ბრინჯაოსი, რომლის ბოლო კოვზისებურადაა დაბოლოებული, ხოლო თავი შემკულია ზურგშებრტყელებული, შეტყუპებული ფრინველების სტილიზებული გამოსახულებით. ფრინველის ტანი ექვსი ნახვრეტითაა დაფანჯრული.

ზომა: H - 56 მმ
სიგანე –13 მმ
საინვენტ. №ს-85-428
(სურ. 57)

[20] ლ. ჭყონია, ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან. ვანი. VI., თბ., 1972. გვ. 70



სურ. 57

5. ფირფიტა ბრინჯაოსი, მართკუთხედი ფორმის, გვერდებშეზნექილი. ზედაპირი სამ რიგად განლაგებული ოცდაათი ნახვრეტითაა დაფანჯრული. ტრაპეციის მოყვანილობის საკიდი ყუნწიც გახვრეტილია.
ზომა: H-33 მმ
სიგანე – 17 მმ
საინვენტ. №ს-894-427
(სურ. 57)

6. მშვილდსაკინძი ბრინჯაოსი, ნაკლული. მშვილდი შემსხვილებული, მრგვალგანივკვეთიანი ღეროა, რომლის ერთი ბოლო გადატეხილი და მიდუღებულია კოროზირებულ რკინის ფრაგმენტთან. მშვილდი შემკულია კონცენტრული ღარებით.
ზომა: H - 14 მმ
სიგანე – 20 მმ
საინვენტ. №ს-85-429
(სურ. 57)

7. მძივები –
1. თვალადი, მონაცრისფრო, გამჭოლი, ფართო ნახვრეტით (2ც.).
2. სარდიონის, მილისებრი ფორმის (1ც.).
საინვენტ. №ს-85-430
(სურ. 57)

8. ხელადა რუხზედაპირიანი, ზედაპირნაპრიალები, პირგადაშლილი, დაბალი, ვიწრო ყელით, მსხლისებური კორპუსითა და ბრტყელი ძირით. თანაბრად მორკალული, მრგვალგანივკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს პირსა და მხარზე.
ზომა: H - 15 მმ
პირის D – 5,5 მმ
ძირის D – 7,5 მმ
საინვენტ. №ს-85-425
(სურ. 58)

9. კოჭობი, მოვარდისფროდ გამომწვარი, ზედაპირნაპრიალები, წითლად ანგობირებული. კოჭობს გარეთ გადახრილი პირი, დაბალი ყელი, თანაბრად მომრგვალებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. მაღალგანივკვეთიანი, ზემოდან დაშვებული, ყური მიძერწილია პირის კიდესა და მუცელზე.
ზომა: H - 8,5 სმ
პირის D - 7 სმ
ძირის D - 5 სმ
საინვენტ. №ს-85-426
(სურ. 58)



სურ. 58

№9 სამარხი საგანგებოდ იყო ჩაშენებული №8 სამარხის მატურში. სტრატიგრაფიული მონაცემებიდან გამომდინარე იგი არ შეიძლება ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევარზე ადრეული იყოს. ჯურხა ნადირაძე კომპლექსს ძვ.წ. IV საუკუნის ბოლოთი ათარიღებდა.[21] სამარხში აღმოჩენილი წითელკეციანი ხელადა და წითლად ანგობირებული კოჭობი ძალზე ახლოს დგას №1 სამარხის დოქებთან, რომლებიც, თავის მხრივ, მსგავსებას იჩენენ სამადლოს ტიპის კერამიკასთან. როგორც ჩანს, სამარხი №9 ქრონოლოგიურად მცირედ წინ უნდა უსწრებდეს №1 სამარხს.

## სამარხი №10

№10 სამარხი აღმოჩნდა $E_2D_2$ სექტორში, მიწის ზედაპირიდან 6 მ სიღრმეზე, ორი ყორით გამაგრებულ ტერასაზე. მათი სიმაღლე ცალკეულ მონაკვეთებში 1 მ-ს აღწევდა (ფოტო 116). ქვები დალაგებული იყო რიგების დაცვითა და ერთმაგი წყობით თიხის ხსნარზე. ნაპრალები მათ შორის ამოვსებული აღმოჩნდა წვრილი ქვებით. ამავე ტექნიკითაა ნაშენი ქვის ორმაგი წყობით ამოყვანილი, სამარხის სამხრეთით გამოვლენილი,

[21] ჯ. ნადირაძე. საირხე, საქართველოს... გვ. 64.

სურ. 59



კედელი, რომელიც უერთდება ერთი მეტრის სიმაღლეზე შემორჩენილ დასავლეთის ყორეს (სურ. 35). ტერასის პრეპარაციის დროს გაიწმინდა №8 სამარხზე დაცემული, კლდოვან მასას მოწყვეტილი, ლოდი. უროებით მისი დაშლის შემდეგ აღმოჩნდა ბერძნული, შავლაკიანი თასის მოზრდილი ნატეხი. მისი ფრაგმენტები გვხდებოდა ორმოში დაღრმავებისას ქვაყრილის გამოჩენამდე. სამარხის ზომა 2,8X1,2 მ. მისი აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი მხარე ამოშენებულია ქვის მშრალი წყობით (სურ. 59, ფოტო 117 ). ქვების ნაწილი ჩაცვენილი იყო სამარხში მცირე ზომის ქვაყრილის სახით. სარკოფაგი შეკრულია არა ხის მორებით, როგორც №№1,5,8,13,14 სამარხები, არამედ ფიცრებით. შესაბამისად, ლურსმნები მცირე ზომისაა (15 სმ-მდე). მთავარი მიცვალებულის მხრების დონეზე სარკოფაგი გადაჭედილი იყო მუხლისებური ექვსი ლურსმნით (სურ. 59).

სამარხში დაკრძალული იყო ორი მიცვალე-

ბული. დასაკრძალავი ორმოს ცენტრალური ნაწილი ეკავა მთავარ მიცვალებულს. მეორე ჩონჩხი იწვა სარკოფაგის სამხრეთის კედელთან (სურ. 59, ფოტო 118), თავით აღმოსავლეთისაკენ. სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა ვერცხლის სურა და ჩამჩა, ბრინჯაოს სარკე. მიცვალებულების ფეხებთან განლაგებული იყო სამი დოქი, ერთი — წაქცეული. ოქროს ინვენტარის ძირითადი ნაწილი კონცენტრირებულია მთავარი მიცვალებულის გულმკერდის არეში. მის თავის ქალას ფარავდა მიჯრით განლაგებულ ჯვრისებური ფორმის ოქროს საკერებლები, რომლებიც თავსაბურის მოსართავი უნდა იყოს.

1. საკერებელი, გამოჭრილი ოქროს თხელი ფირფიტისაგან. უახლოვდება ჯვრის ფორმას. ზედ ამოტვიფრულია ხუთი ვარდული, ერთი — ცენტრში, დანარჩენი — მკლავებზე. შუაგული და ფურცლები ამოზნექილია. ფურცლების რაოდენობა განსხვავებულია, უმეტეს შემთხვევაში, ათია. გამონაკლისის სახით გვხდება როგორც მეტი, ისე ნაკლებიც. მკლავებზე დაუდევრად ამოჭრილია საკერებელი ნახვრეტები (4ც.).

ზომა: D — 13-14 მმ

საინვენტ. №ს-86-448

(ფერადი ფოტო 19)

2. საკიდები (48 ც., აქედან 3 - ნაკლული) ოქროსი. შედგენილია ყუნწებისაგან, რომლებიც მიღებულია სწორკუთხა ფირფიტის წრიულად მოკეცვის შედეგად, ზედ კი მირჩილულია მრგვალგანივკვეთიანი მავთულის მარყუჟი, რომელზეც შეკიდულია ამავე განივკვეთის მავთულის ბოლოგამონასკვული საკიდი. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ აღმოჩენილი საკიდები თავსაბურის ელემენტებია.

ზომა: საკიდის H — 11 მმ

საინვენტ. №ს-86-455

(ფერადი ფოტო 20)

3. საყურე (2ც.) ოქროსი. საყურე რგოლი ქვემოთკენ ნახევარმთვარისებურადაა შემსხვილებული, ბოლოებში გახვრეტილია. შემკულია ორნამენტული სარტყლითა და ვარდულით. ნახევარმთვარისებრი შემსხვილება შემკულია ცვარათი შედგენილი სამკუთხედებითა და პირამიდებით.

ზომა: H — 60 მმ

ნახევარმთვარისებრი შემსხვილების უდ. სიგანე — 10 მმ.

ვარდულის D — 11 მმ

საინვენტ. №ს-86-449

(ფერადი ფოტო 21)

4. სამკაული ოქროსი, ტოლგვერდა სამკუთხედის მოყვანილობის, შედგენილი ერთმანეთზე მირჩილული ფუყე მძივებისაგან. მძივები მიღებულია ორი ნახევარსფეროს ერთმანეთთან მირჩილვის შედეგად. სამკუთხედის გვერდი შედგენილია ოთხი მძივისაგან. ოთხ ძაფზე ასხმული ასეთი სამკუთხედები მონაცვლეობით, წვერებით ზემოთ და ქვემოთ მიმართული, ქმნიან მოძრავ სარტყელს.

საინვენტ. №1-86-451

(ფოტო 119)

5. ყელსაბამი (საკიდი - 10 ც., მძივი — 68 ც.) ოქროსი. შედგენილია ნახევარმთვარისებური საკიდებისა და მძივების მონაცვლეობით. საკიდები გამოჭრილია თხელი ფირფიტისაგან. შემოუყვება დაკეჭნილი მავთული. ქვემოთ შეკიდულია სამი წრიული ფირფიტა, ზემოთ კი მირჩილულია მძივი (10ც.).

მძივები სადაა, სფერული. მიღებულია ორი ნახევარსფეროს ერთმანეთთან მირჩილვის შედეგად.

ზომა: საკიდის H -15 მმ

სიგანე — 10 მმ

მძივის D - 3 მმ

საინვენტ. №ს-86-451

(ფერადი ფოტო 27)

6. ყელსაბამი (საკიდი — 1ც., მძივი — 97ც.) ოქროსი. შედგენილია მთვარისებური საკიდისა და სად., სფერული მძივებისაგან. საკიდი გამოჭრილია თხელი ფირფიტისაგან. ბოლოები მოკაუჭებულია. მარყუჟი მიღებულია დაღარული, სწორკუთხა ფირფიტის წრიულად მოკეცვის შედეგად.

ზომა: საკიდი 16X16 მმ

საინვენტ. №ს-86-453

(ფერადი ფოტო 23)

7. სამკაული (2ც.) ოქროსი. იგი მილაკია, რომელსაც ორივე მხარეს მირჩილული აქვს სპირალურად დახვეული მავთული.

ზომა: 7X10 მმ

საინვენტ. №ს-86-454

(ფერადი ფოტო 22)

8. საკიდი (2ც.) ოქროსი. მიღებულია სწორკუთხა ფირფიტის ოვალურად მოკეცვის შედეგად. ყუნწი მილაკია, რომელსაც შემოუყვება მრგვალგანივკვეთიანი მავთული. შიგ ჩასმულია ძვლის ფრაგმენტი (კბილი?).
ზომა: L - 15 მმ
სიგანე — 5 მმ
მეორე მძივი ნაკლულია.
ზომა: L - 7 მმ
სიგანე — 5 მმ
საინვენტ. №ს-86-456

9. მძივები (83 ც.) ოქროსი, მცირე ზომის.
(ფერადი ფოტო 24)

10. ზოდი ოქროსი, ოთხკუთხა ფორმის. მისი ერთი ბოლო ჩამოკვეთილია.
ზომა: L - 13 მმ
განივკვეთი: 6X2.5მმ
საინვენტ. №ს-86-458
(ფოტო 120)

11. ბეჭედი ოქროსი. რკალი წრიულია, მრგვალგანივკვეთიანი, ოვალური, სადა ფარაკით.
ზომა: რკალის D - 18 მმ
ფარაკის ზომა 9X14 მმ
საინვენტ. №ს-86-459
(ფოტო 121)

12. ბეჭედი ოქროსი, ფორმით მსგავსი №1-86-459-ისა (№11), ფარაკზე ამოტვიფრული ხარის გამოსახულებით.
ზომა: რკალის D - 2 მმ
ფარაკი — 12X17 მმ
საინვენტ. №ს-86-460
(ფოტო 121, ფერადი ფოტო 24)

13. სამკაული ოქროსი. მრგვალი, თხელი ფირფიტა გადაკრულია ვერცხლის საფუძველზე. ფირფიტის კიდეები გადაკეცილია. ზურგზე შემორჩენილია შესაკრავის კვალი.

მედალიონი შემკულია რელიეფური გამოსახულებით. კომპოზიცია შეკრულია, მთლიანად ავსებს მედალიონის არეს. ნახატი თავისუფალია. ცენტრში ამოყვანილია ხარის თავის გამოსახულება. რქებს შორის მოთავსებულია მცირე ზომის ცხოველი მთელი ტანით, კომპოზიციას კრავს ხარის თავის ორივე მხარეს ამოყვანილი ფრინველის გამოსახულება პროფილში (არწივი?).
ზომა: D - 46 მმ
საინვენტ. №ს-86-462
(სურ. 60, ფერადი ფოტო 22)

14. სამაჯური (2ც.) ოქროსი, ფორმით უახლოვდება წრეს, გახსნილი. დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროსგან. ბოლოები ოდნავ შესქელებულია.
ზომა: 1. უდიდესი D-60 მმ
2. უდიდესი D-57 მმ
ღეროს D-3 მმ
საინვენტ. №ს-86-443
(ფოტო 122)

15. კოვზი ოქროსი. გამოჭრილია თხელი ფირფიტისაგან. დაფარულია ნახვრეტებით. ტარი წაგრძელებული სწორკუთხედია, რომელიც ბოლოსკენ ოდნავ ფართოვდება, მომრგვალებულია და გახვრეტილი.

ზედა სიბრტყე დაფარულია ამოკაწრული ორნამენტით. მცირე ზომის წრეები გადაბმულია ირიბი ხაზებით.
ზომა: L - 67 მმ
უდიდესი სიგანე — D - 18 მმ
საინვენტ. №ს-86-446
(ფერადი ფოტო 25)

16. მძივი ოქროსი, კონუსური ფორმის, ფუძის კიდეზე და ზემოთ ნახვრეტის გარშემო დაკეჭნილი მავთულია შემოვლებული.
საინვენტ. №ს-86-464

17. მასრები ოქროსი
ერთი ნივთის შემადგენელი ნაწილები:
1. მიღებულია სწორკუთხა ფირფიტის წრიულად მოკეცვის შედეგად. წიბოები ბოლომდე მისული არ არის. ფირფიტას შემოუყვება მრგვალგანივკვეთიანი მავთული. გრძელ წიბოსთან ერთი, ხოლო მოკლე წიბოსთან ორ მავთულს შორის მოთავსებულია ერთი



სურ. 60

გრეხილი. ფირფიტის სიბრტყე შემკულია მცირე ზომის ცვარათი შედგენილი სამკუთხედებით. ფუძით მიმართულია მოკლე წიბოსკენ. კუთხეებში ამოჭრილია მცირე ზომის თითო ნახვრეტი (3ც.)

2. მილებულია სწორკუთხა ფირფიტის მოკეცვის შედეგად. მოკლე წიბოს ორივე მხარეს ცენტრში ამოჭრილია სწორკუთხედი. მასრის ერთი მხარე შემკულია იგივე პრინციპით, როგორც ზემოთ განხილული მასრები (ცვარათი შედგენილი სამკუთხედების კომპოზიცია).

ზომა: 1. L - 22-23 მმ D-10 მმ
სიგანე — 28 მმ, L —42 მმ
საინვენტ. №ს-86-461
(ფერადი ფოტო 26)

18. ფირფიტა ოქროსი. თხელი ფირფიტისაგან გამოჭრილ სწორკუთხედს სამი მხრიდან შემოუყვება დაუდევრად დატანილი ნახვრეტები (ორი მოკლე და ერთი გრძელი წიბო).
საინვენტ. №ს-86-463

19. საბეჭდავი ქვისა, მოყავისფრო-მოწითალო, პირამიდის ფორმის, გამჭოლი ნახვრეტით.
საინვენტ. №ს-86-465
(სურ. 61)

20. მძივები განსხვავებული ფორმისა და ზომის:

1. თვალადი, მონაცისფრო თეთრ-შავი, ფართო, გამჭოლი ნახვრეტით, განსხვავებული ზომის — 32 ც.

2. მინის, ბაცი სალათისფერი, გამჭვირვალე, ცილინდრული ფორმის, ზედაპირი დაწახნაგებულია — 11 ც.

3. საკიდი მინისა, შავი, ზედ დატანილი თეთრი ზოლებით, გამჭოლი, განივი ნახვრეტით — 1ც.
საინვენტ. №ს-86-466
(სურ. 61, ფოტო 124)

### სამხრეთით დასვენებული მიცვალებულის ინვენტარი

21. საყურე. ოვალურ რგოლზე უძრავად დამაგრებულია ვერტიკალურად დაღარული ბურთულა, რომელიც ცვარათი შედგენილი მტევნით ბოლოვდება. რგოლი გახსნილია, ბოლოებში გახვრეტილი, სადა. ბურთულის ჰორიზონტალური სარტყელი შემკულია ცვარათი შედგენილი პირამიდებით.
ზომა: H-48 მმ
საინვენტ. №ს-86-450
(ფოტო 125)



სურ. 61

22. სამაჯური ვერცხლისა, ზურგშეზნექილი, გახსნილი. დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან. ბოლოები შესქელებულია მძივისებრი შესქელებითა და კონცენტრული ღარებით.
ზომა: უდიდესი D-60 მმ
უმცირესი D-46 მმ
ღეროს უდიდესი D - 4 მმ
ღეროს უმცირესი D- 6 სმ
საინვენტ. №ს-86-442
(ფოტო 123)

23. სამაჯური რკინისა, ძლიერ დაჟანგული და დაზიანებული, ერთმანეთთან შედუღებული, ოთხკუთხაგანივკვეთიანი ორი ღეროა.
საინვენტ. №ს-86-441
(სურ. 61)

24. მძივები განსხვავებული ფორმისა და ზომის:

1. თვალადი, მონაცრისფრო-თეთრი — 23ც.
2. მომწვანო-ლურჯი, პირამიდის ფორმის - 1ც.
3. სარდიონის, მოწითალო-ყავისფერი, პირამიდული ფორმის — 2ც.

საინვენტ. №ს-86-467
(სურ. 61)

25. სურა ვერცხლისა, გარეთ გადახრილი, სწორხაზოვანპროფილიანი პირით, ოდნავ შეზნექილი ყელით, რომელიც გადადის სფერულ მუცელზე. ტანი შემკულია გრავირებული ორნამენტით. ორნამენტული სარტყელი შემოუყვება ყელისა და მხარის შეერთების ადგილს. ასევე ორნამენტით შედგენილი რკალები ეშვება ტანზე. რკალისა და ზედა სარტყლების კუთხეებში პალმეტებია გრავირებული.
ზომა: H —160 მმ
პირ-ყელის H —75 სმ
პირის D-61 სმ
საინვენტ. №ს-86-445
(ფოტო 126)



სურ. 62

26. ფიალა ვერცხლისა, გარეთ გადახრილი, სწორხაზოვანპროფილიანი პირით, ძირისაკენ მკვეთრად დაქანებული კალთით. პირზე გრავირებულია კურდღლის ფიგურა. ცხოველის კუდზე, მხარსა და წელზე ირიბი ნაჭდევებია, ფიალის ომფალოსთან გარედან ამოკაწრულია ბერძნული ასოებისგან შედგენილი ლიგატურა.

ზომა: H –36 მმ

პირის D –117 სმ

ომფალოსის -21 სმ

საინვენტ. №ს-86-447

(სურ. 62, ფოტო 127)

27. კოვზი (ჩამჩა) ვერცხლისა, სადა პირით, გრძელი, ვერტიკალურად მირჩილული ტანით, რომელიც ბოლოვდება წრიული მარყუჟით. ტარი და მარყუჟი შემკულია მძივისებრი შესქელებებით.



სურ. 63

ზომა: ჩამჩის პირის D –52 მმ

ტარის – 230 მმ

მარყუჟის D – 30 მმ

საინვენტ. №ს-86-446

(ფოტო 128)

28. ლურსმანი (6ც.) რკინისა, ძლიერ დაჟანგული, ნაკლული, ოთხკუთხაგანივკვეთიანი, წვერისკენ შევიწროებული.

ზომა: შემორჩენილი L – 245 მმ, 237 მმ, 190 მმ, 260 მმ

საინვენტ. №№ს-86-438; ს-86-439

(სურ. 63)

29. ლურსმნები რკინისა, ძლიერ დაჟანგული და დაზიანებული, ნაკლული, ოთხკუთხაგანივკვეთიანი, მუხლისებურად მოხრილი.

შესაძლებელია გავარჩიოთ თერთმეტი ერთეულის ფრაგმენტი.

საინვენტ. №ს-86-440



სურ. 64

30. ჯამი, შაკლაკიანი, ნაკლული. დამზადებულია მოყავისფრო-ნარინჯისფერი ქარსის წვრილმინარევიანი თიხისაგან. ოდნავ პირმოყრილი, გარედან პირმომრგვალებული, პირის ქვემოთ ირგვლივი ღარით და ტეხილით, შეზნექილპროფილიანი, ფერადი, სუსტად დიფერენცირებული ქუსლით, რომლის საყრდენი ზედაპირი თხელი საფეხურითაა გამოყოფილი ქუსლშიდა შეღრმავებისაგან.

ზომა: H- 31 მმ

პირის D-100-102 მმ

ძირის D-78 მმ

საინვენტ. №ს-86-434

(სურ. 64, ფოტო 129)

31. დოქი ჩალისფერკეციანი, შავი, მცირე ჩანართებით, გარეთ გადახრილი, დათხელებული პირით, დაბალი ყელით, მომრგვალებული მუცლით. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიძერწილია უშუა-



სურ. 65

ლოდ პირსა და მუცელზე.

ზომა: H- 27 მმ
პირის D-20,7 სმ
ძირის D- 13,9 მმ
მუცლის უდიდესი D - 24 სმ
საინვენტ. №ს-86-435
(ფოტო 130)

32. დოქი მოყავისფრო-რუხკეციანი, ქარსმინარევიანი თიხისა, პირგადაშლილი, ყელგამოყვანილი, მკვეთრად ბიკონუსური კორპუსითა და ვიწრო, ბრტყელი ძირით. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილია ყელსა და მხარის ზედა ნაწილზე. ყელი და ტანის უდიდესი დიამეტრის ადგილები შემკულია დაუდევრად დატანილი კონცენტრული ღარებით, ყელისა და მხარის შეერთების ადგილზე შემოუყვება ირიბი ნაჭდევების სარტყელი.

ზომა: H- 28,6 სმ
პირის D-22 სმ
ძირის D- 10 მმ
მუცლის უდიდესი D- 24 სმ
საინვენტ. №ს-86-437
(სურ. 65, ფოტო 131)

33. დოქი ნაცრისფერკეციანი, მოყავისფრო ლაქებითა და შეზნექილპროფილიანი ყელით. კორპუსი ბიკონუსური. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირსა და მხარის ზედა ნაწილზე. ყურსა და მუცელზე შემოუყვება კონცენტრული ღარები. მხარისა და ყელის შეერთების ადგილი შემკულია ირიბი ნაჭდევების სარტყლით:

ზომა: H- 25 მმ
პირის D-9,5 სმ
მუცლის უდიდესი D - 23 სმ
საინვენტ. №ს-86-436
(სურ. 66, ფოტო 132)

№10 სამარხის ორმოში აღმოჩენილი იმპორტული ჯამის თარიღი თ. სიხარულიძემ განსაზღვრა ძვ.წ. V საუკუნის 30-იანი წლებით. მიუხედავად ამისა, ტიპურ კოლხურ კერამიკასთან ერთად წარმოდგენილი ჩალისფერკეციანი დოქი მიუთითებს, რომ მეათე სამარხი ძვ.წ. V-IV სს-ის პირველი ნახევრის კომპლექსებს შორის ყველაზე გვიანდელია, შემდგომ ეტაპზე „საჩხერის ქვეყანაში" კოლხური კერამიკული ფორმები მხოლოდ გამონაკლისის სახით იჩენს თავს.[22]

სამარხში დამოწმებული ცვარათი შედგენილი სამკუთხედის ფორმის საკიდები და ნახევარმთვარისებური, მოძრავსაკიდიანი ყელსაბამი გვხვდება შედარებით გვიანდელ — ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრისა და ძვ. წ. III ს-ის დასაწყისის კომპლექსებში (ვანი №9 და საირხის №1 სამარხები, ახალგორის განძი)[23], მაგრამ საირხეში მოძრაველემენტებიანი საკიდები აღმოჩენილია ძვ.წ. V ს-ის №5 სამარხში, ხოლო მძივებისაგან შედგენილი სამკუთხედის ფორმის საკიდები ძვ.წ. IV ს-ის



სურ. 66

[22] გ. მახარაძე, მ. წერეთელი. ძვ. წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის... გვ. 59 და შმდგ.

[23] ან. ჭყონია. ოქროს სამკაულები... გვ. 70.



სურ. 67

პირველი ნახევრის №8 სამარხში (იხ. ზემოთ).

გამომდინარე აქედან, №10 სამარხის თარიღს განვსაზღვრავთ ძვ.წ. IV ს-ის მეორე მეოთხედით.

საბადურის გორის №10 სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის ფიალა საქართველოში აღმოჩენილი ლითონის ერთადერთი ჭურჭელია, რომელზეც გრაფიტოა მოთავსებული. ასოთა სიმცირისა და ლაკონურობის გამო მისი წაკითხვის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. ჯ. ნადირაძე იზიარებდა თ. ყაუხჩიშვილის მოსაზრებას, რომლის თანახმად, ვინაიდან წარწერაში დომინირებს ასო M და ნივთი ქალის სამარხიდან, თასზე დაწერილია აღნიშნულ ასოზე დაწყებული ქალის რომელიმე სახელი, მაგ., მედეა[24]. მ. ნასიძემ ყურადღება გაამახვილა მ. იმნაძის ვარაუდზე, რომ საირხის ნაქალაქარის ტერიტორიაზე მდებარეობდა სტრაბონთან მოხსენიებული პუნქტი „იდეესა", რომელიც საირხის გაბერძნულებული სახელწოდებაა და გულისხმობს მთა იდეს სალოცავს, მის შესადარ ადგილს.[25] გამომდინარე აქედან, მკლევარი დასაშვებად მიიჩნევს გრაფიტოს ამგვარ წაიკითხვას - „დედა იდაია"(სურ. 67).

## №№ 11, 12 სამარხების შემცველი კომპლექსი

№№11, 12 სამარხების შემცველი კომპლექსი გაითხარა №8 სამარხის ჩრდილოეთით, $F_1$ სექტორში (სურ. 68). ნაგებობა ორიარუსიანია და ნაშენია ფლეთილი ქვით. კედლები ამოყვანი-



სურ. 68

[24] ჯ. ნადირაძე. საირხე ... გვ. 69.

[25] მ. ინაძე. ძველი კოლხეთის საზოგადოება. თბ., 1994. გვ. 117; მ. ნასიძე, საქართველოს ბერძნული გრაფიტო (დასავლეთი საქართველო). თბ., 2002. გვ. 19-20.



სურ. 69

ლია ქვის სამმაგი წყობით (ფოტო 133). კომპლექსი სწორკუთხა ფორმისაა (6X8). 1,5 მ სიმაღლის ქვის ერთმაგი წყობით გამოყვანილი ყორე ნაგებობას ჰყოფს ორ იარუსად (სურ. 68, ფოტო 135). ნაგებობის დანიშნულების განსაზღვრა ჭირს. ზედა იარუსის სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლები (№8 სამარხი მატურის მსგავსად) დაქანებულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ამიტომ თავდაპირველად ვიფიქრეთ, რომ საქმე გვქონდა მიწისქვეშა ნაგებობასთან (სამარხთან).



სურ. 70

ყორეთი გამიჯნული ქვედა იარუსი დაყოფილია სამ ნაწილად. სამხრეთ სათავსოში აღმოჩნდა სამარხი №11 (სურ. 69, ფოტო 134). მისი ზომაა 3,2 მ, შემორჩენილი სიგანე – 2 მ. იატაკზე აღმოჩნდა ქვაფენილი, რომელზეც დასვენებული იყო ბავშვის ჩონჩხი მწირი ინვენტარით (ფოტო 136, 137). ტიხრის ჩრდილოეთით გაიწმინდა კიდევ ერთი ჩონჩხი (სურ. 69). მიცვალებულს ცენტრალური სათავსოს მხოლოდ მცირე ნაწილი ეჭირა. სამარხების ამ ნაგებობისადმი კუთვნილება ეჭვს იწვევს.

ქვედა იარუსი დაცხრილულია ელინისტური ხანის ქვევრებისა და ნაგებობის სვეტებისათვის გაჭრილი ორმოებით. არ არის გამორიცხული ნაგებობის დასაკრძალავ მოედნად სწორედ ამ პერიოდში გამოყენება. აღსანიშნავია, რომ კომპლექსის უკიდურეს ჩრდილოეთ სათავსოში, რომელიც ყველაზე მეტად გადაურჩა ელინისტური ხანის მშენებლობებს, გამოვლინდა საკულტო კერია (ფოტო 135). იგი შედგებოდა ორი ვერტიკალური, ერთმანეთის მიმართ მართი კუთხით განლაგებული, ფილისაგან (სურ. 70, 71. 0,8X0,8მ) ვერტიკალურ ფილებს შორის ჩაწყობილია სამი ჰორიზონტალური ფილა, რომლებიც გამიჯნული იყო საგანგებოდ ჩამტვრეული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებით. მთლიანად სათავსოში შეინიშნებოდა ცეცხლის



სურ. 71

კალი. ვერტიკალურ ფილებს შორის ჩაწყობილი თიხის ჭურჭლის ნამსხვრევები საკმაოდ უსახურია, გვხვდება როგორც მოწითალოდ, ასევე შავად გამომწვარი ნატეხები. მოწითალო ფრაგმენტები შემკულია ჰორიზონტალური, ნაპრიალები ზოლებით, შავი ეგზემპლარი კი — ჭდეული კონცენტრული ღარებით. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ქვედა ფილის ქვეშ აღმოჩენილი წითელკეციანი ქვევრის რამდენიმე ნატეხი (სურ. 72), რომლის ზედაპირიც დაფარულია ნაკაწრი შტრიხებით. ისინი ავსებენ ვერტიკალურ, ცრუ კანელურებს შორის მოთავსებულ ფართს.

კერიაში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი უფრო არქაულად გამოიყურება, ვიდრე მის ზემოთ მდებარე კულტურული ფენის არქეოლოგიური მასალა. იგი თანადროულია კომპლექსისა. გამომდინარე აქედან, საკულტო კერიის არსებობამ შესაძლებელია მიგვანიშნოს მთლიანად კომპლექსის ფუნქციაზე. ასეთ შემთხვევაში მისი ფუნქციონირების პერიოდი უნდა უახლოვდებოდეს. სამაროვნის არსებობის ბოლო ეტაპს. ამის სასარგებლოდ მიუთითებს როგორც ძეგლის სტრატიგრაფია[26], ასევე კერიის ფილებს შორის აღმოჩენილი კერამიკული ფრაგმენტები.

## სამარხი №11

მიცვალებული დაკრძალულია განხილული ნაგებობის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ სათავსოში. სამარხი ბავშვისაა. დაკრძალულია ქვაფენილზე, თავით დასავლეთისაკენ, მარცხენა გვერდზე, მოკრუნჩხულად. თავის ქალის სამხრეთით გაიწმინდა შინაური ცხოველის ძვლები. ინვენტარი მწირია.

1. სამაჯური ბრინჯაოსი, ზურგშეზნექილი, გახსნილი. დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან. ბოლოები ოდნავ შესქელებულია და შემკულია კონცენტრული ღარებით.

ზომა: 60X55 მმ

საინვენტ. №ს-86-468

(ფოტო136)

2. საყურე ბრინჯაოსი. დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან, დაზიანებული, ნაკლული.

საინვენტ. №ს-86-471

(ფოტო 136)

3. მძივები განსხვავებული ფორმისა და ზომის: 1. მინის, მორუხო-მონაცრისფრო, შინდის კურკის ფორმის — 15 ც; 2. ტანდაბალი, ცილინდრის ფორმის, გამჭოლი ნახვრეტით — 35 ც; 3. იგივე ფორმის, შემკული ვერტიკალური ღარებით — 2 ც; 4. მონაცრისფრო-თეთრი. განსხვავებული ფორმის — 62 ც; 5. საკიდი ქვის, სამკუთხედის ფორმის, ყელთან გამჭოლი ნახვრეტით — 1 ც.

საინვენტ. №ს-86-469

(ფოტო 136)

## სამარხი №12

შუა სათავსოში დაკრძალული იყო მოზრდილი ადამიანი, თავით სამხრეთისაკენ, მარცხენა გვერდზე, მოკრუნჩხულად. მუხლებთან ედგა ხელადა, ხელზე ეკეთა რკინის სამაჯური, რომლის აღებაც ვერ მოხერხდა. გულმკერდის არეში მიმოფანტული იყო მძივები.

1. ბეჭედი ბრინჯაოსი. დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან. შუა ნაწილი გაბრტყელებულია.

ზომა: D - 20 მმ

საინვენტ. №ს-86-472

2. ნივთი ბრინჯაოსი, გაურკვეველი დანიშნულების, ბრტყელი, ოვალური ფირფიტაა გამჭოლი ნახვრეტით.

ზომა: 20X13 მმ

საინვენტ. №ს-86-472

3. მძივები მინისა, განსხვავებული ფორმისა და ზომის: 1. მოყავისფრო-რუხი ფერის, სფერული — 33 ც; 2. მოთეთრო-ნაცრისფერი, შინდის კურკის ფორმის — 9 ც; 3. რუხი-ნაცრისფერი, ოდნავ წაგრძელებული ფორმის — 18 ც; 4. იოტები — 32 ც.

საინვენტ. №ს-86-473

(ფოტო 137)

---

[26] №№11, 12 სამარხების კომპლექსი ერთადერთია ძვ.წ. V-IV სს-ის ნაგებობს შორის, რომელსაც არ აქვს ჩაჭრილი ადრეანტიკური ხანის ფენა.



სურ. 72

4.ხელადა მოვარდისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი. შერუჯული, ხაოიანზედაპირიანი, ხელით ნაძერწი. ხელადას ტუჩიანი პირი, დაბალი, ფართო ყელი, მომრგვალებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირის კიდესა და მხარზე.
ზომა: პირის D-53 მმ
ძირის D – 68 მმ
H-116 მმ
ყურის განივკვეთი - 20X0,6 მმ
საინვენტ. №ს-86-470
(ფოტო 137)

№№11 და 12 სამარხების კუთვნილი მძივების იდენტურობა გვაფიქრებინებს, რომ ქრონოლოგიურად ისინი დიდად არ უნდა იყვნენ ერთმანეთისაგან დაცილებული. გვიანდელი იერი გააჩნია ბრინჯაოს სამაჯურსა და სამტუჩა ხელადას. ამგვარი თიხის ჭურჭელი გავრცელებული ჩანს საირხეში გვიანელინისტურ ხანაში. ნაკლებ სავარაუდოა, რომ ამ მოცულობის ნაგებობა აეგოთ ისეთი მწირი ინვენტარის მქონე მიცვალებულებისათვის, რომლებიც in situ გამოვლინდა კომპლექსის სათავსოებში. იმ ფაქტების გათვალისწინებით, რომ ორივე სამარხი დაფარული იყო ძვ.წ III-II სს-ის კულტურული ფენით, მათი დაკრძალვის თარიღს ამავე ქრონოლოგიური ჩარჩოებით შემოვფარგლავთ.

## სამარხი №13

სამარხი №13 აღმოჩნდა $C_1$ სექტორში, №№11,12 სამარხების შემცველი კომპლექსის ჩრდილოეთით (სურ. 68). სტრატიგრაფიულ ჭრილში გადაფარული იყო ამავე კომპლექსთან დაკავშირებული ქვის ორმაგი წყობით (სურ. 73). მისი აღებისა და სტერილურ შრეში 0,6 მ-ით ჩაღრმავების შემდეგ გაიწმინდა ბრტყელი ფილებით ნაშენები კვადრატული ფორმის საკურთხეველი (სურ. 74, ფოტო 139). მეორე გადამწვარი კულტურული ფენის შავ ფონზე მკაფიოდ მოიხაზა სამარხი ორმოს კონტურები (2,6X3,2 მ. სურ. 74). საკურთხევლის ზომაა 1,65X1,25 მ. მის ცენტრში აღმართული „ფალოსი" იყო 0,5 მ სიგრძის სპეციალურად შერჩეული რიყის ქვა, რომელიც ორი ქვით იყო გამაგრებული ვერტიკალურ მდგომარეობაში (სურ. 74). აღსანიშნავია, რომ სამაროვანზე გათხრილი ყველა ნაგებობის მშენებლობის დროს გამოყენებულია იქვე მდებარე კარიერზე მოპოვებული ფლეთილი ქვა. საკურთხევლის სწორედ ამ მონაკვეთში აღმოჩნდა ბრინჯაოს სამაჯური და გაურკვეველი დანიშნულების ნივთის გარსაკრავის ფრაგმენტები.

1. სამაჯური ბრინჯაოსი, თავგახსნილი. დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან, ზურგსწორი, გატეხილი. თავები გაბრტყელებულია, შესაძლებელია იყო გველის სტილიზებული გამოსახულება.
საინვენტ. №ს-87-487
(სურ. 75)

2. გარსაკრავის ფრაგმენტები (7ც.), თხელი ბრინჯაოს ფირფიტა მანჭვლით.
საინვენტ. №ს-87-486

3. ამულეტი ძვლისა, ზედა ნაწილში გახვრეტილი.
საინვენტ. №ს-84-485.

საკურთხევლის დასავლეთით გაიწმინდა ბრტყელი ფილებით ნაშენები ნიში (სურ. 73). პრეპარაციის პროცესში საკუთრივ ნიშში და მიმდებარე ფართობზე გამოვლინდა შავად გამომწვარი სასმისებისა და დიდი ზომის დერგისებრი ჭურჭლის ფრაგმენტები. გათხრების პროცესში დადგინდა, რომ სამარხის დასავლეთით მოწყობილი იყო სააღაპო მოედანი (3,5X1,3 მ), რომელზეც გამოვლინდა ათეულობით დამსხვრეული სასმისი (ფოტო 138). ყველას ზომა შეესაბამებოდა დერგის ყელის დიამეტრს, რათა შესაძლებელი გამხდარიყო ჭურჭლიდან სითხის ამოღება. ამგვარი უნდა ყოფილიყო, კოლხეთში ფართოდ გავრცე-



სურ. 73

ლებული, მკვეთრად პირგადაშლილი, დერგისებური ჭურჭლის დანიშნულება, რომლებიც ადრე მოიაზრებოდა როგორც ლანგრის ფრაგმენტები[27]. დერგების პირის გვირგვინის განივკვეთი ისრისპირის მოყვანილობისაა, რაც განპირობებული იყო მისი დანიშნულებით.

4. დერგი მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა, პირგადაშლილი, შეზნექილპროფილიანი, დაბალი ყელითა და მომრგვალებული მხრებით, ნაკლული. პირის გვირგვინი განივკვეთში ისრისპირის მოყვანილობისაა. შემკულია ტალღისებური ორნამენტით. ყელი დაფარულია კონცენტრულ ღარებს შორის მოქცეული წრიული შტამპით. მხარი შემკულია ასევე კონცენტრულ ღარებს შორის მოქცეული ტალღოვანი ორნამენტით.

ზომა: პირის D - 310 მმ
საინვენტ. №1-87-481
(სურ. 76)

5. სასმისები სხვადასხვა ზომისა და ფორმის, ყურიანი და უყურო. ყველა შავად გამომწვარი, იშვიათად გვხდება ორნამენტირებული ნიმუშები, კერძოდ, პირის კიდეზე დატანილი კონცენტრული ღარებით. აღდგენილი ცალების მიხედვით არც ერთის სიმაღლე არ აღემატება 9-10 სმ-ს. ძირების D-4,5 და 5,5 სმ-ს შორის მერყეობს. სასმისების რაოდენობა ძნელი დასადგენია. შემორჩენილი ძირების მიხედვით მათი რაოდენობა აღემატებოდა ოთხ ათეულს.

საინვენტ. №1-87-482
(სურ. 77)

სამარხ ორმოში 1,15 მ-ზე დაღრმავების შემდგომ გამოჩნდა ხელუხლებელი ქვაყრილი (სურ. 78, 79). ისევე, როგორც სხვა კომპლექსებში, ქვაყრილით დაცული იყო ხის სარკოფაგი. 12,6X2,2მ პერიმეტრის გაყოლებაზე გამოვლინდა მუხლისებრი ლურსმნები (სურ. 78, 79). სამარხ ორმოში, სარკოფაგის სამხრეთით, დაკრძალული იყო ორი ცხენი (სურ. 80, ფოტო 140). ისევე, როგორც სხვა სამარხებში, სარკოფაგი 20 სმ-ით უფრო ღრმად იყო ჩაჭრილი ნიადაგში (სურ. 79). სარკოფაგის ხის მორები დაჭედილი იყო სოლისებრი ლურსმნებით. ქვაყრილის აღების შემდეგ გაიწმინდა ორი მიცვალებულის ჩონჩხი, ერთი მათგანი, როგორც ჩანს, მთავარი მიცვალებული, ესვენა ოდნავ მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ, მდიდრული და მრავალფეროვანი ინვენტარით (ფოტო 140, 141). მისგან სამხრეთით განთავსებული იყო ვერცხლის, ბრინჯაოსა და თიხის ჭურჭელი, ხოლო ჩრდილოეთით გაიწმინდა კიდევ ერთი მიცვალებულის ჩონჩხის ფრაგმენტები შედარებით ღარიბული ინვენტარით (ფოტო 140, 141).

მთავარ მიცვალებულს თავზე ეხურა მძივებისაგან შედგენილი თავსაბურავი, ოქროს დიადემა, ეკეთა სხივანა საკიდები და წყვილი საკერებელი (ფოტო 142). აქვე აღმოჩნდა ოქროს ზოდი. მკერდის არეში გაიწმინდა ვერ-

[27] თ. მიქელაძე. არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე. თბ., 1978. გვ. 58.




სურ. 74

ძისთავებიანი საკიდებით შედგენილი ყელსაბამი, ოქროსა და ქვის მძივები, ხარის თავის გამოსახულებიანი საკიდი. ოდნავ ქვემოთ გამოვლინდა ვერცხლის დაზიანებული დიადემა, ოქროს საკერებლები და ვერცხლის მოოქრული, ომფალოსიანი, პირქვედამხობილი თასი (ფოტო 141). მენჯის ძვლის არეში აღმოჩნდა ოქროს სამაჯური. მეორე სამაჯურის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე მარჯვენა ხელი მიცვალებულს მიმართული უნდა ჰქონოდა ჩრდილოეთისაკენ. იქვე გაიწმინდა ოქროს ბეჭედი, ვერცხლის სურა ლომისა და ტახის გრავირებული გამოსახულებით და რკინის გაურკვეველი დანიშნულების ნივთი, რომელიც შესაძლოა მიცვალებულს ხელში ეჭირა (ფოტო 141), მიცვალებულის თავთან, ყველაზე საპატიო ადგილზე, იდო ოქროს ფიგურულგამოსახულებიანი, ორად გაკეცილი ფირფიტა და სკიპტრის მაგვარი ნივთი, რომელსაც გააჩნია ხის ტარი, დაბოლოებული ფაქიზი ქსოვილის ბუდეში ჩასმული, რკინის გახსნილი რგოლით. იქვე მიმოფანტული იყო ცარცის, ბრინჯაოს ღეროიანი კვირისთავები. ფეხებთან იდო სპილენძის პატერა და ოინოხოია (სურ. 80, ფოტო 140, 141). სამარხი ორმოს ჩრდილოეთი კედლის გასწვრივ ესვენა მეორე მიცვალებული. ჩონჩხი ცუდად იყო დაცული, ნაწილობრივ მოხრილ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო. თავის ქალის არეში აღმოჩნდა ვერცხლის დიადემა, სხივანა საყურეები, მძივები, ბრინჯაოს ჩლიქები,



სურ. 75

მკერდის არეში - ორი ზურგსწორი ვერცხლის სამაჯური. სამაჯურებს შორის გაიწმინდა ლითონის გაურკვეველი დანიშნულების ნივთი, რომელიც თითქოს მთავარ მიცვალებულს ეჭირა ხელში (ფოტო 141).

ინვენტარის ძირითადი ნაწილი კონცენტრირებული იყო სარკოფაგის სამხრეთ ნაწილში.

### მთავარი მიცვალებულის კუთვნილი ინვენტარი

6. სკიპტრა, ძლიერ დაზიანებული, ნაკლული გახსნილი, მრგვალგანივკვეთიანი რკინის რგოლია, რომელიც ჩასმულია ფაქიზი ქსოვილის ბუდეში. ანაბეჭდზე გარკვევით ჩანს ნაკერის კვალი, რგოლის ღერო ჩასმულია ხის ტარში, რომელიც ძალზე ცუდად იყო შემონახული და მისი აღება ვერ მოხერხდა პრეპარაციის დროს. მხოლოდ ის დადგინდა, რომ იგი ოვალურგანივკვეთიანი იყო. ხის ტარი ბოლოვდებოდა ორმხრივ მოხრილი რკინის ღეროთი.

ზომა: საერთო D – 60-70 სმ
რგოლის D – 9 სმ
საინვენტ. №ს-88-508
(სურ. 81, ფოტო 143)



სურ. 76

7. დიადემა ოქროსი, გრეხილი. ოვალურად მორკალული ღერო ბოლოვდება ერთმანეთთან კავებით დაკავშირებული რომბისებური ფირფიტებით. თითოეული ფირფიტა შემოჩარჩოებულია ირიბი ჭდეების ჰორიზონტალური სარტყლით,



სურ. 77

რომელიც ვერტიკალურ ჭდეებს შორის მოთავსებული რელიეფური ზოლია და რომბს ყოფს ორ ტოლფერდა სამკუთხედად. თითოეული მათგანის ცენტრში მოთავსებულია რადიალური სხივებით შემკული ნახევარსფერული ბურცობი. ცენტრალური ბურცობი ფლანკირებულია



სურ. 78

თითისტარისებრი ფორმის ბურცობებით.
ზომა: 20,2X22,2 სმ
რომბისებური ფირფიტა 11,2X4,1 სმ
საინვენტ. №ს-88-549
(ფერადი ფოტო 29)

8. საყურე (წყვილი) ოქროსი. ყურსაკიდ რგოლზე სხივისებურად დამაგრებულია ხუთი ღერო. თითეული მათგანი შემკულია ჭდეებით, რითაც იქმნება ცვარას ორი რიგის იმიტაცია. ბოლოები შემკულია ცვარათი შედგენილი პირამიდებით და მათივე საშუალებით გადაბმულია.

ყურსაკიდი რგოლი წრიულია, გახსნილი. ბოლოები გახვრეტილია. მიღებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროს წრიულად მოკეცვის შედეგად.
ზომა: D-5,0 სმ
უდიდესი D – 3,0 სმ
რგოლის საშუალო D – 2,4 სმ
საინვენტ. №№ს-88-539, 1-88-540
(ფერადი ფოტო 30)

9. საკერებელი (წყვილი) ოქროსი. აღმოჩენის ადგილის მიხედვით თავსამკაულის ნაწილია. ფორმით უახლოვდება სამყურას მოყვანილობას. ზედ ამოყვანილია სამი, ნახევარსფეროს ფორმის



სურ. 79

ბურცობი. თითოეულ მათგანს შემოუყვება რელიეფური ქედი. ამასთან ერთად, ერთ-ერთს გარს უვლის მცირე ზომის ბურცობებით შედგენილი სარტყელი. სამივე ნაწილი დაკავშირებულია ჭდეების, მცირე ბურცობებისა და რელიეფური ქედის საშუალებით.

ფირფიტას უკანა მხარეს მირჩილული აქვს ვიწრო ფირფიტისაგან გამოყვანილი სამი ყუნწი.

ზომა: 3,2X3,7

საინვენტ. №ს-88-545

(ფერადი ფოტო 31)

10. ზოდი ოქროსი, მრგვალგანივკვეთიანი ღერო, ოდნავ მოხრილი.

ზომა: L – 1,7 სმ

საინვენტ. №ს-88-548

(ფოტო 144)

11. ყელსაბამი ოქროსი. შედგენილია ვერძის თავის გამოსახულებიანი საკიდებისა და ვერტიკალურად დაღარული მძივებისაგან. ვერძის თავის ყველა დეტალი გამოტვიფრულია. გამოსახულება მიღებულია ორი ნახევრის ერთმანეთთან მირჩილვის შედეგად.

ყუნწი მიღებულია დაღარული, სწორკუთხა ფირფიტის წრიულად მოკეცვის შედეგად (33ც.).

მძივები მიღებულია ორი, ვერტიკალურად დაღარული, ნახევრის ერთმანეთთან მირჩილვის შედეგად. ჰორიზონტალური ღერძის მიმართულებით ოდნავ დაგრძელებული ფორმისაა (46 ც.).

ზომა: ვერძის თავის გამოსახულებიანი საკიდი – 1,6X0,7 სმ

მძივის D –0,6 სმ

საინვენტ. №ს-88-546

(ფერადი ფოტო 32, 33)

12. ყელსაბამი, შედგენილი მძივებისა (სარდიონი, ოქრო) და ოქროს ხარის თავის გამოსახულებიანი ცენტრალური საკიდისგან.

ცენტრალური საკიდი მიღებულია ორი ფირფიტის ერთმანეთთან მირჩილვის შედეგად. ქვედა ფირფიტა სადაა, ზედა კი გამოტვიფრული გამოსახულებაა. კონუსისებური ფორმის რქები ცალკეა დამზადებული და თავთან მირჩილვის ადგილზე მათ შემოუყვება დაკეჭნილი მავთული. ასევე ცალკეა დამზადებული ყურები (ერთი დაკარგულია). მიღებული სამკუთხედი აგრეთვე დაკეჭნილი მავთულითაა შემოსაზღვრული. სამკუთხედსა და ხარის თვალზე შეიმჩნევა თეთრი ნივთიერების კვალი (ინკრუსტაცია).

ოქროს მძივები სფერულია. მიღებულია ორი ნახევრის მირჩილვის შედეგად (54 ც.). ანალოგიური ფორმისაა სარდიონის მძივები (25 ც.).

ზომა: ხარის თავის გამოსახულებიანი საკიდი - 1,7X1,0 სმ

მძივი ოქროსი. D - 0,6 სმ

მძივი სარდიონისა. D - 0,6 სმ

საინვენტ. №ს-88-547

(ფერადი ფოტო 34)

13. ღილაკები ოქროსი. კიდეზე შემოყვება



სურ. 80

რადიალურად განლაგებული ღარები. გამოტვიფრულია. უკანა მხარეს მირჩილულია ვიწრო ფირფიტისაგან შედგენილი ყუნწი (ბოლოები ერთმანეთზე გადადის).

ზომა: D - 0,7 სმ

საინვენტ. №ს-88-544

(ფოტო 144, ფერადი ფოტო 35)

14. სამაჯური ოქროსი, გახსნილი, ბრტყელზურგიანი. მიღებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროს წრიულად მოკეცვის შედეგად. ბოლოები კონუსისებურად შესქელებულია. შემკულია ტეხილი ღარებით.

ზომა: 7.3X6.2 სმ

ღეროს D-0,7 სმ

საინვენტ. №ს-88-543

(ფოტო 145)



სურ. 81

15. ბეჭედი ოქროსი, მრგვალგანივკვეთიანი წრიული რგოლითა და ოვალური ფარაკით, რომელსაც შემოუყვება ჭდეების ერთი რიგი. ზედ ამოკვეთილია ჯიხვის გამოსახულება.

ზომა: D- 2,2 სმ

საინვენტ. №№ს-88-545, ს-88-534

(ფოტო 146, ფერადი ფოტო 36)

16. ფირფიტა – ოქროსი, წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმის. შემოუყვება სამაგრი ნახვრეტები. კომპოზიცია სამფიგურიანია. იშლება ფრიზულად. სასურათე სიბრტყე მაქსიმალურად შევსებულია. გამოსახულება სიბრტყობრივია. რელიეფი დაზიანებულია, რაც ართულებს გამოსახულების ხასიათზე მსჯელობას, ფიგურები პირობითია, მოცემულია მოძრაობაში.

წინა პლანზე, ფირფიტის მარცხენა კუთხეში, ლომის ფიგურაა. ხახა ღია აქვს, ფოთლისებური ყურებით, კუდი აქაცილია ზურგის გაყოლებაზე, ბოლო სპირალისებურად ჩახვეულია. მის წინ ხარის გამოსახულებაა უკან მობრუნებული და ქვევით დახრილი თავით. აღნიშნული ფიგურა ნაწილობრივ ფარავს მესამე გამოსახულებას (ტახი?). მოცემული ფიგურების ძირითად კონტურს შემოუყვება ვერტიკალური ჭდეების ზოლი.

ორივე წინა ფიგურაზე დატანილია ორმაგი სპირალის ორ-ორი გამოსახულება. ოქროს ფირფიტა შუაზე იყო გაკეცილი, იდო დიადემასა და სკიპტრას შორის.

ზომა: 20,0X5,5 სმ

საინვენტ. №ს-88-550

(სურ. 83, ფერადი ფოტო 37)

17. თავსამკაულის ფრაგმენტები. ასხმულია ნახევარსფერული ვერცხლის საკიდების, მილაკების, მძივებისა და იოტების მონაცვლეობით. შემორჩენილი ფრაგმენტები შემდეგი სახისაა. ოთხჟა ძაფზე ასხმულია მილაკები. მათ შორის მოთავსებულია ექვსი იოტი შუაში ერთი მძივით. შემდგომ ამგვარი ხასიათის რამდენიმე აცმა უკავშირდება პროფილირებულ, წაგრძელებულ ნახევარსფეროს. ერთ შემთხვევაში მასთან ერთად შემორჩენილია ქსოვილის მცირე ფრაგმენტი.

ზომა: მილაკის L – 18 მმ

მძივის D – 5 მმ

საკიდის H – 6 მმ

საინვენტ. №ს-88-553

(სურ. 82)

18. დიადემა ვერცხლისა, გრეხილი. წრიულად მორკალული ღერო ბოლოვდება ერთმანეთთან კავებით დაკავშირებული რომბისებური ფირფიტებით. თითოეული მათგანი მოჩარჩოებულია ირიბი ნაჭდევების სარტყლით. ჰორიზონტალური სარტყელი, რომელიც ჰყოფს რომბს ორ ტოლფერდა სამკუთხედად, ორ ღარს შორის მოთავსებული ირიბი ჭდეებით გადაბმული წრეებია. მიღებული სამკუთხედების ბლაგვ კუთხეებში მოთავსებულია ბურცობები.

დიადემა მოკეცილ მდგომარეობაში იდო მკერდის არეში გადმობრუნებული ფიალის გვერდით.



სურ. 82



სურ. 83

ზომა: რომბი 9,3X3,1 სმ
საინვენტ. №ს-88-554
(ფოტო 147)

19. „პორტუპეი“ ვერცხლისა. სწორკუთხა, განივკვეთიანი, ბოლოებდავიწროებული ღეროა, რომლის ცენტრალური ნაწილი ოვალურგანივკვეთიანია და განკუთვნილია თასმის შემოსახვევად. ზედაპირი შემკულია რომბული ბადით.
ზომა: L –5,0 სმ
საინვენტ. №ს-88-537
(ფოტო 148)

20. „პორტუპეი“ ვერცხლისა, ფორმით ზემოაღწერილის ანალოგიური, შედარებით დიდი ზომის. შემკულია სამკუთხედებითა და ჰორიზონტალური ღარებით.
ზომა: 6,4 სმ
საინვენტ. №ს-88-536
(ფოტო 148)

21. ფიალა ვერცხლის, ნაკლული, სწორხაზოვანპროფილიანი პირით, მომრგვალებული კალთით, ომფალოსიანი, რომელსაც გარს შემოუყვება ორი რელიეფური ზოლი. მათ შორის მოთავსებულია რადიალურად გაშლილი სხივების რიგები.
ზომა: პირის D –216 მმ
H – 62 მმ
საინვენტ. №ს-88-525
(სურ. 84, ფოტო 149)

22. სურა ვერცხლისა, დეფორმირებული, ნაკლული, გარეთ მცირედ გადაშლილი პირით, სწორხაზოვანპროფილიანი, მხრებისკენ შევიწროებული ყელით, რომელიც რელიეფური ღარით უერთდება ფართოდ გაშლილ მხარს. ტანი მომრგვალებული აქვს, ძირი - კონუსური. პირისა და ყელის შეერთების ადგილია მხარის შემაერთებელ რელიეფურ სარტყელზეც. თვით მხარზე მონაცვლეობით დატანილია წვეთისებური ბურცობები და სამკუთხედის ფორმის მცენარეული მოტივები. ტანზე დატანილია ოვები, რომელთა შორის მოთავსებულია გრავირებული პალმეტები.

ჭურჭლის ძირზე ამოღარულია ბორჯღალი. ყელზე გრავირებულია ფიგურულგამოსახულებიანი კომპოზიცია, რომელიც შედგენილია მამლი ლომისა და ხარის (ბუღა) გამოსახულებებით. ფიგურების შესრულების მანერა რეალისტურია, მხოლოდ ცალკეული დეტალებია სტილიზებული (კუდი). ორივე ფიგურის ტანი დაფარულია მოკლე, პარალელური ჭდეებით (ხარი) ან წერტილებით (ლომი). გამოსახულებები ავსებენ სასურათე სიბრტყეს. ფიგურები მონუმენტურია მოცემული მოძრაობაში. კონტური ზუსტი და



სურ. 84




სურ. 85

დახვეწილია. ხარს თავი დახრილი აქვს ქვევით. ხაზგასმულია ღონიერი ქედი. იგი კუთხითაა მოხრილი და ვერტიკალურად ეშვება. ხახადაღებული ლომი ენითა და ერთი თათით ეხება ხარის კუდის ნაწილს. ხარის მასიური, მძიმე ფიგურა კონტრასტს ქმნის ლომის მოძრავ, შედარებით დაძაბულ ტანთან.

ზომა: პირის D - 8,4 სმ.
H-12,4 სმ.
საინვენტ. №ს-88-531
(სურ. 85, ფოტო 150)

23. დიადემა – ვერცხლისა, გრეხილი, წრიულად მორკალური ღერო ბოლოვდება ერთმანეთთან კავებით დაკავშირებული რომბისებური ფირფიტებით. თითოეული ფირფიტა მოჩარჩოებულია თევზიფხური ჭდეების სარტყლით. ჰორიზონტალური ზოლი, რომელიც რომბს ჰყოფს ორი ტოლფერდა სამკუთხედად, შედგენილია ვერტიკალური და ჰორიზონტალური ჭდეებით. ტოლფერდა სამკუთხედის ზედა კუთხეში ამოყვანილია ბურცობი, რომელსაც გარს შემოუყვება ჭდეული წერტილები. ცენტრალური ბურცობის ორივე მხარეს სიმეტრიულად დატანილია ორი წრე.

ზომა: 20,2X18,3 სმ
რომბისებური ფირფიტა 13,2X9,0სმ
საინვენტ. №ს-88-533
(ფოტო 151, ფერადი ფოტო 28)

24. საყურე ოქროსი, სხივანა, მრგვალგანივკვეთიანი. გახსნილ, წრიულ რგოლზე დამაგრებული. ცვარათი შედგენილი პირამიდებით დაბოლოებულია ოთხი სხივი. საყურის ფორმა დაზიანებულია და გადაგრეხილია.

ზომა: საყურე H –22 მმ, სიგანე - 27 მმ
საინვენტ. №ს-88-540
(ფოტო 152)

25. საყურე დაბალი ხარისხის ოქროსი. რგოლზე სხივისებურად დამაგრებულია სფერული ბურთულების მირჩილვის შედეგად მიღებული მტევანი. ყურსაკიდი რგოლი წრიულია, გახსნილი, ბოლოები გახვრეტილია. მიღებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროს წრიულად მოკეცვის შედეგად.

ზომა: L - 4,7 სმ
უდიდესი D – 30 სმ
რგოლის საშუალო D – 2,4 სმ
საინვენტ. №ს-88-538
(ფოტო 153)

26. სამაჯური (2 ც.) ვერცხლისა, გახსნილი. ბოლოები შემკულია სტილიზებული ზოომორფული გამოსახულებით.

მიღებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროს წრიულად მოკეცვის შედეგად. ბოლოები გაბრტყელებულია, შემკულია ტეხილი ხაზების სარტყლითა და კონცენტრული ღარებით. ცხოველის თავის გამოსახულება ძალზე სტილიზებულია. დამუშავებულია მხოლოდ ზედა სიბრტყე.

ზომა: სიგანე – 6,5 სმ
საინვენტ. №ს-88-535
(ფოტო 154)

27. ნივთი რკინისა და ბრინჯაოსი, გაურკვეველი დანიშნულების, დაზიანებული, ნაკლული. ის ძლიერ დაჟანგული, მრგვალგანივკვეთიანი ღეროა, რომელიც დაბოლოებულია კასრისებური ფორმის ბრინჯაოს მასრებით. ერთ მხარეს რკინის ღეროზე ჩამოცმულია ბრინჯაოს ბრტყელი დისკო შემორჩენილი ცარცის კვალით. იქვე პრეპარირებული იყო ანალოგიური ფორმის სამი დისკო და რკინის ღერაკი, რომელზეც ისინი წამოცმული უნდა ყოფილიყო.

მიუხედავად იმისა, რომ აღწერილი ნივთი აღმოჩნდა მეორე მიცვალებულის მკერდის არეში, ოქროს სამაჯურის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე დასაშვებად მიგვაჩნია, რომ იგი ხელში სჭეროდა მთავარ მიცვალებულს.

ზომა: ღეროს L – 27 სმ
D – 2,8 სმ
ბრინჯაოს მასრის H – 1,2 სმ
მასრის D – 2,0 სმ
მასრის შიდა D – 1,0 სმ
ბრინჯაოს დისკოს D – 3,3 სმ
ნახვრეტის D – 0,5 სმ
საინვენტ. №ს-88-509
(სურ. 81, ფოტო 155)

28. კვირისთავის ფორმის ნივთი (4 ც) – სუფთა ცარცისა, ნაკლული. კარგად დამუშავებული, ნახევარსფეროს ფორმის ღრუ ნივთია,(?) ცენტრში გამჭოლი ნახვრეტით, რომელიც განკუთვნილი იყო სწორკუთხა განივკვეთიანი ბრინჯაოს ღერაკისთვის. იგი ბოლოვდებოდა კონუსური მოყვანილობის ქუდით. ერთერთი ასეთი ნივთის ღრუში შემორჩენილია ბრინჯაოს დისკოს(?) ფრაგმენტი, რომელიც ღერაკზე უნდა ყოფილიყო წამოცმული.

ორი მათგანი აღმოჩნდა თავის ქალის არეში ვერცხლის დიადემასთან ერთად. (სურ. 80)




სურ. 86

ხოლო დანარჩენი დალაგებული იყო სკიპტრის გასწვრივ და განკუთვნილი იყო მთავარი მიცვალებულისათვის.

ზომა: სრულად შემონახული ცარცის ნივთის D – 5,0 სმ, H – 2,7 სმ
ღრუს D – 1.5 სმ
ნახვრეტის D - 0,4 სმ
ბრ.ნჯაოს ღერაკის H – 4,5-5,0 სმ
საინვენტ. №ს-88-554
(სურ. 86)

29. პატერა ბრინჯაოსი, ძლიერ დაზიანებული. შემორჩენილია ფრაგმენტულად. დაიშალა აღების პროცესში. პირი სწორი აქვს, კალთა – მომრგვალებული. კალთაზე ექვსი მანჭვლით მიმაგრებულია ბრტყელგანივკვეთიანი ყური, რომელიც მოხრის ადგილზე მრგვალგანივკვეთიანი ხდება და დაბოლოებულია სტილიზებული ზოომორფული გამოსახულებით (გედის?).

ზომა: პირის D – 30,0 სმ
საინვენტ. №ს-88-521
(სურ. 87)

30. ოინოხოია ბრინჯაოსი, დაზიანებული, ნაკლული, დაბალი ყელით, თითქმის მართი კუთხით უერთდება ტანს. კორპუსი კვერცხისებური აქვს, ძირი – ბრტყელი, ოდნავ გამოყოფილი. მრგვალგანივკვეთიანი ყური მირჩილულია პირსა და მუცელზე.



სურ. 87

ზომა: H – 15,2 სმ
პირის უდიდესი D – 9,0 სმ
ძირის D – 6, 0 სმ
საინვენტ. №ს-88-51
(ფოტო 156)

დანარჩენი ინვენტარი დახვავებული იყო სამარის სამხრეთ ნაწილში.

31. ფიალა ვერცხლისა, დაზიანებული, სწორხაზოვანპროფილიანი პირით, მომრგვალებული კალთით, მოოქრული ომფალოსით, რომელსაც გარს შემოუყვება დაბალი რელიეფური ზოლი და ბრტყელი წრე, ზედ დატანილი რადიალურად გამოსხივებული ოვებით.

ზომა: პირის D – 18,4 სმ
H – 4,2 მ.
საინვენტ. №ს-88-526
(სურ. 88, ფოტო 157)



სურ. 88

32. ფიალა ვერცხლისა, ნაკლული, ომფალოსიანი, რომელსაც გარსშემოუყვება ორი კონცენტრული ღარი და ოვების რიგი.

ზომა: პირის D – 17,3 სმ
H – 3,4 სმ
საინვენტ. №ს-88-527
(სურ. 89)

33. კილიკი ვერცხლისა, სწორხაზოვანპროფილიანი, ოდნავ გარეთ გადმოხრილი პირით, კალთა – მომრგვალებული. მაღალი, ღრუ ქუსლით. ყურები ცალკეა ჩამოსხმული, მარყუჟისე-

ბური ფორმის, ტანზე მიერთების ადგილას ფოთლისმაგვარი დაბოლოებით.

ზომა: D – 8,5 სმ
პირის H – 13,7 სმ
ქუსლის D – 5,5 სმ
საინვენტ. №ს-88-528
(სურ. 90, ფოტო 158)

34. სურა ვერცხლისა. აქვს ოდნავ გარეთ გადაშლილი, სწორხაზოვანპროფილიანი პირი და ცილინდრული ყელი. ტანი ზედა ნაწილში



სურ. 89

სფერულია, ძირისკენ კონუსისებურად შევიწროებული. პირ-ყელისა და მხარის შეერთების ადგილზე შემოსდევს რელიეფური სარტყელი.

ზომა: H – 33 სმ
პირის D – 9,5 სმ
საინვენტ. №ს-88-532
(ფოტო 159)

35. კოვში, ოვალურპირიანი, მრგვალგანივკვეთიანი ღეროსგან დამზადებული ტარით, რომელიც დაბოლოებულია ვერძის თავის სკულპტურული გამოსახულებით. ტარი გადმოკეცილია მარყუჟისებური ფორმით.

ზომა: საერთო L – 15,4 სმ
ტარის L – 9,2 სმ
საინვენტ. №ს-88-529
(ფოტო 160)



სურ. 90

36. კოვში ვერცხლისა, ოვალური ფორმის პირით. ტარი დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროსგან, რომელიც გადმოკეცილია მარყუჟისებურად და დაბოლოებულია გედის თავის სტილიზებული გამოსახულებით.

ზომა: საერთო L – 13,2 სმ
ტარის L - 8,2 სმ
საინვენტ. №ს-88-530
(ფოტო 160)

37. ჭურჭელი ბრინჯაოსი, ძლიერ დაზიანებული, ნაკლული. დამზადებულია თხელი ფირფიტებისაგან. შემორჩენილია მხოლოდ ქუსლის ნაწილი და მრგვალგანივკვეთიანი ღერო. ქუსლი მიღებულია ძირის დიამეტრზე ფირფიტის გადაკეცვის შედეგად. მის ზედაპირზე შეიმჩნევა ნაკეცები. ფირფიტის ქვედა ბოლო გადმოკეცილია.

ზომა: ქუსლის H – 23 მმ
ძირის D – 80 მმ
საინვენტ. №ს-88-520
(ფოტო 161)

38. დოქი ბრინჯაოსი ყურმილიანი, ძლიერ დაზიანებული. შემორჩენილია მხარისა და ქუსლის ფრაგმენტები. მხარი თითქმის მართი კუთხით უერთდება ტანს. ყურზე მიმაგრებულია ძეწკვი, რომლის რგოლები მიღებულია ბრტყელგანივკვეთიანი ღეროს ოვალურად მოკეცვის შედეგად. ყური მირჩილული იყო ყელისა და



სურ. 91




სურ. 92

მხარის ზედა ნაწილზე. მხარზე შემორჩენილია გრავირებული ნახატით შემკული სარტყელი, რომელიც შემოსაზღვრულია, ერთი მხრივ, ბურცობების ორი, ხოლო, მეორე მხრივ, ერთი რიგით. გამოსახულია ერთნაირი მამლის მაგვარი ოთხი ფრინველისა და ერთი თევზის ფიგურა. სხეულის ზედაპირი ყველა შემთხვევაში დაფარულია მცირე პარალელური ჭდეებით.

ზომა: მილის L — 73 მმ
ძგიდეს H — 80-100 მმ
მხარის D — 130 მმ
სიგანე — 40 მმ
საინვენტ. №ს-88-524
(სურ. 91, 92, ფოტო 162)

39. ჭურჭელი (სიტულა) დიდი ზომის, ბრინჯაოსი, ძლიერ დაზიანებული, ნაკლული. ფორმა მიღებულია თხელი ფირფიტების მოქლონებით გადაბმის შედეგად. მთლიანად შემორჩენილია გარეთ გადახრილი, სწორხაზოვან-პროფილიანი პირ-ყელი, რომელიც უერთდება ფართოდ გაშლილ მხარეს. მრგვალგანიკვეთიანი ღეროსგან დამზადებული ყური მირჩილულია მხარსა და ტანზე. ზედა ნაწილი შემკულია წყვეტილი კონუსისებური შვერილით, ხოლო ქვედა ბრტყელი, ტრაპეციის ფორმის ფირფიტაა. ქუსლი მრგვალი ფირფიტაა, რომელიც წრიულად გადაკეცილია ქვევით და ქმნის ქუსლის სიმაღლეს, ხოლო მისი ქვედა წიბო ამოკეცილია უკვე ზევით, 5 მმ-ის სიმაღლეზე და შიგ ჩამაგრებულია ფირფიტა, რომელიც ტანის ნაწილიცაა. ამრიგად, მივიღეთ ორმაგი ფირფიტის ქუსლი. ორივეს



სურ. 93

სიბრტყეზე შეიმჩნევა გამოჭედვის დროს წარმოქმნილი ვერტიკალური ნაკეცები.

ზომა: პირის D – 36 სმ
პირყელის D – 7,4 სმ
ქუსლის D – 24 სმ
ქუსლის H – 4,5 სმ
საინვენტ. №ს-88-522
(ფოტო 163)

40. ჭურჭელი (სიტულა) დიდი ზომის, ბრინჯაოსი, ძლიერ დაზიანებული. შემორჩენილია ფრაგმენტულად. მიღებულია თხელი ფირფიტების მოქლონებით გადაბმის შედეგად, მასიური. ჰორიზონტალური ყურები დამზადებულია ნახევარწრიულგანივკვეთიანი ღეროსგან, რომლის ზედაპირი შემკულია რელიეფური, წნული რიგებით. შედარებით კარგად შემონახულია ქუსლი, ფორმით №38-ის ანალოგიური.

ზომა: ყელის D – 8 სმ
ქუსლის D – 25 სმ.
საინვენტ. №ს-88-523
(ფოტო 164)

41. ჩლიქი (4ც.) ბრინჯაოსი, კარგად დამუშავებული. წინა და უკანა მხარეს დაუყვება ვერტიკალური ღარი (ჩლიქის გამყოფი). ქვედა ნაწილზე შემოუყვება ირიბნაჭდევებიანი რელიეფური სარტყელი. ეს უკანასკნელი ორ ადგილზე გაწყვეტილია ვერტიკალური ღარებით.

ზომა: H – 37 მმ
უდიდესი D – 28 მმ
საინვენტ. №ს-88-514
(ფოტო 165)

42. გარსაკრავი (ფრაგმენტები) ბრინჯაოსი. დამზადებულია თხელი ფირფიტებისაგან. კიდეზე შემოუყვება სამანჭვლე ნახვრეტები. საკუთრივ ფირფიტის სიბრტყეზე შემორჩენილია შედარებით დიდი ზომის ნახვრეტების სამი რიგი.

ჩლიქები და განხილული ფრაგმენტები აღმოჩნდა მეორე მიცვალებულის გულმკერდის არეში.

საინვენტ. №ს-88-517



სურ. 94

სურ. 95



43. ყურმილიანი დოქი შავად გამომწვარი თიხისა, პირი ძაბრისებური, დათხელებული, ყელი დაბალი, შეზნექილპროფილიანი, კორპუსი მკვეთრად ბიკონუსური, ძირი ბრტყელი. ყელი და მხარი შემკულია კონცენტრული ღარებით.

ზომა: H – 14,5 სმ
პირის D – 9 სმ
ძირის D – 6 სმ
ტანის უდიდესი D – 13,5 სმ
საინვენტ. №ს-88-494
(სურ. 93, ფოტო 167)

44. ყურმილიანი დოქი - ყავისფერკეციანი, მინარევიანი თიხის ჭურჭელი, სწორხაზოვანპროფილიანი, ოდნავ გარეთ გადახრილი პირით ბიკონუსური ტანით, ყურმილი ყელთან შეერთებულია ოვალურგანივკვეთიანი ტრაპეციის ფორმის ძგიდით.

სურ. 96



ყელის პირთან შეერთების ადგილზე ოდნავ შესამჩნევია სამი კონცენტრული ღარი.

ზომა: H – 13,2 სმ
პირის D – 6 სმ
ძირის D – 5,5 სმ
ყურმილის L – 4,5 სმ
საინვენტ. №ს-88-493
(ფოტო 166)

45. მათარა მოყავისფრო-რუხი თიხისა, შეზნექილპირიანი. ყელი შემკულია კონცენტრული ღარებით. მხარზე მიძერწილია წყვილი, მრგვალგანივკვეთიანი, მცირე ზომის ყური. მათარის კორპუსის ორივე მხარე შემკულია ამოკაწრული დეკორით. ორივე გამოსახულება ერთი ტიპისაა და წარმოადგენს სპირალურ მოტივს. ერთ-ერთ გვერდზე აშკარად იკითხება არწივის თავის გამოსახულება. სპირალის გარეთა პერიმეტრი ორივე შემთხვევაში შემკულია სამკუთხედის რიგით.

ზომა: H – 20,6 სმ
სიგანე – 17 სმ
პირის D – 7,3 სმ
საინვენტ. №ს-88-495
(სურ. 94, ფოტო 168)

46. დოქი მოშავო-რუხზედაპირიანი თიხისა, პირი - ოდნავ შემსხვილებული, გარეთ გადახრილი, შეზნექილპირიანი. ყელი მხართან შეერთების ადგილზე შემკულია სამი კონცენტრული ღარით. კორპუსი ბიკონუსურია, ძირი-ბრტყელი. კორპუსი უდიდესი დიამეტრის ადგილზე შემკულია ორ ღარს შორის მოთავსებული ტალღისებურორნამენტიანი სარტყლით. ოვალურგანივკვეთიანი, ოდნავ ზეაწეული ყური მიძერწილია პირსა და მხარზე.

ზომა: H – 16,5 სმ
პირის D – 8 სმ
ძირის D – 6,5 სმ
ტანის უდიდესი D – 18,8 სმ
საინვენტ. №ს-88-496
(სურ. 95, ფოტო 169)

47. დოქი მოყავისფრო-რუხი თიხისა, გარეთ გადახრილი, ღარით გამოყოფილი, ოდნავ შესქელებული პირით, დაბალი ყელით, შეზნექილპროფილიანი ბიკონუსური ტანით, ბრტყელი ძირით. მხარი შემკულია კონცენტრული ღარებით, ხოლო მუცლის უდიდესი დიამეტრი - ფართო, ტალღისებურორნამენტიანი სარტყლით. ოვალურგანივკვეთიანი, ოდნავ ზეაწეული, ყური

მიძერწილია პირსა და მხარზე.
ზომა: H – 22 სმ
პირის D – 9 სმ
ძირის D – 9,5 სმ
საინვესტ. №ს-88-497
(სურ. 96, ფოტო 170)

48. დოქი მოწითალო-ყავისფერი თიხისა, გარეთ გადახრილი, ღარით გამოყოფილი, ოდნავ შესქელებული პირით, დაბალი, შეზნექილპროფილიანი ყელით, ბიკონუსური კორპუსითა და ბრტყელი ძირით. ჭურჭელი სადაა, მხოლოდ მხარისა და ყელის შეერთების ადგილზე შემოუყვება სამი კონცენტრული ღარი. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილია ყელსა და მხარზე.
ზომა: H – 30 სმ
პირის D – 12.5 სმ
ძირის D – 9,5 სმ
საინვესტ. №ს-88-500
(ფოტო 171)

49. ჩაფი რუხკეციანი თიხისა, პირი – გარეთ გადახრილი, შემსხვილებული, ყელი – დაბალი, კონცენტრული ღარებით დაფარული, ბიკონუსური კორპუსით, ბრტყელი ძირით. მხარი შემკულია წვეროთი ზემოთ მიმართული რომბული ბადით შევსებული ამოკაწრული სამკუთხედების რიგით. სამკუთხედები ორივე მხრივ შემოსაზღვრულია ღილისებრი დანაძერწებით. კორპუსს უდიდეს დიამეტრზე შემოუყვება კონცენტრული ღარები და ზემოთ აღწერილის ანალოგიური სამკუთხედების სარტყელი. ოვალურგანივკვეთიანი, ყელსა და მხარზე მიძერწილი ყური შემკულია წნული ორნამენტით.
ზომა: H – 35 სმ
პირის D – 16 სმ
ძირის D – 14 სმ
საინვენტ. №ს-88-498
(სურ. 97, ფოტო 172)

50. ჩაფი მონაცრისფრო-რუხი თიხისა, გარეთ გადაკეცილი, მომრგვალებული პირით, დაბალი, შეზნექილპროფილიანი ყელით, ბიკონუსური კორპუსით, ბრტყელი ძირით. ყელი შემკულია წვერით ზემოთ მიმართული სამკუთხედებით და ღილისებური დანაძერწებით. მუცელს უდიდეს დიამეტრზე შემოუყვება ოთხი კონცენტრული ღარი, რომლის ზედა რიგს გასდევს შტამპით დატენილი წრეეები. ყელსა და მხარზე მიძერწი-ლი ოვალურგანივკვეთიანი ყური შემკულია წნული ორნამენტებით.



სურ. 97

ზომა: H – 33,5 სმ
პირის D – 21 სმ
ძირის D – 13,5 სმ
საინვენტ. №ს-88-499
(სურ. 98)

50. ჩაფი მონაცრისფრო-რუხკეციანი, გარეთ გადაშლილი, შემსხვილებული პირით, ცილინდრული ყელით, ბიკონუსური ტანით, ბრტყელი ძირით. ყელი შემკულია კონცენტრული ღარებით, მხარი შემკულია წვერით ზემოთ მიმართული, რომბული ბადით შევსებული სამკუთხედებითა და ღილისებური დანაძერწებით. ტანზე შემოუყვება კონცენტრული ღარები. ყელსა და მხარზე მიძერწილი ოვალურგანივკვეთიანი ყური შემკულია წნული ორნამენტებით.
ზომა: H – 36 სმ
პირის D – 18,5 სმ
ძირის D – 13,5 სმ



სურ. 98



სურ. 99

საინვენტ. №ს-88-501
(ფოტო 173)

